რელიგიის ისტორია და კულტურა

4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ თვარაძე

რელიგიის ისტორია
და
კულტურა

ნაწილი პირველი
ქრისტიანული მოძღვრების შესავალი

მეოთხე კლასის სახელმძღვანელო

გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

თბილისი
2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაამტკიცა საქართველოს
განათლების სამინისტრომ

К 298561
3

რედაქტორი
გია მურღულია

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამება

მესამე კლასში ჩვენ უკვე ვისწავლეთ, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა, რაც კი რამ არსებობს, ღმერთმა გააჩინა.

პირველმა ადამიანებმა ეს თვით ღმერთისგან იცოდნენ, მაგრამ უფალთან დაშორების შემდეგ მომდევნო თაობებმა დაივიწყეს მისგან ბოძებული ცოდნა. მათ ასე ეგონათ — ერთი კი არა, მრავალი ღმერთი არისო, ბუნების მოვლენებს, მნათობებს, მცენარეულობას, ცხოველებს — ყველას თავ-თავისი ღვთაება ჰყავსო. ამგვარი სარწმუნოების თანახმად, არსებობდა ცის ღვთაება, მზის ღვთაება, მთვარის ღვთაება, ქვესკნელის ღვთაება, არსებობდნენ ზღვის, ქარის, ჭექა-ქუხილის, ხელოსნობის, ვაჭრობის, ნადირობის, ომის, სამართლიანობის, სიყვარულის ღვთაებები...

ხალხს ისიც სჯეროდა, რომ ღვთაებანი ძალიან ჰგავდნენ ადამიანებს: ჩვენსავით ჭამდნენ და სვამდნენ, შვილებს აჩენდნენ, ერთიმეორეს ებრძოდნენ. კაცთა მოდგმისგან უმთავრესად იმით განსხვავდებოდნენ, რომ უკვდავნი იყვნენ და არა მოკვდავნი, თანაც — ძალიან ძლიერნი და მშვენიერნი.

სწორედ ამნაირ ღვთაებათა ამბებია მოთხრობილი ძველი დროის თქმულებებში — მითებში. ეს მითები ჩვეულებრივი ზღაპრებისგან ბევრით არაფრით განსხვავდება, ამიტომ მშვენიერი საკითხავია, მართლა ზღაპარივით გვიტაცებს მათი გაცნობა, მითოსურ ღვთაებათა და გმირთა თავგადასავალი. მაგრამ, რომ წავიკითხავთ, მერე ვხვდებით: გამოგონილი ამბავი წავიკითხეო. არც ზღაპარს დაეჯერება და არც მითს, თუმცა ორივეს კითხვა კარგი რამ არის თავშესაქცევად.

იმგვარ სარწმუნოებას, რომლის მიხედვითაც მრავალი ღვთაება არსებობს, წარმართული სარწმუნოება ანუ წარმართული რელიგია ჰქვია. ოდესღაც ამგვარი რელიგიები იყო გავრცელებული ინდოეთშიც, შუამდინარეთშიც, ეგვიპტეშიც, საბერძნეთშიც, რომშიც, ჩვენს საქართველოშიც.

ქრისტიანული მოძღვრება წარმართული სარწმუნოებისგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მრავალღმერთობას უარყოფს: არ შეიძლება მრავალი ღვთაების არსებობა, ღმერთი ერთია, მხოლოდ და მხოლოდ ერთი.

ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ გადაუფურცლავს, გაახსენდება, როგორ იწყება ამ პოემის მეორე სტროფი:

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა.

„სახე ყოვლისა ტანისა“ რას ნიშნავს, ამას შემდგომში გავიგებთ. ამჯერად ის დავიმახსოვროთ, რომ რუსთაველი ბრძანებს: ღმერთო ერთოო.

ასე სწამს ყოველ ქრისტიან კაცს. ღმერთი ერთია.

ახლა ზოგიერთ თქვენგანს შეიძლება მოაგონდეს, რომ ქრისტიანები ხშირად ახსენებენ ხოლმე მამა ღმერთს, ძე ღმერთს, სულიწმინდას. როგორღაა ღმერთი ერთი, თუკი მამა ღმერთი ცალკე არსებობს, ძე ღმერთი — ცალკე, სულიწმინდა კიდევ — ცალკე?

ჯერ ის ვთქვათ, რომ მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა ცალ-ცალკე კი არ არსებობენ, არამედ — ერთად, განუყოფლად, თავისი ბუნებით, თავისი არსებით ერთნი არიან.

ღმერთი არის ერთი, ერთარსება და, ამასთან, სამება, სამპიროვანი. სამების პირველი პირი არის მამა ღმერთი, მეორე პირი — ძე ღმერთი, მესამე პირი — სულიწმინდა. სწორედ ძე ღმერთი მოევლინა ქვეყნიერებას იესო ქრისტეს სახით.

ძალიან, ძალიან ძნელი გასაგებია ეს, დიდზე დიდი საიდუმლოა. ვისაც მოთმინება ეყოფა და ქრისტიანულ მოძღვრებას თანდათანობით შეისწავლის, ბოლოს ამ საიდუმლოსაც ჩასწვდება რამდენადაც შესაძლოა. ვისაც მოთმინება არ ეყოფა, ის მაინც უნდა დაიმახსოვროს ამთავითვე, რომ ქრისტიანული ღმერთი არის ერთი და არის სამება, არსებით ერთია და, ამასთან, სამპიროვანი — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა.

ქრისტიანულ ლოცვებს რომ ვისწავლით, სხვებთან ერთად სამების ლოცვებიც შეგვხვდება. მაგალითად:

„დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

ან კიდევ:

„ყოვლად წმინდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ!“

ამის წამკითხველებს დღევანდელი გაკვეთილი გაგვახსენდება და გვეცოდინება, რა იგულისხმება ამ ლოცვებში.

ასევე, მრავალ ჩვენგანს ნანახი ექნება სამების სახელზე აგებული ეკლესია. ასეთებია, ვთქვათ, თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკის ქვემოთ მდგარი მცირე საყდარი, ან კიდევ დაბა ყაზბეგის პირისპირ, მყინვარწვერის მხარეს, სოფელ გერგეტის თავს წამომდგარი სამების ტაძარი, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს აქვს აღწერილი თავის „ხევისბერ გოჩაში“.

სამების ხატსაც ვნახავთ სადმე.



გერგეტის სამების ტაძარი.

ყოველ ასეთ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ სამება არის ქრისტიანული ღმერთი.

სიბრძნით ქმნა ღმერთმან, სამებით ერთმან,
ცა და ქვეყანა, არს მეცნიარი.

ჩახრუხაძე

სიტყვათა სალარო

კაცთა მოდგმა – კაცობრიობა.
თავშესაქცევად – გასართობად.
ამთავითვე – ახლავე, აქედანვე.
უკუნითი უკუნისამდე – სამუდამოდ.
ამინ – ჭეშმარიტად.

ჩახრუხაძის ტექსტში განსამარტავი სიტყვა:

მეცნიარი – მეცნიერი, მცოდნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი და ზესთასოფელი

როცა ვისწავლეთ, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა, ისიც ვთქვით, თუ რა არის სამყარო: სამყარო არის ზეცა და დედამიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ყველაფერი, რასაც ვხედავთ. ამიტომ სამყაროს ხილულ სამყაროსაც უწოდებენ.

სამყაროს ქართულად კიდევ სხვა სახელიც აქვს, სოფელი ჰქვია. სიტყვა „სოფელი" დასახლებულ ადგილსაც აღნიშნავს, ჩვეულებრივს სოფელს, და სამყაროსაც. ეს თუ არ დავიმახსოვრეთ, ძველი დროის ან ახალი დროის მრავალი და მრავალი ნაწერის გაგება გაგვიძნელდება.

მაგალითად, წავიკითხავთ ჩვენს საყვარელ „ვეფხისტყაოსანს" და ამგვარი სტრიქონები შეგვხვდება:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლი შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.

რაც აქ წერია, ჯერჯერობით ყველაფერს ვერ გავიგებთ და არც არის აუცილებელი. ნუ ავჩქარდებით, როგორც იტყვიან, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია. ჩვენ იმას დავუკვირდეთ, რომ შოთა რუსთაველი რაღაცას საყვედურობს სოფელს, რაღაცით უკმაყოფილოა სოფლისა.

ისიც გავიხსენოთ, რომ სიტყვა „სოფელი" სამყაროს ნიშნავს. ესე იგი შოთა რუსთაველი სამყაროს საყვედურობს, სამყაროთია უკმაყოფილო.

ახლა იმაზე დავფიქრდეთ, თუ რატომ საყვედურობს რუსთაველი სოფელს ანუ სამყაროს. სოფელი ანუ სამყარო ხომ მშვენიერია და სიკეთით სავსე?

ესეც არ არის იოლი კითხვა და ამ კითხვის პასუხსაც მოგვიანებით შევიტყობთ. ამთავითვე ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: სოფელი, ანუ სამყარო, ანუ ხილული სამყარო მშვენიერია, მაგრამ ასკეცად უფრო მშვენიერია უხილავი სამყარო, ის სამყარო, რომელსაც თვალით ვერასოდეს ვიხილავთ, რომელსაც ზეციური ან ღვთაებრივი სამყარო ჰქვია.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც შევეცადოთ წარმოვიდგინოთ უსინათლო ადამიანი, დაბადებიდანვე ბრმა კაცი. ამგვარი ადამიანი ვერ ხედავს იმ სილამაზეს, რასაც ჩვენ ცისმარე დღეს ვჭვრეტთ: ვერც ლაჟვარდ ზეცას, ვერც მზის ელვარებას, ვერც სამყაროში განფენილ უთვალავ ფერს — მეწამულ დაისს, ტყეთა სიმწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანეს, ზღვის სილურჯეს...

იმის წარმოდგენასაც შევეცადოთ, რას იგრძნობდა ასეთ დღეში მყოფი კაცი, ანაზდად თვალი რომ ახილვოდა. ის მიხვდებოდა – აქამდე წყვდიადში მიცხოვრია და ახლა ჩემს მზერას განსაცვიფრებელი მშვენიერება გადაეხსნაო.

ამდაგვარი გრძნობა დაგვეუფლებოდა ჩვენც, ზეციური, ღვთაებრივი სამყარო რომ გვეხილა ანაზდად. ჩვენც ვიფიქრებდით – აქამდე წყვდიადში გვიცხოვრია და ახლაღა გადაგვეშალა ნამდვილი მშვენიერებაო.

იმ უხილავ, ღვთაებრივ სამყაროს ქართულად ჰქვია ზესთასოფელი, ესე იგი – ზესთა, ზედა, ზენა, ზეციური სოფელი, ზესთა, ზედა, ზენა, ზეციური სამყარო. „ბიბლიაში“ ზესთასოფელს ცათა სასუფეველი ან ღვთის სასუფეველი ჰქვია.

რით განსხვავდება სოფელი, ანუ ხილული სამყარო, და ზესთასოფელი, ანუ უხილავი, ზეციური, ღვთაებრივი სამყარო?



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი

გრძნობის ორგანოები

სოფელი, ხილული სამყარო ნივთიერია, როგორც სხვაგვარად ითქმის – მატერიალური. რაც ჩვენს ირგვლივ არის, ყოველივე იმნაირია, რომ ან თვალით უნდა ვიხილოთ, ან სმენით შევიგრძნოთ, ან შეხებით, ან ყნოსვით, ან გემოვნებით. მხედველობას, სმენას, შეხებას, ყნოსვასა და გემოვნებას ჩვენი გრძნობის ორგანოები ჰქვია. სხვათა შორის, ამიტომაც არის, რომ სოფელს, ხილულ სამყაროს კიდევ შეგრძნებად სამყაროსაც უწოდებენ.

აი, ჩემს წინაშეა ვაშლის ხე, უზარმაზარი სამყაროს ერთი მცირე ნაწილი. ამ ხეს მე ვხედავ და ვამბობ: ჩემს წინ ხე დგასო. დაუბერავს ქარი და ვაშლის ხის ფოთლებს აშრიალებს. მე მესმის ეს შრიალი და ვამბობ: ხე შრიალებსო. აი, მივდივარ ხესთან და ხელით ვეხები. ამითაც მიდასტურდება, რომ ჩემს წინაშე ხე დგას. მოვწყვიტავ ხეზე ვაშლს და ვიყნოსავ მის საამო სურნელებას, მერე ჩავკბიჩავ ვაშლს და ასევე საამურ გემოს ვიგრძნობ.

ახლა შევეცადოთ სხვა საგნებზეც ამნაირად ვიფიქროთ.

ხის გარდა ჩვენს ეზოში ყვავილებიც ხარობს. აგერ, მშვენიერი ვარდი. მე ვხედავ ამ ვარდს. მოსმენით ვერაფერს მოვისმენ, მაგრამ შემიძლია შევეხო მისი ყვავილის ნაზ ფურცლებს. ისიც შემიძლია, ვუყნოსო და ვარდის გამაბრუებელი სურნელი შევიგრძნო. ვარდის გემოს გასინჯვა ალბათ არ ივარგებს, მაინცდამაინც დიდ გემოს ვერ ჩავატან. მაგრამ თუ დედაჩემმა ვარდის მურაბა მოხარშა, მაშინ ვარდის გემოს გასინჯვაც მოხერხდება.

მივყვეთ ასე და მალე დავრწმუნდებით, რომ სოფელში, სამყაროში ყოველივეს ან ვხედავთ, ან ვისმენთ, ან ვეხებით, ან ვიყნოსავთ, ან კიდევ გემოს ვუსინჯავთ. ასეა ნაირნაირი სასმელ-საჭმელიც, ჩვენი ბინაც, სახლიც, სოფელიც, ქალაქიც, მთებიცა და მდინარეებიც, მცენარეებიც, ცხოველებიც, ადამიანებიც, მთელი დედამიწაც, შორეული ვარსკვლავებიც, სხვა დანარჩენიც.

მაგრამ სოფელში, სამყაროში ისეთი რამეც არსებობს, რაც არც ნივთიერია, არც თვალით დასანახი ან ყურით მოსასმენი თუ ხელით შესახები. რა არის ასეთი? აბა კარგად დავფიქრდეთ და შევეცადოთ გამოვიცნოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონება

აქ ერთი საგულისხმო ამბავი მოხდება: როგორც კი დავფიქრდებით, ამოქმედდება ჩვენი აზრები, ჩვენი გონება. რა არის ჩვენი აზრები, ჩვენი გონება? თუ ნივთიერი სამყაროს ნაწილია, რატომ ვერ ვხედავთ, ვერ ვისმენთ, ვერ შევეხებით? ვერ ვხედავთ, ვერ ვისმენთ, ვერ შევეხებით ვერც ჩვენს აზრებსა და გონებას, ვერც სხვისას. გამოდის, რომ აზრი, გონება არ ყოფილა ნივთიერი, რაღაც სხვაგვარი ბუნების ყოფილა.

ნეტავი გამაგებინა, როგორია გონება, როგორი ბუნების არისო! — შეგვიძლია ვთქვათ. ეს ჩვენი სურვილი იქნება. სურვილი თუ მოგვეძალა, ოცნებას დაგვაწყებინებს: რომ გავიზრდები, ჭკვიანი და განათლებული შევიქნები და ქვეყნის ყველა საიდუმლოს ამოვიცნობო. ამგვარი ოცნება სიხარულს მოგვგვრის. მერე ამ სიხარულს შესაძლოა მცირეოდენი წუხილიც დაერთოს: რატომ უკვე დიდი არ ვარ, ყველაფერი რატომ არ ვიციო. ამაზე მასწავლებელი ასე გვეტყოდა: ვისაც სწავლა უყვარს, ბოლოს სურვილებიც შეუსრულდება, ვისაც სწავლა სძულს, იმისგან კაცი არ დადგებაო.

გრძნობები

კარგად დავუკვირდეთ, რაც ამ წუთას ითქვა. რა სიტყვები ვახსენეთ? სიხარული, მწუხარება, სიყვარული, სიძულვილი. რას გამოხატავს ეს სიტყვები, რა არის სიხარული, მწუხარება, სიყვარული, სიძულვილი? ეს ჩვენი აზრები კი არ არის, ჩვენი გრძნობები და განცდებია. აქ ჩამოთვლილთა გარდა ადამიანს მრავალი სხვა გრძნობა და განცდა აქვს: სიბრალული, შიში, ზიზღი, იმედი, გაკვირვება, სირცხვილი, აღშფოთება, სიამაყე, ეჭვიანობა, მრისხანება და ასე შემდეგ.

ზემოთ ვნახეთ, რომ ჩვენი აზრები, ჩვენი გონება ნივთიერი ბუნების არ ყოფილა, რადგან მისი არც დანახვა შეიძლება, არც მოსმენა, არც შეხება. ჩვენი გრძნობების გამო რაღა გვეთქმის? შესაძლოა თუ არა დავინახოთ ან მოვისმინოთ ჩვენი ან სხვისი სიხარული, მწუხარება, სიყვარული, სიძულვილი? შესაძლოა თუ არა შევეხოთ მათ, ან ვიყნოსოთ, ან გემო გავუსინჯოთ? რაღა თქმა უნდა, არ არის შესაძლებელი. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მწუხარე კაცი, მაგრამ თავად მწუხარებას ვერასგზით ვერ დავინახავთ, ან კიდევ შესაძლოა ვიხილოთ გახარებული ადამიანი, მაგრამ სიხარულს ვერ დავინახავთ.

ესე იგი, როგორც ჩვენი აზრები და გონება, ჩვენი გრძნობები და განცდებიც არ

ყოფილა ნივთიერი.

ახლა, თუ არ დავიზარებთ, გავიმეოროთ, რაც ზემოთ ითქვა: სოფელი, სამყარო ნივთიერია, მასში ყოველივე იმნაირია, რომ ან თვალით უნდა ვიხილოთ, ან სმენით შევიგრძნოთ, ან შეხებით, ან ყნოსვით, ან გემოვნებით. მაგრამ სოფელში, სამყაროში არის კიდევ ისეთი რამ, რაც ნივთიერი არ არის, რასაც ვერც დავინახავთ, ვერც მოვისმენთ, ვერც შევეხებით, ვერც ვიყნოსავთ, ვერც გემოს გავუსინჯავთ. ეს არის ჩვენი აზრები, ჩვენი გონება და ეს არის ჩვენი გრძნობები და განცდები.

სოფელი წარმავალია

სოფლის ანუ სამყაროს ერთი უმთავრესი თვისება კიდევ ის არის, რომ ნიადაგ, მუდამ იცვლება. უცვლელი, სამუდამო არაფერია სოფელში, ყოველივე წარმავალია.

ჩვენს ეზოში რომ ვაშლის ხე დგას, ჯერ პატარა ნერგი იყო, მერე გაიზარდა, ნაყოფი მოისხა, ბოლოს დაბერდება და გახმება.

ჩვენს ეზოში რომ ძაღლი დარბის, ჯერ ერთიბეწო ლეკვი იყო, მერე გაიზარდა, მასაც ლეკვები ეყოლა, ბოლოს დაბერდება და მოკვდება.

ჩვენი ლამაზი სახლის ადგილას წინათ შესაძლოა მოტიტვლებული მინდორი იყო. მოვიდნენ მშენებლები, ააგეს სახლი. ახლა ამ სახლში ჩვენ ვცხოვრობთ. გაივლის ცოტა ხანი თუ დიდი ხანი და ჩვენი სახლი საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდება, დაინგრევა ან დაანგრევენ და მის ნაცვლად სხვა სახლს ააშენებენ. მაგრამ გამოხდება ხანი და იმ სახლსაც იგივე დაემართება.

ჩვენ თვითონაც ცას ხომ ვერ გამოვეკერებით. ახლა პატარები ვართ, მერე გავიზრდებით, დავოჯახდებით, შვილები გვეყოლებიან, ბოლოს მოვხუცდებით და სამუდამოდ განვშორდებით ამ მომხიბვლელ წუთისოფელს. იგივე ბედი ეწევა ყველა სხვა ადამიანს — ჩვენს ახლობელს, ჩვენს ნაცნობს თუ ჩვენთვის უცნობს, ყველას, ვინც კი დღესდღეობით ცოცხლობს დედამიწაზე. ახალი თაობები რომ მოვლენ, უკვდავნი არც ისინი იქნებიან, არც მათი მომდევნო თაობები, არც შემდგომნი...

სწორედ ამის თაობაზე თქვა დიდმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ:

ბუნების წესი ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადურჩენია.

. ძალზე გულდასაწყვეტია ეს ამბავი, მაგრამ ამ მუდმივ ცვალებადობას, წარმავალობას ვერანაირად ვერ მოევლება. სოფელი ამგვარია — მიწყივ ცვალებადი, წარმავალი. სოფელში უცვლელი, მუდმივი, მარადიული არაფერი არ არის. მზე რომ მზეა, ოდესმე, მილიონი წლების შემდეგ ისიც გაცივდება და ჩაქრება. ვარსკვლავებსაც იგივე მოუვათ. ჩვენი დედამიწაც გაქრება მზის გაცივებასთან ერთად.

წუთისოფელი

გარდა წარმავალისა, სოფელს კიდევ მსწრაფლწარმავალსაც უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ მსწრაფლ, ანუ სწრაფად იცვლება ყველაფერი, მსწრაფლ, ანუ სწრაფად გაილევა კაცის სიცოცხლე. აი ამ წუთას რომ ბალღები ვართ, თითქოს თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ და უკვე დიდები შევქნილვართ, კიდევ თვალის დახამხამება და — სამარის პირას მდგარნი. სწორედ ამიტომ შევარქვით ქართველებმა სოფელს, ანუ სამყაროს კიდევ სხვა სახელიც: საწუთრო, წუთისოფელი. მართლაც თითქოს წუთია კაცის სიცოცხლე. და ამ წუთის განმავლობაში მის ირგვლივ ყოველივე იცვლება, თვითონაც იცვლება და საბოლოოდ მიდის ამ ქვეყნიდან.

სოფლის ამ თვისებას, მის მუდმივ ცვალებადობას, წარმავალობას და მსწრაფლწარმავალობას უძველეს დროსვე მიხვდა ადამიანი. და, ამას რომ მიხვდა, უკვდავებაზე ფიქრი დაიწყო, ისეთი ქვეყნის ძიება, სადაც ყველაფერი ცვალებადი და წარმავალი კი არ იქნებოდა, არამედ — უცვალებელი, უკვდავი, მარადიული. გახსოვთ, რამდენი მშვენიერი ზღაპარი თუ მითი მოგვითხრობს უკვდავების ყვავილის, უკვდავების წყაროს ამბავს, უკვდავების მაძიებელი გულადი ვაჟების თავგადასავალს?

მაგრამ ამ ზღაპრებისა თუ მითების შემქმნელებმა ის ვეღარ იაზრეს, რომ ნივთიერ სამყაროში, ამ ჩვენს სოფელში უცვალებელს, მუდმივს, მარადიულს, უკვდავს ვერ მოიხელთებდნენ.

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესთასოფელი

სოფელი, ანუ სამყარო, ანუ ხილული სამყარო მშვენიერია, მაგრამ უხილავი, ზეციური, ღვთაებრივი სამყარო ანუ ზესთასოფელი ასკეცად უფრო მშვენიერი არისო, — ითქვა ზემოთ.

სოფელი ნივთიერია, მატერიალური, ზესთასოფელი უნივთოა, არამატერიალური; სოფელი მიწყივ ცვალებადია, წარმავალი, ზესთასოფელი — უცვალებელი, მუდმივი, წარუვალი; სოფელი მოკვდავ არსებათა სამყოფელია, ზესთასოფელი — უკვდავ არსებათა სამყოფელი; სოფელში მყოფ არსებებს სხეული ესაჭიროებათ, გრძნობის ორგანოები (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა, გემოვნება), ზესთასოფლის არსებებს სხეული და გრძნობის ორგანოები არ ესაჭიროებათ, ისინი არიან უნივთო, უსხეულო, სულიერი არსებანი.

კი მაგრამ მაინც რა არის და როგორია ზესთასოფელი?

ძნელია ამის გაგება. იქნებ შევეცადოთ.

მშვენიერება

ადამიანს მიმადლებული აქვს მშვენიერების ღვთაებრივი გრძნობა. ჩვენ ვცხოვრობთ ღმერთის მიერ გაჩენილ მშვენიერ სამყაროში და ვტკბებით ამ მშვენიერებით. დილით თვალის გახელისთანავე ლაჟვარდი ზეცა შემოგვანათებს. შევმზერთ ზეცას და გვხიბლავს მისი სილამაზე. „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არამქვეყნიერს სიყრმიდგან ვეტრფოდი“, — როგორც იტყოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

შევმზერთ ზეცას და ვამბობთ ჩვენთვის: ღმერთო, რა მშვენიერებაა, რა იქნება, უსასრულოდ შემეძლოს ამ მშვენიერების ჭვრეტა!

ახლა გარემოს დავაკვირდეთ. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყვავილი, ბალახიც კი არ არის მშვენიერი? ხე კი არა, იმ ხის ყოველი ფოთოლიც არაჩვეულებრივად ლამაზია.

ოჯახშიც მიმოვიხედოთ დაკვირვებით. დედა რომ შემოგვეგებება და გაგვიღიმებს, დედის თვალებში სითბო რომ არის ჩამდგარი, ამასაც მშვენიერება ჰქვია.

გავალთ გარეთ და უამრავ ლამაზ ადამიანს დავინახავთ, პირმშვენიერ ადამიანს, როგორც ითქმის ქართულად. ლამაზი სახის გარდა ადამიანის ლამაზი სხეულიც იქცევს ჩვენს ყურადღებას.

კიდევ და კიდევ შეიძლება ჩამოთვლა. და ყოველ ასეთ ცალკე შემთხვევაში კვლავ და კვლავ ვნატრობთ: ღმერთო, რა მშვენიერებაა, რა იქნება, უსასრულოდ შემეძლოს ამ მშვენიერების ჭვრეტა!

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ უსასრულოს, მუდმივს ვერაფერს ვპოვებთ წუთისოფელში. მუდმივად ზეცის მშვენების ჭვრეტაც ისევე არ ეგების, როგორც ლამაზი ხედის, ლამაზი ადამიანის ან ლამაზი ნაგებობისა. იმიტომ, რომ ცა ყოველთვის როდია მოწმენდილი, ხშირად ღრუბელი ეფარება ხოლმე; ის ლამაზი ხედიც არ არის უცვლელი; ლამაზი ადამიანი რომ მოხუცდება, მისი მშვენიერებისგან თითქმის აღარაფერი რჩება; ნაგებობაც ბოლოს და ბოლოს ძველდება და ინგრევა. ასეა ყოველ ცალკე შემთხვევაში. ჩვენ თვითონაც, უთვალავი მშვენიერების მჭვრეტელნი, ადრე იქნება თუ გვიან, ხომ განვშორდებით წუთისოფელს...

ღვთაებრივი მშვენიერება

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ იმგვარ სამყაროში მოვხვდით, სადაც მშვენიერება ცვალებადი და წარმავალი კი არ არის, უცვალებელია და მარადიული, ამასთან, ასკეცად უფრო მომხიბვლელი, ღვთაებრივი. აი, სწორედ ასეთია ზესთასოფლური მშვენიერება.

ამქვეყნიური მშვენიერება დიდებულია, მაგრამ ის მაინც მცირედი ნაწილია ზეციური, ღვთაებრივი მშვენიერებისა, ამასთან, გუშინ იყო და დღეს უკვე გაუჩინარებულია, დღეს არის და ხვალ აღარ იქნება. ხოლო ზესთასოფელი წარუვალი, მარადიული მშვენიერების საუფლოა.

აქ ერთ საგულისხმო ამბავს უნდა მივაპყროთ ყურადღება: როდესაც ამ ჩვენს სოფელში მიწიერ, ამქვეყნიურ მშვენიერებას ვეზიარებით, ამით თანდათანობით ვემზადებით ზესთასოფლური, მარადიული, ღვთაებრივი მშვენიერების საცნობად; როდესაც ამქვეყნიური მშვენიერების ძალუმად განცდა შეგვიძლია, ჩვენ ამ ქვეყნადვე, ხილულ სამყაროშივე, წუთისოფელშივე განვიცდით ზესთასოფლურ ყოფნას და იმასაც ვხვდებით, თუ დაახლოებით როგორია ზესთასოფელი.

სიყვარული

გარდა მშვენიერების გრძნობისა, ღმერთმა ადამიანს სიყვარულის ღვთაებრივი უნარიც უბოძა. ერთობ ძლიერი, დიდი, ამაღლებული სიყვარულის ამბავს გამცნობთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ სიყვარულის თავისებური უნარი ცხოველებსაც აქვთ.

დიდი, ამაღლებული სიყვარული ყველა სხვა გრძნობაზე ძლიერია. ვისაც ამგვარი სიყვარული განუცდია, მან იცის, რომ ამნაირ სიყვარულს ადამიანი ყველაფერს ანაცვლებს, საკუთარ სიცოცხლესაც კი შესწირავს, თუკი საჭიროებამ მოიტანა. ამგვარი სიყვარულით უყვართ მშობლებს შვილები, და-ძმებს — ერთიმეორე, ქმარს — ცოლი, ცოლს — ქმარი, შეყვარებულს — საჭრფო, ამგვარი სიყვარული აკავშირებთ ნამდვილ მეგობრებს, შესაძლოა ამგვარი სიყვარულით თვით უცნობი ადამიანიც კი გვიყვარდეს. ამგვარი სიყვარულის მწვერვალი ღმერთის სიყვარულია.

ჩვენი გუნება-განწყობა, ჩვენი გრძნობები წამისწამ იცვლება: სიხარულს მწუხარება ცვლის, მოწყენას — ხალისი, უიმედობას — სასოება, ვისიმე მოწონებას — მასზე გულის აყრა და ასე დაუსრულებლად. მაგრამ დიდი, ამაღლებული, ღვთაებრივი სიყვარული უცვლელია და ურყევი. ეს სიყვარული მარადიული, სამარადისო არისო, — ასეც ითქმის ხოლმე, — მას ვერც დროის მდინარება შეცვლის, ვერც მანძილის სიშორეო.

სწორედ ასეთია ზესთასოფლური სიყვარული. ზესთასოფელი წარუვალი, მარადიული, ღვთაებრივი სიყვარულის საუფლოა.

და, აი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი ჩვენს გულში დიდი, ამაღლებული, ღვთაებრივი სიყვარული ღვივის, ჩვენ ამ ქვეყანადვე, ხილულ სამყაროშივე, წუთისოფელშივე განვიცდით ზესთასოფლურ ყოფნას და იმასაც ვხვდებით, დაახლოებით როგორია ზესთასოფელი.

მშვენიერი აზრები

ხილულ სამყაროში, სოფელში მხოლოდ ადამიანს აქვს მიმადლებული აზროვნების ღვთაებრივი უნარი, გონება აქვს ბოძებული. მსგავსად ჩვენი გრძნობებისა, ჩვენი აზრებიც შესაძლოა მშვენიერი იყოს.

ვთქვათ, ვზივარ და ვფიქრობ: „რა მეტიჩარაა ეს ჩვენი კლასელი გოგო (ან — ბიჭი), ყველას გული გაგვიწყალა“. ამგვარ აზრს მშვენიერი არაფრისდიდებით არ ეთქმის. საერთოდ, მშვენიერი ვერ იქნება აზრი, როცა სხვას ვკიცხავთ, ვძრახავთ, ვკილავთ. ამას ნამდვილად ის აჯობებს, ჩვენი საკუთარი ნაკლი შევამჩნიოთ და მისი მოშორებისთვის ვიზრუნოთ.

მაგრამ შესაძლოა ამგვარი აზრიც გამიჩნდეს: „როგორი ნაკლიც უნდა ჰქონდეს

იმ ჩვენს კლასელ გოგოს (ან — ბიჭს), მე მაინც ისევე უნდა მიყვარდეს, როგორც ჩემიანები მიყვარს; ყველა ჩვენი კლასელი უნდა მიყვარდეს; იმასაც უნდა შევეცადო, სხვებიც ასევე შევიყვარო, ყველა, ვინც ჩვენს სკოლაში სწავლობს, ვინც ჩვენს სახლში, ჩვენს ქუჩაზე, ჩვენს ქალაქში ან სოფელში ცხოვრობს — ნაცნობი თუ უცნობი; ის კი არა, მცენარეებიც, ცხოველებიც, მთელი ბუნება, მთელი სამყარო შევიყვარო; რადგან სამყარო ღმერთის გაჩენილია და სიკეთისთვის, სიყვარულისთვის არის გაჩენილი, ადამიანები კიდევ ღვთის შვილები ვართ და უნდა მივხვდეთ, რომ მთელი სამყარო და ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვიარსებებთ".

აი, ეს უკვე მშვენიერი აზრი იქნება, იმგვარი აზრი, რომელსაც უკვდავი, სამარადისო შეიძლება ვუწოდოთ. და სწორედ ამნაირ აზრთა საუფლოა ზესთასოფელი. და თუ უკვდავი, სამარადისო აზრები ხშირად გაგვიჩნდა, ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ამ ქვეყნადვე, ხილულ სამყაროშივე, წუთისოფელშივე განვიცდით ზესთასოფლურ ყოფნას და იმასაც ვხვდებით, დაახლოებით როგორია ზესთასოფელი.

К 298.561 3

სასუფეველი ღვთისა

ახლა ალბათ ცოტათი უკეთ შევძლებთ იმის თქმას, თუ რით განსხვავდება სოფელი და ზესთასოფელი: სოფელში მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ დროებით ვეზიარებით ღვთაებრივ მშვენიერებას, ღვთაებრივ სიყვარულსა და ღვთაებრივ აზრებს. ზესთასოფელი წარუვალი, მარადიული, ღვთაებრივი მშვენიერების, სიყვარულისა და აზრების საუფლოა.

ამიტომ არის, რომ ზესთასოფელს კიდევ ეწოდება სასუფეველი ღვთისა, სასუფეველი ცათა, ესე იგი ისეთი სასუფეველი, ისეთი სამყოფელი, სადაც ყოველივე ზეციურია, ღვთაებრივი.

„ზეციურს" რომ ვამბობთ, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ზესთასოფელი, ანუ ღვთის სასუფეველი სადღაც მაღლაა მოთავსებული, ჩვენი ხილული ზეცის რომელიმე ადგილას. სიტყვა „ზეციური" იმას მიგვანიშნებს, რომ ზესთასოფელი, ანუ სასუფეველი არის ხილული სამყაროსგან, სოფლისგან განსხვავებული, ამაღლებული, წმინდა, ღვთაებრივი. მას ადგილი არ ესაჭიროება, ის ყველგან არის, სადაც ღვთაებრივი მშვენიერება, სიყვარული, აზრი იპოვება. როდესაც სალვთო წიგნს „ბიბლიას" გავეცნობით, შევიტყობთ, რაც ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ გვამცნო ადამიანებს: ღმერთის სასუფეველი თქვენს გულებში არისო. აქ იგულისხმება ღვთაებრივი სიყვარულით ანთებული გული.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე უნდა გავიგოთ ზემოთ ნათქვამი — ზესთასოფელი, ღვთის სასუფეველი უნივთო, უსხეულო, სულიერ, უკვდავ არსებათა სამყოფელი არისო. აქ „სამყოფელი" ადგილს კი არ ნიშნავს, იმგვარ მდგომარეობას ნიშნავს, რომელშიც უსხეულო, სულიერი არსებანი იმყოფებიან.

ანგელოზები

ესენი არიან ის არსებანი, რომელნიც ხილული სამყაროს შექმნამდე გააჩინა ღმერთმა. ანგელოზებს ვუწოდებთ მათ. უნდა ვიცოდეთ, რომ „ანგელოზი" ზეციურ არსებათა საერთო სახელად იქცა. სინამდვილეში „ანგელოზი" ზეციურ არსებათა მხოლოდ ერთი ჯგუფის, ერთი დასის სახელწოდებაა. არიან კიდევ მთავარანგელოზები, სერაფიმები, ქერუბინები. სხვა ზეციურ არსებათა სახელებს მოგვიანებით შევიტყობთ. ამჯერად ის დავიმახსოვრეთ, რომ, ანგელოზიო, რომ ვიტყვით, ვგულისხმობთ საერთოდ ზესთასოფლურ, უნივთო, უსხეულო, სულიერ, უკვდავ, წმინდა არსებებს, რომელთაც ადამიანზე დიდად აღმატებული სიბრძნე, ნებელობა და ძალა აქვთ და ადამიანებზე განუზომლად ახლოს არიან ყოველივეს შემოქმედთან.

დიდი ღმერთის მსახურნი და მაცნენი არიან ანგელოზნი, მისი ნების აღმსრულებელნი, და ჩვენ, ადამიანებს დამხმარედ და შემწედ გვევლინებიან წუთისოფლის ძნელ გზაზე. ღვთაებრივი სიწმინდის, სიბრძნის, ნებელობისა და ძალის გარდა მათი უმთავრესი თვისებებია კიდევ საღვთო სიყვარული და სიკეთე. ამ სიყვარულითა და სიკეთით ანთებულნი მუდამ მოქმედნი არიან ისინი, ღმერთის ნებასურვილს ამცნობენ მოკვდავთ, ეხმარებიან ჭეშმარიტების მიკვლევაში, ბოროტ ძალებს ებრძვიან და ადამიანის განწმენდისა და სულიერი ამაღლებისთვის ზრუნავენ დაუცხრომლად. ამიტომ „ზეციურ ძალებს", „ზეციურ მხედრობასაც" უწოდებენ მათ.

ყოველმა ჩვენგანმა იცის, რა მშვენიერი რამ არის სინათლე, ნათელი, სიბნელის მოპირისპირე და მისი განმაფრთხობელი. მაგრამ წარმოვიდგინოთ, ხილული ნათელი თუ ასეთი მშვენიერია, ზესთასოფლური, ღვთაებრივი ნათელი როგორი იქნება! აი, ამ ღვთაებრივი ნათელით არიან მოსილი ანგელოზები. ამიტომ არის, როდესაც ადამიანს გამოეცხადებიან, მათი დამაბრმავებელი ნათელი და მშვენიერება აკრთობს უბრალო მოკვდავს. თუმცა „უბრალო მოკვდავი" არც უნდა ვუწოდოთ იმგვარ პიროვნებებს, ვისაც ანგელოზთა ხილვის პატივი რგებია წილად. მცირედნი იყვნენ ამგვარი ადამიანები. ზოგიერთი მათგანის ამბავს მაშინ შევიტყობთ, საღვთო წიგნის

მთავარანგელოზი მიქაელი.
მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ხატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბიბლიის“ შინაარსს რომ გავეცნობით.

ვინც ეკლესიაში ნამყოფია, უეჭველად დაამახსოვრდებოდა კედლებზე დახატული ანგელოზები. შესაძლოა ზოგიერთ თქვენგანს რომელიმე წიგნის ილუსტრაციებით ან სხვა სურათებითაც ახსოვს ანგელოზთა გამოსახულებანი. ალბათ შენიშნავდით, რომ ანგელოზები გამოიხატებიან პირმშვენიერ, ფრთოსან, ნათელმოსილ, ელვარე სამოსელის მქონე არსებებად. ამთავითვე გმართებთ იცოდეთ, რომ ანგელოზებს არც სახე და სხეული აქვთ, არც ფრთები, არც სამოსი (კიდევ შეგახსენებთ, რომ უსხეულო, სულიერი არსებები არიან). პირმშვენიერად, ფრთოსანად, ელვარე სამოსელის მქონედ იმიტომ გამოსახავენ ხოლმე მხატვრები, რომ ამით მიგვანიშნონ მათი მშვენიერება, ამაღლებული, ზეციური თვისებები, ნათელმოსილება.

ესა და ეს კაცი მფარველ ანგელოზად მოგვევლინაო, — იტყვიან ხოლმე. ამგვარი გამოთქმა იქიდან გაჩნდა, რომ ხალხის რწმენით, ყოველ ადამიანს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს, რომელიც მისი მცველია და შემწე.

ნახატი ანგელოზი არისო, — იტყვიან კიდევ ვინმეს შესახებ. ამით იგულისხმება, რომ უჩვეულოდ ლამაზი, დიდად მშვენიერი არის ის, ვისზეც ამას ამბობენ.

ნამდვილი ანგელოზი არისო, — ამგვარი გამოთქმაც გვსმენია ალბათ. ეს ისეთ ვინმეზე ითქმის, ვინც მშვიდია, წყნარი, სათნო, ტკბილი და კეთილი.

მსგავსი გამოთქმებია „ანგელოზური სახე“, „ანგელოზური გამომეტყველება“, „ანგელოზური ხმა“, „ანგელოზური არსება“, „ჩემო ანგელოზო“ და მისთანანი. ყველა ასეთ შემთხვევაში არაჩვეულებრივ, არაამქვეყნიურ, ამაღლებულ, ზესთასოფლურ, ღვთაებრივ რასმე ვგულისხმობთ.

* * *

მაშასადამე სულიერ არსებათა, ანგელოზთა უმთავრესი თვისებებია სიბრძნე, ძალა, სიწმინდე, სიკეთე და სიყვარულის უსაზღვრო უნარი. ეს სათქმელად არის იოლი, თორემ ამგვარ თვისებათა ერთ არსებაში თავმოყრა ღვთაებრივ სრულყოფილებას ნიშნავს.

აბა დავუკვირდეთ ცხოვრებას. საკმაოდ იშვიათია, რომ დიდი ძალისა და ძალაუფლების მქონე პიროვნება წმინდა, კეთილი და სიყვარულით განსმჭვალული იყოს. ძალა და ძალაუფლება ხშირად თავგზას უკარგავს და თავბრუს ახვევს ადამიანს, ამპარტავან, გულქვა კაცად აქცევს ხოლმე. ამგვარ კაცს ალარც ნამდვილი სიბრძნე შერჩება, ალარც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიწმინდე, სიკეთე და სიყვარულის უნარი.

ამნაირი მაცდუნებელი რამ არის დიდი ძალა და ძალაუფლება. და მართლაც უნდა შევნატროდეთ იმათ, ვინც ძლიერიც არის, დიდი ძალაუფლების მქონეც და მაინც ახლოს არ გაიკარებს ამპარტავნების დამღუპველ სენს, მაინც თავმდაბალი იქნება, კეთილი და მოყვარული. ვინც ამას ვერ შეძლებს, რაგინდ დიდი ძალის პატრონი იყოს, უეჭველად ასცდება სიკეთის გზას.

ასე დაემართა ურიცხვ და უთვალავ ანგელოზთაგან ერთ-ერთს, რომელმაც წარმოიდგინა, რომ მისი სიბრძნე და ძალა უსაზღვრო იყო, რომ მას მაღალი ღმერთის მორჩილება და სამსახური არ ეკადრებოდა, რომ მაღალ ღმერთზე უმჯობესი თვითონ ბრძანდებოდა. სასტიკად დასაჯა უფალმა ის ამპარტავანი, გათავხედებული ანგელოზი, დასწყევლა და ნათლის ღვთაებრივი საუფლოდან, ზესთასოფლიდან მარადიულ წყვდიადში მოაქცია. სწორედ ეს არის ის არსება, ჩვენ რომ ეშმაკს, სატანას ვუწოდებთ, ოდესღაც კეთილი ანგელოზი, აწ კი დაცემული და მარტოოდენ ბოროტების მთესველი.

რა არის ამ ბოროტი სულის მისწრაფება, რას მოქმედებს ან რა საფრთხეს უმზადებს ადამიანს, ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა
დაუნჯებულად გულში ანთებდი,
ბრწყინავდა ირგვლივ, ელავდა ირგვლივ
მარადიული შარავანდედი.
უხილავისა გაიღო კარი —
მუნით დიდებულს ვხედავდი სახეს,
ვგრძნობდი სულ ახლოს მე ფრთათა შრიალს:
თვით სიხარული იდგა ჩემს ახლოს.

ანა კალანდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვათა სალარო

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ იმ სამყაროს, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ, რომელშიც ვცხოვრობთ, ხილული სამყაროც ეწოდება და სოფელიც. მაგრამ მის აღსანიშნავად სხვა სიტყვებიც იხმარება ხოლმე და იმ სიტყვათა ცოდნაც არ გვაწყენს, რადგან ყოველდღიურ მეტყველებაშიც, მხატვრულ ნაწარმოებებშიც, სხვადასხვა წიგნებშიც შესაძლოა ხშირად შეგვხვდეს ეს სიტყვები.

ერთ-ერთი ამგვარი სიტყვაა „სააქაო". ალბათ ყველას გსმენიათ ეს სიტყვა. მაინც განვმარტოთ: სააქაო, ესე იგი აქ სამყოფელი, აქ საცხოვრებელი, აქ საარსებო. სად აქ? სად და ამ ჩვენს სამყაროში, ხილულ სამყაროში, სოფელში. უნდა გვახსოვდეს, რომ ვინც „სააქაოს" ამბობს, ის უეჭველად „საიქიოსაც" გულისხმობს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „საიქიო" უკვე იქ სამყოფელს, იქ საცხოვრებელს ნიშნავს. სად იქ? სად და ჩვენთვის უხილავ სამყაროში, უხილავ სოფელში, ზესთასოფელში.

ითქმის კიდევ „ეს ქვეყანა". აქედან ჩნდება სიტყვა „ამქვეყნიური". ამ სიტყვებს — „ეს ქვეყანა", „ამქვეყნიური" — უპირისპირდება სიტყვები „ის ქვეყანა", „იმქვეყნიური", რომლებიც უხილავ სამყაროს, უხილავ სოფელს, ზესთასოფელს აღნიშნავს.

„იმ ქვეყნის" ბადალ სიტყვებად ზოგჯერ იხმარება „მიღმა ქვეყანა", „მიღმა სამყარო", „იმქვეყნიურის" ბადალ სიტყვად — „მიღმური". რატომ „მიღმა" და „მიღმური"?

„მიღმა" არის იგივე „გაღმა", თქვენთვის კარგად ნაცნობი სიტყვა. დავუკვირდეთ „გაღმას" მნიშვნელობას. ითქმის ხოლმე: „მდინარის გაღმა", „გაღმა მხარე", საქართველოს ზოგიერთ კუთხეში „გაღმართიც" იხმარება. ამის თქმისას იგულისხმება რაღაცის იქით მდებარე მხარე. „მდინარის გაღმა" არის „მდინარის იქით", მდინარე არის ის საზღვარი, ის მიჯნა, რომელიც ყოფს გამოღმა მხარეს და გაღმა მხარეს. იგივეა მოკლედ ნათქვამი „გაღმა" და იგივეა „მიღმაც". რაკი ასეა, „მიღმური" ის იქნება, რაც გაღმა ან მიღმა მხარეში არის. „მიღმური ცხოვრება" იქნება გაღმა ან მიღმა სამყაროში ანუ იგივე ზესთასოფელში ცხოვრება.

სხვაგვარი გამოთქმაც შეგვხვდება: „მიწიერი", „მიწიერი ცხოვრება". ეს ნიშნავს: „ამქვეყნიური", „ამქვეყნიური ცხოვრება". „მიწიერს" უპირისპირდება „ცა" ან „ზეცა", „ზეციური", „ზეციური ცხოვრება", რაც ისევ და ისევ უხილავ, ღვთაებრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს, ზესთასოფელს ნიშნავს, ზესთასოფლურ ცხოვრებას.

„სოფელს“ კიდევ უპირისპირდება „ის სოფელი“, „საუკუნო სოფელი“, „მერმე სოფელი“. „საუკუნო სოფელი“ სამარადისო, მარადიული სოფელია, „მერმე სოფელი“ — მომავალი, მომავალში სამყოფელი სამყარო ანუ ზესთასოფელი.

ახლა მივყვეთ ამ თავში ნახმარ უცნობ სიტყვათა ჩვეულ განმარტებას.

დაისი — მზის ჩასვლა, მზის ჩასვლის დრო.
ანაზდად — ერთბაშად, უცებ.
ფყვდიადი — განუჭვრეტელი სიბნელე.
საგულისხმო — დიდად საყურადღებო.
ცას ხომ ვერ გამოვეკერებით — მუდამ ხომ ვერ ვიცოცხლებთ.
მიწყივ — მუდამ.
ბალღი — ბავშვი.
ხანდაზმული — ხნიერი.
მოიხელთებდნენ — ხელში ჩაიგდებდნენ.
მიმადლებული აქვს — მინიჭებული, ბოძებული აქვს.
ლაჟვარდი — ღია ლურჯი.
შევმზერთ — ქვემოდან ზემოთ შევყურებთ.
არ ეგების — აქ: არ ხერხდება, შეუძლებელია.
ხედი — თვალით დასანახი ადგილი.
უცვალებელი — უცვლელი.
ასკეცად — ასჯერ მეტად.
ძალუმად — ძლიერად.
გამცნობთ — გაცნობებთ, გატყობინებთ.
თუკი საჭიროებამ მოიტანა — თუკი საჭირო გახდა.
სატრფო — საყვარელი.
ფამისფამ — ყოველ წამს.
სასოება — იმედი.
გულის აყრა — გულის აცრუება, მობეზრება.
ბოძებული — მიცემული.
ვკილავთ — დავცინით.
საუფლო — სამყოფელი, საბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასი – კრებული.
ნებელობა – ნებისყოფა.
მაცნე – ამბის მომტანი.
ამცნობენ – ატყობინებენ.
განმაფრთხობელი – გამფანტავი.
პატივი რგებია ფილად – ღირსებია.
ილუსტრაცია – წიგნში ჩართული სურათი.
სიყვარულით განმსჭვალული – სიყვარულით აღსავსე.
თავგზას უკარგავს – აბნევს, გზა-კვალს ურევს.
მაცდუნებელი – შემაცდენელი.
აწ – ახლა.

ანა კალანდაძის ლექსში განსამარტავი სიტყვები:

დაუნჯებულად – შესაგროვებლად, შესანახად.
შარავანდედი – სხივი, შუქი.
მუნით – იქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეული და სული

აქამდე ჩვენ სულის შესახებ არ გვისაუბრია, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ყოველმა თქვენგანმა ისედაც იცის, რომ ადამიანს სხეულიც აქვს და სულიც აქვს. ეს ამბავი ალბათ უფროსებსაც უთქვამთ თქვენთვის, წიგნშიც წაგიკითხავთ, ტელევიზორის ეკრანიდანაც გსმენიათ. ახლა ცოტათი უკეთ უნდა გავიგოთ, რა არის სული.

თუმცა მანამდე ის უნდა გავიგოთ უკეთ, რა არის სხეული.

ამას რა გაგება უნდაო, — იტყვით თქვენ, — სხეული არის სხეული, აგერ, ჩემი სხეული — ჩემი თავი, კისერი, ხელ-ფეხი, მკერდი, ზურგი... აგერ კიდევ სხვათა სხეულები — ყოველ ადამიანს აქვს სხეულიო.

შესაძლოა მართალიც იყოთ ამის თქმისას, მაგრამ მაინც დავუკვირდეთ ზოგიერთ რამეს.

სხეული

ჯერ იმას დავუკვირდეთ, რა დიდებულად არის შექმნილი ჩვენი სხეული. ყველაფერი გვაქვს ბოძებული საიმისოდ, რათა ლაღად ვიგრძნოთ თავი ჩვენს გარემომცველ მომხიბვლელ სამყაროში ანუ სოფელში. ერთი წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, ვთქვათ, თვალები რომ არ გვქონდეს, ყურები რომ არ გვესხას: ვერაფერს დავინახავდით, ვერაფერს მოვისმენდით. ახლა ენა? — ხმას ვერ ამოვიღებდით, ვერავის შევეხმიანებოდით. ხელები? — ვერანაირ საქმეს ვერ გავაკეთებდით. ფეხები? — ერთ ადგილას ვიქნებოდით სამუდამოდ მიჯაჭვულნი.

მივყვეთ ასე და ადვილად დავრწმუნდებით, რომ მართლაც დიდებულად, ბრძნულად არის შექმნილი ჩვენი სხეული და ამის წყალობით არის იგი მთელი სამყაროს მოუკვეთელი ნაწილი, ამის წყალობით ვეგუებით ჩვენ სამყაროს და სამყარო ჩვენ გვეგუება.

გარდა იმისა, რომ დიდად გონივრულად არის მოწყობილი ადამიანის სხეული, მშვენიერიც არის. საამო სანახავია ადამიანი, ლამაზი პირ-სახე და ლამაზი ტანი მთელ გარემოს ამშვენებს.

გულდასაწყვეტი ის არის, როგორც ყოველივე დანარჩენი ამ სოფელში, ადამიანის მშვენიერი სხეულიც წარმავალია, მოკვდავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავი სული

დავუკვირდეთ, რაც ამ წუთას ითქვა: ადამიანის სხეულია წარმავალი, მოკვდავი და არა მთლიანად ადამიანი. ეს იმიტომ, რომ სული უკვდავი აქვს ადამიანს. ყოველი ადამიანი იბადება, იზრდება და კვდებაო, — როცა ვამბობთ ხოლმე, სინამდვილეში სწორი არ არის ეს: იბადება, იზრდება და კვდება ადამიანის სხეული. სული არ კვდება, სული მარად ცოცხლობს, სული უკვდავია.

სხეულისა და სულის ერთიანობა

მაგრამ ის არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ ქვეყნად ადამიანის სხეული ცალკე არსებობდეს და სული — ცალკე. სხეული და სული უმჭიდროესად არის ერთიმეორეს დაკავშირებული და, ვიდრე ადამიანი ცოცხალია, მათი გათიშვა არასგზით არ მოხდება. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გამოეყოფა სული სხეულს და დამოუკიდებელ სიცოცხლეს იწყებს. ამიტომ ჰქვია სიკვდილს გარდაცვალება: სიკვდილის შემდეგ ადამიანი კი არ ისპობა, მხოლოდ იცვლება, სახეს იცვლის. მისი სხეული აღარ არსებობს, სული კი სხვაგვარად, შეცვლილად, უსხეულოდ განაგრძობს არსებობას.

ამიტომაც ითქმის ხოლმე: ადამიანი ამ ქვეყნად, სოფელში სტუმარი არისო, მცირე ხნით ესტუმრება საწუთროს და შემდეგ თავის სამშობლოს უბრუნდებაო. ადამიანის ნამდვილი სამშობლო, მისი სამუდამო სამყოფელი არის ზესთასოფელი, ღვთაებრივი, მარადიული, უცვლელი სამყარო. სწორედ ზესთასოფელს უბრუნდება სული ადამიანის გარდაცვალების შემდეგ.

მანამდე კი ამ ქვეყნად სხეული და სული ერთი განუყოფელი მთლიანობაა, ისინი ერთ არსებას შეადგენენ. ეს არსება ვერც სხეულის გარეშე გაძლებს, ვერც სულის გარეშე.

სული თუ არ იქნა, ცალკე არსებული სხეული უსიცოცხლო გვამი იქნება მხოლოდ და მხოლოდ. იმიტომ, რომ სხეულს სული ანიჭებს სიცოცხლეს, სული აცოცხლებს, სადაც სული არ არის, იქ არც სიცოცხლეა. თუ სიცოცხლე არ იქნა, ვერც გრძნობის ორგანოები იმოქმედებენ, ვერც გრძნობები და განცდები გაჩნდება, ვერც აზრები. მაგრამ, თუ გრძნობის ორგანოები არ იმოქმედებენ, თუ გრძნობები, განცდები, აზრები არსად ჭაჭანებს, რაღა დარჩება ადამიანისგან? — უგრძნობელი



მიქელანჯელო – ადამის შექმნა (დეტალი).

ეროვნული

და უმაქნისი სხეული.

სხეული სულის იარაღი არისო, — ასეც ითქმის ხოლმე, — და ამ იარაღს სული სამოქმედოდ იყენებს, რადგან, ეს იარაღი თუ არ ექნა, ისე სული ვერ იმოქმედებსო.

სული სხეულის უფალი და მბრძანებელი არისო, — ითქმის კიდევ, — მისი წინამძღვარი და მმართველიო.

სული და გრძნობის ორგანოები

ჩვენ რომ რამეს ვხედავთ, მაგალითად, ეზოში მდგარ ხეს, ამას სული ხედავს და არა სხეული. კი ვამბობთ ხოლმე — ჩემი თვალით ვხედავო, მაგრამ შეჩვეულნი ვართ ასე თქმას და იმიტომ ვამბობთ. სინამდვილეში თვალი მხოლოდ იარაღია, მოწყობილობაა იმისთვის, რომ სულმა რაიმე დაინახოს — ხე იქნება, სახლი, მთა თუ სხვა რამ.

ჩვენ რომ რამეს ვისმენთ, მაგალითად, ეზოში მდგარი ხის შრიალს, ამას სული ისმენს და არა სხეული. კი ვამბობთ ხოლმე — ჩემი ყურით გავიგონეო, მაგრამ შეჩვეულნი ვართ ასე თქმას და იმიტომ ვამბობთ. სინამდვილეში ყური მხოლოდ იარაღია, მოწყობილობაა იმისთვის, რომ სულმა რაიმე მოისმინოს — ხის შრიალი იქნება, მამლის ყივილი თუ ძაღლის ყეფა.

სული და გრძნობები, გონება

ახლა ის მოვლენები გავიხსენოთ, რომლებსაც გრძნობებსა და განცდებს ვუწოდებთ: სიხარული, მწუხარება, სიყვარული, სიძულვილი, სიბრალული, შიში, ზიზღი, გაკვირვება, სირცხვილი, აღშფოთება, სიამაყე, ეჭვიანობა, რისხვა, იმედი, სასოწარკვეთილება და მისთანანი. სხეულს კი არ უხარია, სხეული კი არ არის მწუხარე, სხეულს კი არ უყვარს ვინმე ან რამე, არამედ სულს უხარია, სული არის მწუხარე, სულს უყვარს ვინმე ან რამე და ასე და ამგვარად.

ჩვენი აზრების ანუ ჩვენი გონების შესახებაც იგივე ითქმის. რამეს როცა ვფიქრობთ, სული ფიქრობს და არა სხეული, აზროვნება სულის თვისებაა და არა სხეულისა.

წუთით მივუბრუნდეთ წინა გაკვეთილს — „სოფელს და ზესთასოფელს". თუ გახსოვთ, იქ ასე ითქვა, რომ ნივთიერ, ხილულ სამყაროში, სოფელში არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერც თვალით ვიხილავთ, ვერც ყურით მოვისმენთ, ვერც სხვა გრძნობის ორგანოებით მივწვდებით. ეს არისო, — ვთქვით ჩვენ, — გრძნობები, განცდები, აზრები, რომლებიც ნივთიერი, ხილული არ არის, უხილავია. ახლა უკეთ გავიგებთ ადრე ნათქვამის მნიშვნელობას: ჩვენი გრძნობები, განცდები და აზრები სხეულს კი არ ეკუთვნის, სულს ეკუთვნის, სულის თვისებებია და იმიტომაც არ არის ნივთიერი, ხილული, შესახები. სხეული ნივთიერი, ხილული სამყაროს ნაწილია, სული — უნივთო, უხილავი სამყაროს, ზესთასოფლისა. ის არ არის ნივთიერი, ხილული, ის არის უხილავი, უსხეულო, და ასეთივეა მისი თვისებები — გრძნობები, განცდები, აზრები.

ნებისყოფა

გრძნობებისა და გონების გარდა სულს ერთი საკვირველი თვისება აქვს კიდევ და ამ თვისებას ნებისყოფა ან ნებელობა ჰქვია.

რა არის ნებისყოფა?

წარმოვიდგინოთ: დილით ცივ ოთახში გამეღვიძა, ადგომა მეზარება. ვიცი, რომ აუცილებლად უნდა ავდგე, სკოლაში ვარ წასასვლელი, მაგრამ სხეული მეურჩება, თავს ვერ ვძლევ. და უეცრად — საბანს გადავიძრობ, წამოვხტები და წასასვლელად ვემზადები. რაღაც ძალამ წამომახტუნა. აი, ეს ძალა არის ნებისყოფა, ნებელობა. ეს არის სულიერი ძალა, სულის ძალა, ურომლისოდაც სული ვერც სხეულს მართავდა, ვერც გრძნობებსა და აზრებს.

იქნებ ერთი მაგალითი კიდევ მოვიშველიოთ. ძალიან მოშიებული ვბრუნდები სკოლიდან, ერთი სული მაქვს, რაღაცა შევჭამო, რომ იტყვიან, სული კბილით მიჭირავს. შევვარდი სამზარეულოში, სუფრაც გაშლილი დამიხვდა, დედას საუზმე გაუმზადებია ჩემთვის. ამ დროს დედა მეუბნება:

— შენი ჭირიმე, სანამ ისაუზმებდე, იქნება აფთიაქში გაიქცე, ჩვენი მეზობელი ცუდად შეიქნა და წამალი არ ჰქონიათ თურმე!

ამის თქმა იყო და რაღაც ძალამ შემაბრუნა, გაშლილი სუფრა მიმატოვებინა და აფთიაქისკენ გამაქანა. ვაჯობე შიმშილის გაუძლის გრძნობას, ვაჯობე ჩემს თავს და სასიკეთო საქმე გავაკეთე. ესეც ნებისყოფის წყალობით მოხდა.

გრძნობებისა და გონების მსგავსად ნებისყოფაც სულის თვისებაა, არანივთიერი, უხილავი ძალა.

ახლა კიდევ ერთხელ გავიაზროთ ყოველივე, რაც აქამდე ითქვა.

ადამიანს აქვს გრძნობის ორგანოები — მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა, გემოვნება.

ადამიანს აქვს გრძნობები და განცდები.

ადამიანს აქვს გონება — აზრები, ფიქრები.

ადამიანს აქვს ნებისყოფა, ნებელობა.

სხეულისა და სულის კავშირი

გრძნობის ორგანოების, გრძნობებისა და განცდების, გონებისა და ნებისყოფის მეშვეობით სხეული და სული ისე არიან გადასკვნილნი ურთიერთს, რომ მათი განცალკევება, დაშორიშორება არასგზით არ შეიძლება. სხეულის მდგომარეობა, სხეულის ყოველგვარი ცვლილება სულზეც ზემოქმედებს და სულის მდგომარეობა, სულში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება სხეულზეც ახდენს გავლენას. ადამიანის სიცოცხლე სხეულისა და სულის მუდმივ, განუწყვეტელ კავშირს და ერთმანეთზე ზემოქმედებას ნიშნავს.

ვთქვათ, გამიწყრა ღმერთი და უსინდისოდ ვიცრუე, ტყუილი ვთქვი. ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, იმიტომ არის ნათქვამი, რომ მალე გამჟღავნდება ის ჩემი ტყუილი და შემარცხვენს. ასეც რომ არ მოხდეს, რომ გამახსენდება ჩემი უკადრისი საქციელი, ისედაც შემრცხვება, ჩემი თავის შემრცხვება.

ახლა ვიკითხოთ: რა არის სირცხვილი? სხეული გრძნობს სირცხვილს თუ სული? რაღა თქმა უნდა, სული, სირცხვილს სული გრძნობს.

მაგრამ შემრცხვება თუ არა, უცნაური რაღაც მოხდება: სახეზე გავწითლდები, როგორც ითქმის ხოლმე, ალმური მომედება.

რა გამოდის აქედან? სულში მომხდარი რაღაც ძვრა, რაღაც ცვლილება — ამ შემთხვევაში სირცხვილის გრძნობა — სხეულშიც იწვევს ცვლილებებს, ამ შემთხვევაში — სახის წამოწითლებას.

სხვა მაგალითი: ქუჩაში მივდივარ და დავინახე, რომ ერთ პატარა ბიჭს სამი თუ ოთხი აყლაყუდა მისდგომია და უმოწყალოდ სცემს. ამის დანახვისას, თუკი კაცური კაცი მქვია, აღვშფოთდები, განვრისხდები, უფრო მარტივად თუ ვიტყვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული მომივა, ძალიან გავბრაზდები.

რა არის განრისხება, გულის მოსვლა? სხეული განრისხდება თუ სული? რაღა თქმა უნდა, სული, სული განრისხდება და აღშფოთდება.

მაგრამ განვრისხდები თუ არა, უცნაური რაღაც მოხდება: მუშტები ჩემდაუნებურად მომეკუმშება, კუნთები დამეძაბება და იმ პატარა ბიჭის მისაშველებლად გავექანები.

ამჯერადაც იგივე ამბავი მოხდა: სულის მდგომარეობამ, სულში მომხდარმა რაღაც ძვრამ, რაღაც ცვლილებამ — ამ შეთხვევაში განრისხებამ — სხეულზეც იმოქმედა და მასში ცვლილებები გამოიწვია, ამ შემთხვევაში — მუშტების მოკუმშვა, კუნთების დაძაბვა, მოჩხუბრებისკენ გავარდნა.

კიდევ სხვა მაგალითი: სამწუხარო ამბავი შევიტყვე, ჩემს საყვარელ ადამიანს მანქანა დაჯახებია და ფეხი აქვს მოტეხილი. ძალიან შევწუხდი, ძალიან შემეცოდა ის ადამიანი, გული ამიჩუყდა და ცრემლები წამომივიდა.

კვლავ ვხედავთ, რომ სულის მდგომარეობამ — ამ შემთხვევაში მწუხარებამ — სხეულზეც იმოქმედა და თვალთაგან ცრემლები დამადინა.

ახლა საპირისპირო მაგალითი: ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ, ვთქვათ, მძიმე სენი შემეყარა, სიყვითლე დამემართა. ეს ავადმყოფობა ჩემს სხეულს სჭირს, მაგრამ, სანამ ავად ვარ, ჩემი სულიც ვერ იქნება მოსვენებული, ნიადაგ შეშფოთებული იქნება სული, მწუხარე იქნება, ხოლო როცა განვიკურნები, სულიც გაიხარებს და მოისვენებს.

როგორც ვხედავთ, სხეულის მდგომარეობამ სულზეც იმოქმედა, ჯერ დაამწუხრა სული, მერე გაახარა.

სხვა მაგალითების გახსენება იქნებ აღარც იყოს საჭირო. ყოველი ჩვენგანი, თუკი კარგად დაუკვირდება, ათასჯერ და ათასჯერ შენიშნავს, როგორ მოქმედებს სული სხეულზე და სხეული — სულზე.

სხეულისა და სულის მოვლა

სხეულისა და სულის ეს განუყოფელი ერთიანობა უძველესი დროიდანვე შენიშნული ჰქონდათ გონიერ ადამიანებს. ამიტომ იყო, რომ ყველა ბრძენკაცი ხალხს იმას ურჩევდა: სხეულს კარგად მოუარეთ, სუფთად შეინახეთ, ავარჯიშეთ, გაწვრთენით, გაიმაგრეთ, მაგრამ სულიც არ დაივიწყოთ, სულისთვისაც იზრუნეთ, ავი გრძნობები და აზრები განაშორეთ, სიკეთის ქმნას შეაჩვიეთ, განიმტკიცეთ და გაის-

პეტაკეთო; სხეული და სული შეხმატკბილებულად უნდა არსებობდნენ და ერთ დიდ მიზანს ემსახურებოდნენ — კაცის მთლიანი ბუნების გაუმჯობესებას, მის ამაღლებასო.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული არისო, — უყვარდათ თქმა ძველ საბერძნეთში. უდიდესი ფილოსოფოსი პლატონი, რომელიც ოცდაოთხი საუკუნის წინათ ცხოვრობდა და ადამიანის სხეულისა და სულის მშვენიერების დიდი ტრფიალი იყო, სხეულს ეტლს ადარებდა, ხოლო სულს — მეეტლეს, იმ ეტლის მმართველს და თავის ნებაზე წამყვან-წამომყვანს.

პლატონი იმასაც ამბობდა: „როდესაც ძალოვანი და ყოველმხრივ დიადი სული ვითარცა ეტლზე, ისე არის ამხედრებული ერთობ სუსტსა და ძაბუნ სხეულზე, ან კიდევ როდესაც წონასწორობა პირუკუ არის დარღვეული, მაშინ ცოცხალი არსება მთლიანად აღარ არის მშვენიერი".

ეს ყოველ კაცს უნდა ახსოვდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ყოველი კაცი უნდა ზრუნავდეს როგორც სხეულის, ისე სულის მისახედად, მოსავლელად.

სული უმთავრესია

მაგრამ ეს არ კმარა. გონიერ ადამიანს ისიც მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ, მართალია, სხეული და სული ამ ქვეყნად უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ, მაგრამ უმთავრესი, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს, მაინც სული არის და არა სხეული.

მშვენიერი სხეული ცხოველებსაც აქვთ. გავიხსენოთ, რარიგ მომხიბვლელია ველზე გაფრენილი ჯიშიანი ცხენი, თვალებკრიალა შველი ან ბოჩოლა, კლდის ქიმზე წამომართული ჯიხვი. მაგრამ ამ და სხვა მშვენიერ ცხოველებს არ აქვთ ის უმთავრესი, რაც მათს სილამაზეს ღვთაებრივ ელფერს მიანიჭებდა, არ აქვთ უკვდავი სული, რომლის მშვენიერებას, თუკი მისი შემჩნევის უნარი გვაქვს, ვერავითარი ხორციელი სილამაზე ვერ შეედრება.

უწინარეს ყოვლისა, სწორედ სული, უკვდავი, ღვთაებრივი სული გამოარჩევს ადამიანს ცხოველთა სამყაროსგან; სწორედ სულის, უკვდავი, ღვთაებრივი სულის წყალობით აქვს ადამიანს უფლება, რომ ქვეყნიერების პატრონად და მბრძანებლად იწოდებოდეს; სწორედ სულის, უკვდავი, ღვთაებრივი სულის მეოხებით აკავშირებს ადამიანი ორ სამყაროს — ჩვენს ხილულ სამყაროს, სოფელს და უხილავ, ღვთაებრივ სამყაროს, ზესთასოფელს. დიდებული რამ არის ეს კავშირი, მის გამოც არის ყოველი კაცი მშვენიერი და განუმეორებელი.

აქ ნათქვამის უკეთ გასაგებად ერთი მაგალითი მოვიშველიოთ. ჩვენს წინაშე დგას ადამიანი, რომელიც გვხიბლავს თავისი გარეგნობითაც და ფაქიზი გემოვნებით მორგებული ტანისამოსითაც. ლამაზია მისი ტანსაცმელი, მაგრამ ამ ლამაზ ტანსაცმელს თავისთავად არავითარი ფასი არ ექნებოდა, სხეულის გამშვენებას რომ არ უწყობდეს ხელს. და, აი, ძველად ასე ამბობდნენ ხოლმე: რაც არის სხეულისთვის ტანსაცმელი, იგივე არისო სულისთვის სხეული.

რას ნიშნავს ეს გამოთქმა? იმას, რომ, როდესაც სხეულსა და ტანსაცმელზე ვსაუბრობთ, მთავარი სხეულია და არა ტანსაცმელი. და როდესაც სულზე და სხეულზე ვსაუბრობთ, მთავარი სულია და არა სხეული. რაგინდ კარგად მოვლილი და მშვენიერი სხეული გვქონდეს, თუ სული არ გვაქვს კარგად მოვლილი და მშვენიერი, სხეულის ფასიც იკარგება, მაშინ მთლიანად ადამიანი აღარ არის მშვენიერი.

ამგვარია ძალიან მარტივად თქმული სხეულისა და სულის ამბავი. ამ ქვეყნად ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ, განუშორებლად არიან ერთიმეორეს დაკავშირებულნი და კაცის დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე ერთადვე მიუყვებიან საწუთროს ერთობ გრძელსა და მაინც ერთობ მოკლე გზას.

როდესაც რომე ქვეყნად, სოფელად
მოვიდა კაცი შიგ სამოფელად,
ორნივ თან ვახლდით — ხორცი და სული,
მისად მეკვანებლად ზედ შეთვისული.

დავით გურამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვათა სალარო

სხეულს რომ სული ანიჭებს სიცოცხლეს, სული რომ უმთავრესია ადამიანისთვის, ამას ჩვენი ზღაპრულად მდიდარი ქართული ენაც გვიდასტურებს. სხვა რომ არაფერი, საკმარისია ორი სიტყვა გავიხსენოთ: „სულიერი" და „სულდგმული".

„სულიერი" ნიშნავს „ცოცხალს". ამასვე ნიშნავს „სულდგმული", ესე იგი ის, ვისაც სული უდგას, სული აქვს ანუ ცოცხალია. ეს თუ ვიცით, მერე ძნელი აღარ იქნება ამ სიტყვებისგან ნაწარმოებ სხვა სიტყვათა მნიშვნელობის მიხვედრა, ვთქვათ, ამგვარი სიტყვების და გამოთქმებისა: „მოსულიერდა", „ასულდგმულებს", „სულის ჩამდგმელი", „სული ძლივს უდგას" და მისთანანი.

„მოსულიერდას" ისეთ ვინმეზე იტყვიან, ვინც თითქმის აღარ იყო ცოცხალი, ლამის მკვდრად იყო ქცეული და შემდეგ კვლავ მოცოცხლდა ანუ მოსულიერდა. ეს არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა.

„მოსულიერდა" გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. ვისმე ძალიან რომ სწყურია და წყალს მივაწვდით, დალევს და იტყვის: უჰ, ძლივს არ მოვსულიერდიო! ესე იგი: წყურვილით ვკვდებოდი, კინაღამ მომკლა წყურვილმა და ახლა გავცოცხლდი, მოვსულიერდიო. რასაკვირველია, ამის მთქმელი ნამდვილ სიკვდილს და ნამდვილ გაცოცხლებას არ გულისხმობს, მხოლოდ იმას გულისხმობს — წყურვილით ერთობ შეწუხებული ვიყავიო.

სხვა შემთხვევა: ერთი ოჯახი დიდ გასაჭირში ცხოვრობს, საარსებო სახსარი აღარ გააჩნია. გამოჩნდა ვიღაც ღვთისნიერი და იმ ოჯახს დახმარების ხელი გაუწოდა — ფული ასესხა ან რაიმე სურსათი უწილადა. შენმა შეწევნამ მოგვასულიერაო, — ეტყვიან მადლიერი ოჯახის წევრები იმ ღვთისნიერ კაცს. აქაც გადატანითი მნიშვნელობით ითქმის „მოსულიერება": ნამდვილად კი არ კვდებოდნენ, მერე ნამდვილად კი არ გაცოცხლდნენ, არამედ იმ დახმარების წყალობით, როგორც ითქმის კიდევ, სული მოითქვეს, სული მოიბრუნეს.

„ასულდგმულებს" რაღა არის? იგივე „აცოცხლებს" არის. ესა და ეს კაცი ავადაა, მაგრამ მალე მორჩენის იმედი ასულდგმულებსო, — ვიტყვით ხოლმე და ვგულისხმობთ: მალე მორჩენის იმედი აცოცხლებსო. მტრების მიერ იავარქმნილ საქართველოს მაინც გამარჯვების იმედი ასულდგმულებდაო, — შესაძლოა ამოვიკითხოთ სადმე. ცხადია, რაც იგულისხმება: გამარჯვების იმედი აცოცხლებდაო.

„სულის ჩამდგმელი“ თითქმის მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ეს მეტწილად ითქმის იმნაირი ადამიანის შესახებ, რომელიც ვისიმე ან რისამე მხსნელია, მშველელი, რაიმე საქმეს მარჯვედ, კარგად უძღვება, აცოცხლებს რაიმე საქმეს. ორიოდე მაგალითი: ურიცხვ მტერთაგან საქართველოს განთავისუფლების საშვილიშვილო საქმის სულის ჩამდგმელი დავით აღმაშენებელი იყო; ეროვნული მოძრაობის სულის ჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე იყო.

„სული ძლივს უდგას“ რას ნიშნავს, ადვილად მიხვდებით: „ძლივს არის ცოცხალი“, „ცოცხალმკვდარია“. ამასვე ნიშნავს „სულს ღაფავს“, „სულთმობრძავი“, „სულთა ბრძოლა“. ყველა ამ გამოთქმით მომაკვდავი ადამიანი იგულისხმება.

„სულთან“ დაკავშირებული კიდევ მრავალი სიტყვა და გამოთქმა ნიშნავს ადამიანის სიკვდილს. ამათგან ზოგიერთი ნაცნობი იქნება თქვენთვის, ზოგს ახლა გაეცნობით.

„სული დალია“. აქ „დალია“ რაიმეს შესმას კი არ ნიშნავს, დასრულებას, დამთავრებას ნიშნავს. შევადაროთ: გზა დაილია, ფქვილი გამოილია ანუ დაილია და მსგავსი გამოთქმები.

„სული განუტევა“ — სიტყვა „განუტევა“ ნიშნავს „გაუშვა“, „გაამგზავრა“. ვინც სულს განუტევებს, ის ამ ქვეყნიდან სხვაგან გაუშვებს, გაამგზავრებს სულს. სად გაუშვებს, თქვენ უკვე იცით.

„სულისა და ხორცის გაყრა“. თუ გავიხსენებთ, ამ გაკვეთილში რაც ითქვა, არ უნდა გაგვიძნელდეს ამ გამოთქმის მნიშვნელობის გაგება. ამასვე ნიშნავს „სულთან გაყრილი“, ესე იგი სულს განშორებული.

იგივე მნიშვნელობისაა „სული ამოუვიდა“, „სულამომდინარი“, „სული ამოხდა“, „სული ამოსძვრა“, „სული გასძვრა“, „სული გააგდებინა“, „სული ამოართვა“, „სული გააფრთხობინა“, „სულისგან დაცლა“, „სულის მიბარება“, „სული ღმერთს მიაბარა“.

ვინც სული დალია ანუ სული განუტევა, მისი სული ამ სოფელს, სააქაოს შორდება. ჩვენ უკვე ვიცით, სად მიდის სული კაცის გარდაცვალების შემდეგ: საიქიოს მიდის, ანუ, როგორც ხალხში იტყვიან, სულეთში მიდის. სააქაოს დარჩენილნი სულეთს წასულებს იმისდამიხედვით იხსენიებენ, როგორიც იყო გარდაცვლილი კაცი. კეთილ კაცად თუ მიაჩნდათ, გარდაცვლილზე იტყვიან — ცხონებულიო, სულკურთხეულიო, სულგანათლებულიო. ცუდ კაცად თუ მიაჩნდათ, სხვაგვარად მოიხსენიებენ ხოლმე — სულწაწყმენდილიო.

ამასობაში თქვენ მოგეწყინებოდათ კიდეც ამდენი საუბარი სიკვდილსა და საიქიოზე. ახლა სააქაოს მოვხედოთ. სხვა არა იყოს რა, სული ტკბილია და

ძეხორციელს არ სურს მასთან განშორება, რადგან სულზე ძვირფასი არაფერი აქვს ადამიანს. ამის ცოდნის შედეგად გაჩნდა გამოთქმა „სულზე უტკბესი". ამას ისეთ ვინმეზე იტყვიან, ვინც ყველასა და ყველაფერზე საყვარლად და ძვირფასად მიაჩნიათ. სულზე უტკბესია მშობლისთვის შვილი, შეყვარებულისთვის — მისი სატრფო, მეგობრისთვის — მეგობარი.

სულს მირჩევნიაო, მისთვის სულს არ დავიშურებო, — ასეც ითქმის ხოლმე. სხვათა შორის, ამ გამოთქმის მიხედვით იმის გარკვევაც შეიძლება, როგორი ბუნების ადამიანია ამის მთქმელი. როცა შვილზე, მშობელზე, მეგობარსა ან სატრფოზე იტყვიან — სულზე უტკბესი არისო, სულს მირჩევნიაო, მისთვის სულს არ დავიშურებო, — ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამის მთქმელს შვილისთვის, მშობლისთვის, მეგობრისა თუ სატრფოსთვის შეუძლია სულის დადება ანუ თავის დადება, თავგანწირვა. ამგვარი ვინმე სულდიდია, დიდსულოვანი, სულგრძელი. მაგრამ იმნაირი ხალხიც შეგვხვდება ცხოვრებაში, ვთქვათ, ხინკალზე ან საცივზე რომ იტყვიან — სულს მირჩევნიაო, ან კიდევ — სულს გავყიდი, ოღონდ ახლა ერთი კათხა ლუდი დამალევინაო. ამდაგვარებს სულდიდი არ ეთქმით, რასაკვირველია. მათ არც სულის სიმშვიდე გააჩნიათ, არც სულის სიმტკიცე, ფუჭსა და ამაო ცხოვრებას არიან შემსჭვალულნი სულით ხორცამდე და ამიტომ სულმოკლეც შეიძლება ვუწოდოთ მათ, სულსწრაფიც, სულწასულიც, ისეთი ხალხი, ვისაც ადვილად წასძლევს სული.

დავეხსნათ ამგვარ ადამიანებს და ისინი მოვიგონოთ, ვისაც სულმნათს უწოდებს ქართველი ერი. ეს სიტყვა რას ნიშნავს, ალბათ მიხვდით უკვე: სულმნათი ის არის, ვისი სულიც ანათებს, მანათობელია, გასხივოსნებული. სულმნათნი ისინი იყვნენ, ვინც თავისი გაბრწყინებული სულით სავალ გზას გვინათებს დღემდე, ვინც ქართველი ერის სულიერი კულტურა აამაღლა და სულით დაცემას გადაარჩინა ეს ერი. იქნებ თქვენ თვითონვე გაიხსენოთ ზოგიერთი მათგანი.

ამ თავში სხვა უცნობი სიტყვებიც გვხვდება.

ლაღად — თავისუფლად, თამამად.
უმჯიდროესად — ძალიან მჭიდროდ.
არსად ჯაჯანებს — არსად არის.
უმაქნისი — გამოუსადეგარი, უვარგისი.
ერთი სული მაქვს — ძალიან მინდა.
სული კბილით მიჭირავს — ძლივს ვითმენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუძლისი – ისეთი, გაძლება რომ არ შეიძლება.
დაშორიშორება – დაშორება.
უკადრისი – შეუფერებელი, ისეთი, რომ არ გვეკადრება.
უმოწყალოდ – შეუბრალებლად.
კაცური კაცი – ნამდვილი კაცი, ღირსეული ადამიანი.
ბრძენკაცი – ბრძენი, ძალიან ჭკვიანი.
გაისპეტაკეთ – გაიწმინდეთ.
ტრფიალი – მოყვარული.
კალოვანი – ძლიერი.
კაბუნი – უძლური.
პირუკუ – პირიქით.
კლდის ქიმი – წაწვეტებული კლდე.
ელფერი – იერი, შესახედაობა.
მიანიჭებდა – მისცემდა.
მეოხებით – დახმარებით.
გამშვენება – გამშვენიერება.
რაგინდ – რაც უნდა.
მარტივად – უბრალოდ.

დავით გურამიშვილის სტროფში განსამარტავი სიტყვები:

მყვანებლად – წამყვანად, მტარებლად.
შეთვისული – შეერთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთე

გონიერი კაცი თავის დღე და მოსწრება სულისთვის უნდა ზრუნავდეს, როგორც სხეულს უვლის, სულსაც უნდა მიხედოს და კარგად მოუაროსო, — ითქვა წინა გაკვეთილზე.

რატომ გვმართებს სულისთვის ზრუნვა ან როგორ უნდა მოვუაროთ სულს?

იმიტომ გვმართებს, რომ სიკეთის გზით ვატაროთ სული და ბოროტებას მოვარიდოთ.

სიკეთე და ბოროტება რა არის, თქვენ, რაღა თქმა უნდა, იცით უკვე. მაინც გავიხსენოთ.

სიკეთე არის საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაც კარგის გაკეთება.

ბოროტება არის საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაც ცუდის გაკეთება.

მრავალსა და მრავალ ადამიანს ერთი უცნაური სენი სჭირს: თავისთვის კარგს რომ იკეთებს, იშვიათად უფიქრდება, სხვისთვისაც კარგი იქნება თუ არა ის, რაც მისთვის კარგია.

წარმოვიდგინოთ: გაყინულ ოთახში ორნი ვსხედვართ — მე და ჩემი მეგობარი. ძალიან შეგვაწუხა სიცივემ, ველარ ვუძლებთ. ოჯახში ერთი ღუნღულა ქურქი გვაქვს. გავიქეცი, ჩამოვხსენი საკიდიდან, მოვისხი და ჩავთბუნდი. გაქრა ძვალ-რბილში გამჯდარი სიცივე, მოვითქვი სული. მშვენიერია, არა? იცოცხლეთ კარგია ჩემთვის, მაგრამ ჩემი მეგობრისთვის თუ არის კარგი ამგვარი საქციელი? დაერქმევა სიკეთე ჩემს მოქმედებას?

წარმოვიდგინოთ: ისევ ორნი ვსხედვართ ოთახში — მე და ის ჩემი მეგობარი. ძალიან მოგვშივდა, ველარ ვუძლებთ შიმშილს. საპურეში ცოტაოდენი პური მეგულება, მაცივარში — ცოტაოდენი კარაქი. გავიქეცი, პურის ნაჭერს კარაქი წავუცხე და შევექეცი გემრიელად. გაქრა მოუთმენელი შიმშილი, მოვითქვი სული. მშვენიერია, არა? იცოცხლეთ კარგია ჩემთვის, მაგრამ ჩემი მეგობრისთვის თუ არის კარგი ამგვარი საქციელი? დაერქმევა სიკეთე ჩემს მოქმედებას?

ეგ მაგალითები არაფრად არ ვარგაო, — იტყვით თქვენ, — იმიტომ, რომ ასე უსინდისოდ არავინ მოიქცევაო. ჩემდათავად მე იმ ქურქს მეგობარს წამოვასხამდიო, იმ კარაქიანი პურის ნაჭერსაც მეგობარს გავუყოფდიო, ანდა სულაც იმას მივაწვდიდიო.

სწორი ბრძანებაა: კაცური საქციელი მართლაც ის იქნება, მე კი არ ჩავთბუნდე ღუნღულა ქურქში, მეგობარი ჩავათბუნო, მე კი არ გადავსანსლო კარაქიანი პური.

მეგობარს შევაჭამო ან ვუწილადო.

მაგრამ ვითომ ყოველთვის ასე ვიქცევით ხოლმე?

ისევ წარმოვიდგინოთ: მე და ის ჩემი მეგობარი პინგ-პონგის თამაშს ვაპირებთ. ორი ჩოგანიდან ერთი ახალთახალია, ხაოიანი, იმით ბურთის დარტყმას არაფერი სჯობს. მეორე ჩოგანი ცოტათი შელანძღულია, ზედაპირი გადაცრეცილი აქვს, იმით ჩაჭრილი ბურთი კარგად ვერ გაფრინდება. ორივე ჩოგანი პინგ-პონგის მაგიდაზე აწყვია. პირველი მე მივედი მაგიდასთან, მინდა კარგ ჩოგანს დავავლებ ხელს, მინდა — უარესს.

რომელს ავირჩევ?

მე და ის ჩემი მეგობარი გზაზე მივდივართ. უცებ საიდანღაც ვეება ქოფაკი გამოვარდა და ღრენით გამოექანა ჩვენსკენ. ორივენი გავიქეცით. იქვე ახლოს კედელზე კიბეა მიყუდებული. ვინც პირველი აძვრება იმ კიბეზე, იმას ძაღლი ვერ მისწვდება, მომდევნოს შესაძლოა კანჭში კბილი ჩაავლოს.

რომელი ჩვენგანი აძვრება პირველი?

მე და ის ჩემი მეგობარი მეზობლად ვცხოვრობთ. ორივეს ერთი სახელმძღვანელო გვაქვს. ორივეს ძალიან გვინდა, სკოლიდან დაბრუნებულებმა გაკვეთილების სწავლა მოვილიოთ, რომ მერე გულმშვიდად ვითამაშოთ ეზოში.

რომელს ერგება პირველად ის სახელმძღვანელო?

ამგვარი მაგალითების გახსენება მრავლად შეიძლება. ცხოვრება ძალიან ხშირად მოგვახვედრებს ისეთ მდგომარეობაში, როცა უეჭველად არჩევანი უნდა გავაკეთოთ: საკუთარ თავზე ვიზრუნოთ, თუ სხვაზე?

და, აი, ჩვენ გვმართებს კარგად დავიმახსოვროთ ერთი რამ: ვინც ბავშვობიდანვე იმას შეეჩვევა, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს, მხოლოდ თავისი საქმე მოიგვაროს და სხვებს ანგარიში არ გაუწიოს, ის სიკეთის გზას ძნელად იპოვნის ცხოვრებაში.

არადა, ვინც სიკეთის გზას ასცდება, ბოლოს ბოროტების გზას დაადგება უსათუოდ.

ისიც უნდა დავიმახსოვროთ, რომ ბოროტების გზაზე დადგომა თავისთავად ძეხორციელს არ სურს. ვინც ბოროტ საქმეს სჩადის, უმეტესწილად ისე ჰგონია — სინამდვილეში ცუდს არაფერს ვაკეთებო. თუ არ ჰგონია ასე, თავს მაინც იტყუებს ხოლმე. ყოველთვის შეიძლება რაღაც მოიმიზეზოს კაცმა და თავისი უგვანი საქციელი გაამართლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კლასში ვსხედვართ. შემოვიდა ჩვენი დამრიგებელი, ახალი მოსწავლე შემოიყვანა და კახას გვერდით დასვა. ყველანი ახალმოსულს შევაჩერდით, გვაინტერესებს — ვინ არის, როგორი გოგოა. ზარი რომ დაირეკა და მასწავლებელი კლასიდან გავიდა, გელა გაექანა და კახას შეუტია:

— ჩემი ბურთი რომ წაიღე, ბიჭო, აღარ უნდა მომიტანო?

უთხრა და ერთი მაგრად წაუთაქა თავში.

რა ბურთი, რის ბურთი! რა მოელანდა გელას, რამ წამოუარა?

გელას მაინცდამაინც ის უნდა, ახალმოსულ გოგოსთან თავი მოიწონოს — აი, რა მაგარი ბიჭი ვარო!

მაგრამ არც კახას სურს იმ გოგოს თვალში დედალი გამოჩნდეს. წამოთაქება ასე არ უნდაო! წამოხტა კახა და ერთი ისეთი ლეწა გელას, კინაღამ გადააყირავა. ატყდა ცემა-ტყეპა, ვიღაცა კახას მიეხმარა, ვიღაცა — გელას, ვიღაცამ მოჩხუბართა გაშველება დააპირა და იმასაც კარგა მაგრად მოხვდა მუშტი თუ სილა. მასწავლებელი რომ შემოვიდა, უკვე ველარ გაიგებდით, ვინ ვის ურტყამდა. ამასობაში ყველას დაავიწყდა, თუ რატომ დაიწყო ჩხუბი, ამდენი თვალი რისი გულისთვის ჩალურჯდა და ამდენი ცხვირი გასისხლიანდა, ამდენი ბიჭი წაეკიდა ერთიმეორეს...

ახლა დავსხდეთ, ჩემო გელა, და კარგად ავწონ-დავწონოთ ყოველივე.

რას მოჰყვა ეს ამხელა ვაიუშველებელი? შენს ბრიყვულ სურვილს — ახალმოსულ გოგოს თავი მოვაწონოო. ამიტომ იყო, უსინდისოდ რომ იცრუე, ვითომ ბურთი გეთხოვებინოს კახასთვის.

როგორ არაო! — გული მოიყვანა გელამ. — მართლა ვათხოვე კახას ბურთი, დედას გეფიცებით, ჩემი ბურთი წაიღო, ვისაც გინდათ, იმას ვკითხოთო!

ხედავ, რა ხდება, ჩემო გელა? ერთ ტყუილს უეჭველად მეორე მოჰყვება ხოლმე, მეორეს — მესამე და ასე დახვავდება ბევრი ტყუილი. ის მაინც იფიქრე, დედას რომ იფიცებ ტყუილზე, არაფრის გეშინია?

არა, კახასთვის მგონი მართლა არ მიმიციაო, — ცოტათი საქციელი წაუხდა გელას, — სხვას ვათხოვე, მაგრამ მაშინ ისე მახსოვდა — კახას ვათხოვე-მეთქი.

ისევ ტყუილს ამბობ, ჩემო გელა. არავისთვის არ გითხოვებია, სახლში გაქვს ის შენი ბურთი. მოდი, ივაჟკაცე და გამოტყდი, უკეთ რომ ვთქვათ, საკუთარ თავს გამოუტყდი. საკუთარ თავზე უკეთეს მოწმეს ვერსად იპოვნი. აბა, რას გეუბნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი თავი — სახლში გაქვს თუ არა ბურთი?

სახლში მაქვსო, — დაგვეთანხმა ბოლოს გელა. — ბურთის გულისთვის კი არ წამოვარტყი კახას, იმიტომ წამოვარტყი... იმიტომ წამოვარტყი... იმიტომ, რომ გუშინ წიგნი დამიხიაო. ვისაც გინდათ, იმას ვკითხოთო!

ისევ სიცრუე! ნურავის ვკითხავთ, ჩემო გელა, ხომ გითხრეს უკვე — საკუთარ თავზე უკეთეს მოწმეს ვერსად იპოვნიო. ისევ შენს თავს დაეკითხე, რას გეუბნება საკუთარი თავი — მართლა დაგიხია კახამ წიგნი?

არ დაუხევიაო, — ამოღერღა გელამ.

ახლა მივყვეთ, გელა, და ყველაფერი ჩამოვთვალოთ: ბურთი არ გითხოვებია კახასთვის. ეს ერთი. არც ის ამბავი ყოფილა, რომ სხვას ათხოვე ბურთი და იმ წუთში ისე გეგონა — კახას ვათხოვეო. ეს ორი. არც წიგნი დაუხევია შენთვის კახას. ესეც სამი. მართალია?

მართალიაო, — თავს გვიქნევს გელა.

მაშინ იქნებ ისიც თქვა, თუ მიზეზი არაფერი გქონდა, რატომ გაარტყი კახას?

თავი ჩაქინდრა გელამ. არაფერს ამბობს.

ახლა რა ვქნათ? ჩვენ ვუთხრათ გელას სიმართლე, თუ თვითონ ეყოფა იმდენი ვაჟკაცობა, რომ თავისთავს გაუმხილოს ის სიმართლე?

თუ საამისო ვაჟკაცობა არ ეყო, როგორღა მოაქვს თავი — მაგარი ბიჭი ვარო? არადა, სწორედ ის სურდა გელას, ახალმოსულთან თავი იმით მოეწონებინა, რომ მაგარი ბიჭი იყო. ასე არ არის, გელა?

ასე არისო, — გამოტყდა გელა.

ახლა იმაზეც დავფიქრდეთ, გელა, შენ რომ კახას ადგილას ყოფილიყავი, თუ გესიამოვნებოდა, თავში რომ წამოეთაქებინათ შენთვის?

ან ის ვიფიქროთ, თქვენი კლასელი ბიჭებიდან სათითაოდ ყველას რომ მოენდომებინა თავი გამოეჩინა იმ ახალმოსულთან, რა მოხდებოდა?

ცოტა რამ კიდევ ვთქვათ.

როცა გელამ ახალმოსულ გოგოსთან თავის მოწონება მოინდომა, ამ გრძნობამ ისე აიტაცა, რომ ძმაკაცი გაწირა — კახა გაწირა: ოღონდ კი თვითონ გამოჩენილიყო მაგარი ბიჭი და კახა როგორი გამოჩნდებოდა, ის აღარ ინაღვლა. არადა, სულ მცირე ხანი გაივლის და გელას ძალიან სანანებელი გაუხდება კახას მომდურება. მიხვდება — იმ ახალმოსული გოგოს წინაშე გაპრანჭვა სულაც არ ღირდა იმად, კახასთვის რომ მეწყენინებინაო.

მაგრამ მაშინ რაკი გაწირა გულში კახა, წამოთაქება რაკი დაუპირა, ხელად მიზეზიც

გამოიგონა — ჩემი ბურთიო! ისე ძალიან უნდოდა, ისე ძალიან უნდოდა კახასთვის წამოერტყა, ისე ძალიან უნდოდა, ისე ძალიან უნდოდა რამე მიზეზი ჰქონოდა, რომ ადგა და დიდი ტყუილი წამოროშა — ჩემი ბურთიო! იმ წუთას სულ არ ეგონა, ცუდ საქმეს თუ აკეთებდა, სულ არ ფიქრობდა, რამხელა თავპირისმტვრევა მოჰყვებოდა მის საქციელს. მერე რაც მოხდა, ხომ ვნახეთ უკვე: დიდი ჩხუბი ატყდა, უაზრო ჩხუბი. მერე გელა არც სხვებს უტყდებოდა და არც თავის თავს, ტყუილი ამბავი რომ მოიმიზეზა. დედაც კი დაიფიცა უსინდისოდ. ბოლოს ერთ ტყუილს სხვა მოაყოლა — წიგნი დამიხიათ.

ასე შეუმჩნევლად შეიძლება დავადგეთ სიცრუისა და ავკაცობის გზას. ბავშვობიდანვე თუ შევეჩვიეთ, სიმართლე არ გავუმხილოთ საკუთარ თავს, სხვებიც ვარწმუნოთ და საკუთარი თავიც დავაჯეროთ სიცრუეში, მერე და მერე ვეღარ მოვიშლით ამ საძრახის ჩვევას. ამას ის მოჰყვება, რომ ჩვენი ცხოვრება სიცრუეზე იქნება აგებული, ხოლო სიცრუეს სიკეთე ჯერ არავისთვის მოუტანია.

წარმოვიდგინოთ: გელა და კახა მეოთხეკლასელი ბიჭები კი აღარ არიან, დიდები არიან უკვე, ოცი-ოცდაორი წლის ჭაბუკები. ერთი მშვენიერი ქალიშვილი გაიცნეს. გელას ისე ძალიან მოუნდა, ისე ძალიან მოუნდა იმ ქალიშვილისთვის თავი მოეწონებინა, რომ ძმაკაცი გაწირა — დაამცირა კახა, რაღაც შარი მოსდო და წამოარტყა.

რა მოჰყვება ამას? თქვენ წარმოიდგინეთ, რაც მოჰყვება. ოცი-ოცდაორი წლის ჯანიანი ჭაბუკების ჩხუბი მეოთხეკლასელთა ცემა-ტყეპა ხომ არ არის! შესაძლოა ისეთი ამბავი დატრიალდეს, კედლებიც ზანზარებდეს. მით უმეტეს, ცალკე გელას მეგობრები და ცალკე კახას მეგობრები თუ ჩაერიენ იმ ჩხუბში. კიდევ კარგი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამდე თუ არ მივიდა საქმე.

ასე ხდება ცხოვრებაში. ასე იწყება უთანხმოება, უსიამოვნება, შფოთი, დაკადაკა, შუღლი, მტრობა, ათასგვარი უბედურება, ათასნაირი ცოდვა.

ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ ერთობ, ერთობ ხშირად კაცი თავისთვის რაიმე კარგს რომ იკეთებს, არ უფიქრდება, სხვისთვისაც კარგი იქნება თუ არა ის, რაც მისთვის კარგია. არადა, თუ სხვისთვისაც კარგი არ იქნა და მხოლოდ მისთვის იქნა კარგი, ეს უკვე აღარ არის სიკეთე.

* * *

ამდენი ვისაუბრეთ უკვე და ჯერ ის არ გვითქვამს, მაინც რატომ უნდა მივსდიოთ სიკეთეს, რატომ უნდა ვერიდოთ ბოროტებას?

ამ კითხვას სულ უბრალო პასუხი აქვს.

ყველამ ვიცით, რომ სიცოცხლე კარგია, ყველას გვსურს ამ ქვეყნად ცხოვრება. ასე არ არის? ასეა ნამდვილად. სიცოცხლე კარგია, სიცოცხლე თავისთავად არის სიკეთე. მხოლოდ ჩვენი სიცოცხლე კი არა, საერთოდ სიცოცხლე, საერთოდ არსებობა არის სიკეთე. კარგია, რომ ვარსებობთ ჩვენ და კარგია, რომ არსებობენ ჩვენი ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები თუ უცნობებიც, მთელი ქალაქი და მთელი სოფელი, მთელი ერი, მთელი კაცობრიობა, მდინარეები, ზღვები, მთები, მცენარეები, ცხოველები, დედამიწა, ზეცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, კარგია, რომ არსებობს მთელი სამყარო. სამყაროს არსებობა თავისთავად არის სიკეთე.

მაგრამ ამ სამყაროში, ამ დედამიწაზე, ამ ქვეყანაში, ამ ქალაქსა თუ სოფელში რომ ვცხოვრობდეთ, ანუ ვარსებობდეთ, საამისოდ ის არ კმარა, მხოლოდ სული გვედგას. ყოველი ადამიანი ცისმარე დღეს რაღაც გარემოში ტრიალებს, სხვა ადამიანებს ხვდება, რაღაც კავშირი აქვს მათთან, რაღაც დამოკიდებულება, ურთიერთობა. ეს კავშირი, ეს დამოკიდებულება, ეს ურთიერთობა კარგად თუ არის დაწყობილი, კარგად მოგვარებული, როგორც ითქმის კიდევ — კაცური თუ არის, მაშინ ცხოვრებაც დაწყობილად და ლამაზად მიედინება. ადამიანთა შორის კავშირი, დამოკიდებულება, ურთიერთობა თუ გამწვავდა, დაიძაბა და აირდაირია, ცხოვრებაც აირევა ხოლმე. სწორედ ამას მოჰყვება ზემოთ ნახსენები უთანხმოება, უსიამოვნება, შფოთი, დაკა-დაკა, შულლი, მტრობა, ათასგვარი უბედურება, ათასნაირი ცოდვა.

ახლა დავუკვირდეთ: როდის არის ცხოვრება კარგი — მაშინ, როცა ადამიანთა შორის თანხმობა, მშვიდობა და სიამტკბილობაა, თუ მაშინ, როცა ადამიანები ერთიმეორეს ებრძვიან, მტრობენ და შულლობენ ერთმანეთში? ამ კითხვის პასუხი ძნელი საპოვნელი არ არის.

და, აი, დავიმახსოვროთ: მხოლოდ სიკეთეს, მხოლოდ კეთილ საქციელს მოჰყვება თანხმობა, მშვიდობა და სიამტკბილობა. ავი, ბოროტი საქციელი, ბოროტება უთანხმოებას, უსიამოვნებას, შფოთს, შულლს, მტრობას და ათასგვარ უბედურებას, ათასნაირ ცოდვას ბადებს.

ესე იგი, თუ გვსურს კარგად ვიცხოვროთ ამ ქვეყნად, ბედნიერნი ვიყოთ და დავტკბეთ ჩვენი არსებობით, სიკეთეს უნდა მივსდიოთ და ბოროტებას ყოველნაირად ვერიდოთ.

მაგრამ ხომ ვთქვით უკვე, რომ ვინც ბავშვობიდანვე იმას შეეჩვევა, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს, მხოლოდ თავისი საქმე მოიგვაროს და სხვებს ანგარიში არ გაუწიოს, ის სიკეთის გზას ძნელად იპოვნის ცხოვრებაში.

ვისაც სიკეთის გზით სიარული სურს, მხოლოდ საკუთარ თავზე კი არ უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს, მას სხვებზეც მართებს ფიქრი და ზრუნვა.

სხვებზე რომ ვიფიქროთ და ვიზრუნოთ, უნდა გვიყვარდნენ ის სხვა ადამიანები. ვინც არ გვიყვარს, მასზე ზრუნვა, მისთვის სიკეთის ქმნა ერთობ გაგვიძნელდება. არადა, ხომ დავრწმუნდით უკვე, როცა სიკეთეს არ მივსდევთ, ჩვენი ცხოვრება ყოველთვის აირდაირევა ხოლმე და ათასნაირი უბედურება დატრიალდება.

ამიტომ ბრძანა ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ: ერთმანეთი უნდა გიყვარდეთ, სხვა ადამიანი საკუთარ თავსავით უნდა გიყვარდეთ, მტერიც კი უნდა შეიყვაროთო. გახსოვთ? ეს მესამე კლასში ვისწავლეთ. ახლა ალბათ უკეთ მიხვდებით ამ სიტყვების მნიშვნელობას.

მესამე კლასში ისიც ვთქვით: ჭეშმარიტი ქრისტიანი რომ იყო, მთელი შენი ცხოვრება სიყვარულით უნდა იყოს შუქფენილი და უყოყმანოდ უნდა შეგეძლოს სხვისთვის თავის განწირვაო.

ძნელია, ძალიან ძნელია ამ მცნებათა შესრულება. მაინც უნდა შევეცადოთ. და თუ ჭეშმარიტ ქრისტიანებად ვერ ვიქცევით, იქნებ იმდენი შევძლოთ, ახლობლებს არ მოვაკლოთ ჩვენი სიყვარული.

* * *

მაშასადამე, სიკეთის საფუძველი სიყვარულია. სიყვარული თუ არ გვიღვივის გულში, სასიკეთოს ვერაფერს მოვიმოქმედებთ. ჩვენი ცხოვრება ცხოვრებას რომ ჰგავდეს, მას სიყვარულისა და სიყვარულისგან აღმოცენებული სიკეთის მადლი უნდა უნათებდეს გზას. სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ ბოროტება ვერ გაიჭაჭანებს.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა. ეს ღვთაებრივი გრძნობა ღმერთმა სწორედ იმიტომ ჩაგვინერგა, რომ სიკეთის გზას მივსდიოთ და ბოროტებით არ შევბილწოთ ღმერთის მიერ შექმნილი მშვენიერი და სიკეთით სავსე სამყარო ანუ სოფელი. იმიტომ რომ, დავრწმუნდით უკვე, ისევ ჩვენთვის იქნება ცუდი ეს ამბავი, ჩვენსავე ცხოვრებას ავნებს ბოროტება.

ახლა ზოგიერთ რამეზე ცოტათი უფრო ღრმად დაფიქრება მოგვიწევს.

სიკეთის გზიდან გადაცდენა და ბოროტების მიყოლა ჩვენთვისვე არის ცუდი, ჩვენსავე ცხოვრებას აგვიშლის და აგვიწეწავსო, — ამ წუთას ვთქვით. მთავარი მაინც სხვა რამ არის. როგორც ვიცით, ადამიანის ცხოვრება ხანმოკლეა, წუთი-

სოფელია, კაცის სული მცირე ხნით არის სტუმრად ამ სამყაროში, შემდეგ თავის მარადიულ სამყოფელს უბრუნდება — საიქიოს, ზესთასოფელს.

და, აი, უნდა ვიცოდეთ: იმ მარადიულ სამყოფელში კაცის სულს იმდაგვარი ცხოვრება ექნება, როგორიც თვითონვე განუმზადა თავის თავს აქ, ამ ქვეყნად, ამ სოფელში არსებობისას. კეთილი თუ იყო კაცი, სიკეთეს მიდევნებული, სათნო, მოყვარული და ღვთის მორწმუნე, საიქიოს მისი სული სამუდამო ნეტარებასა და ბედნიერებას ეწევა, ჩვენთვის ძნელად მისაწვდომ, ღვთაებრივ ნეტარებასა და ბედნიერებას. ბოროტი თუ იყო კაცი, ბოროტ საქმეთა მკეთებელი, მისი სული დიდ ტანჯვასა და მწუხარებაში ჩავარდება.

აი, ეს არის ის სამოთხე და ჯოჯოხეთი, ხშირად რომ ვახსენებთ ხოლმე.

ნამდვილი სამოთხეაო, სამოთხეში მოვხვდიო, — ვამბობთ, როდესაც ძალიან ლამაზსა და მშვიდ გარემოში აღმოვჩნდებით. კარგად მოწყობილ, ბედნიერ ყოფაში რომ ვართ, მაშინაც ვიცით ამის თქმა. იმიტომ ვამბობთ ასე, რომ ვგულისხმობთ: არსებობს თვალით სახილველ მშვენიერებაზე ასკეცად აღმატებული ზესთასოფლური, ღვთაებრივი მშვენიერება, ამქვეყნიურ ნეტარებაზე ასკეცად აღმატებული ზესთასოფლური, ღვთაებრივი ნეტარება და ბედნიერება. ამას ნიშნავს „სამოთხეში ყოფნა“.

ნამდვილი ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთამდე გზა ჰქონიაო, — ასეც ითქმის ხოლმე. ამის თქმისას იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, ისეთი ყოფა, მეტად ძნელი გასაძლები რომ არის, ყოვლად უკულმართი და უმსგავსი რომ არის, საზიზღარი, მოსაძაგებელი.

კიდევ რაზე გვმართებს უფრო ღრმად დაფიქრება? კიდევ იმაზე, რომ ადამიანს სხეულიც აქვს და სულიც აქვს და სიკეთის გზის მიდევნებაც და ბოროტების მიყოლაც სულის თვისებაა, სულის უნარია და არა სხეულისა. სხეულს ხომ სული ანიჭებს სიცოცხლეს და სული ამოქმედებს. თავისთავად სხეული არც კეთილია და არც ბოროტი, თავისთავად, სულის ბრძანების გარეშე ვერც კეთილს იზამს რამეს და ვერც ბოროტს, ვერც სიკეთის გზას გაჰყვება, ვერც ბოროტებისას. ისედაც, სიკეთის გზა და ბოროტების გზაო, რომ ვამბობთ, ხომ ცხადია, რაიმე ბილიკს, თემშარას ან გზატკეცილს კი არ ვგულისხმობთ, რომელზეც ფეხით გააბიჯებს კაცი, სულის მიმართულებას და მიდრეკილებას ვგულისხმობთ. თუ კეთილი აზრები და კეთილი გრძნობები აქვს სულს, მაშინ კაცი სიკეთის გზას მიუყვება, თუ ავი აზრები და გრძნობები აქვს, — ბოროტებისას.

ამ გაჭირვებულ ბერიკაცს უნდა შევეწიოო, — სული რომ გადაწყვეტს, კაცის

სხეული ამ გადაწყვეტილებას ემორჩილება, ჯიბიდან ფულს იღებს კაცი და გაჭირვებულს აწვდის. რა ხდება ამ დროს? გაჭირვებული ბერიკაცის დანახვისას კაცს სიბრალული აღეძვრის. სიბრალული გრძნობაა, გრძნობა კი, ხომ ვიცით, სულის თვისებაა. სიბრალულის შედეგად გაჭირვებულის დახმარების სურვილი ჩნდება. სურვილიც გრძნობაა და ისიც სულს ეკუთვნის. ბოლოს ამას მოსდევს აზრი – ბერიკაცს უნდა შეეწიოო. აზრიც, როგორც ვიცით, სულს ეკუთვნის და არა სხეულს. მაგრამ ეს უხილავი გრძნობები და უხილავი აზრი, ანუ კაცის სულის მდგომარეობა, ვერ გამოვლინდება, საქმედ ვერ იქცევა, თუ სხეული არ მოიშველია სულმა, თუ კაცის სხეული არ ამოქმედდა. ამ შემთხვევაში ამოქმედება იმას ნიშნავს, რომ კაცი ჯიბიდან ფულს იღებს და გაჭირვებულ ბერიკაცს აწვდის.

სხვა მაგალითი. კაცი ქუჩაში სვდება ნაცნობს, რომელმაც, გუშინ იყო თუ გუშინწინ, რაღაც აწყენინა. ამას ახლა უნდა გავარტყაო, – სული რომ გადაწყვეტს, კაცის სხეული ამ გადაწყვეტილებას ემორჩილება, ხელს მოიქნევს კაცი და არტყამს იმ ნაცნობს. ამჯერადაც იგივე ხდება. იმ ნაცნობის დანახვისას კაცს წყენა აღეძვრის. წყენა გრძნობაა, გრძნობა კი, ხომ ვიცით, სულის თვისებაა. წყენის შედეგად სამაგიეროს გადახდის, ჯავრის ამოყრის სურვილი ჩნდება. სურვილიც გრძნობაა და ისიც სულს ეკუთვნის. ბოლოს ამას მოსდევს აზრი – ახლა ამას უნდა გავარტყაო. აზრიც, როგორც ვიცით, სულს ეკუთვნის და არა სხეულს. მაგრამ ეს უხილავი გრძნობები და უხილავი აზრი, ანუ კაცის სულის მდგომარეობა, ვერ გამოვლინდება, საქმედ ვერ იქცევა, თუ სხეული არ მოიშველია სულმა, თუ კაცის სხეული არ ამოქმედდა. ამ შემთხვევაში ამოქმედება იმას ნიშნავს, რომ კაცი ხელს მოიქნევს და არტყამს იმ ნაცნობს.

ამჯერადაც იგივე ხდება, რაც პირველ შემთხვევაშიო, – კი ვთქვით ამ წუთას, მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა ალბათ უკვე იაზრა, რომ ამ ორ შემთხვევას შორის რაღაც დიდი განსხვავებაც არის. ამოვიცნოთ, რა განსხვავებაა.

ის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში სული სიკეთის გზაზე იდგა, კეთილი გრძნობები აღეძრა მას – გაჭირვებულის შებრალება, გაჭირვებულის დახმარების სურვილი, რასაც ასევე კეთილი აზრი და გადაწყვეტილება მოჰყვა – ბერიკაცს უნდა შეეწიოო.

მეორე შემთხვევაში სიკეთის გზას ასცდა სული, უკეთური გრძნობები აღეძრა – წყენა, სამაგიეროს გადახდის, ჯავრის ამოყრის სურვილი, რასაც ბოროტი აზრი და გადაწყვეტილება მოჰყვა – უნდა გავარტყაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვიდრე ჩვენს საუბარს განვაგრძობდეთ, მცირე ხნით ერთ საკითხზე შევაჩეროთ ყურადღება. ამის წამკითხველი ზოგიერთი თქვენგანი იქნებ გაოცდეს: კაცმა მაწყენინა, სამაგიეროს გადავუხდი და გავარტყამ, ჯავრს ამოვიყრი, აბა რას ვიზამო!

ვინც ამას იტყვის, კარგად ჩაუკვირდეს თავისთავს. როგორი გრძნობაა წყენა, როგორ მდგომარეობაში ვართ, რამე როცა გვეწყინება? არავინ თქვას: წყენა მშვენიერი გრძნობაა და ნაწყენნი გადასარევ მდგომარეობაში ვართო. საზიზღარი გრძნობაა წყენა, ნაწყენობის დროს უეჭველად დაძაბულნი ვართ, ცუდად აფორიაქებულნი და თითქოს დამცირებულნი. მით უფრო, დროულად თუ ვერ მოვერიეთ ჩვენს თავს და ვერ ავლაგმეთ, ვერ დავაცხრეთ წყენა. წყენა გულში არ ჩაიყოლოო, — ეტყვის ერთი ქართველი მეორეს. ამის მთქმელმა ჩინებულად იცის, როგორი უსიამოვნო განცდა ახლავს ყოველთვის წყენას. სხვა თუ არაფერი, დავუკვირდეთ, როგორი უსიამოვნო შესახედავია ნაწყენი კაცის სახე. ყოფილა შემთხვევა, წყენისგან კაცს გული გასკდომია.

სამაგიეროს გადახდის, ჯავრის ამოყრის სურვილი რაღა არის? ამის უკეთ გასარკვევად გავიხსენოთ, რაც შარშან ვისწავლეთ. მესამე კლასის სახელმძღვანელოში ასე ეწერა:

„ვთქვათ, ჩემმა ამხანაგმა რაღაც მაწყენინა. ამის საპასუხოდ მეც თუ ცუდად მოვექეცი, ის კიდევ უფრო ცუდად მომექცევა, მერე მე სულ უარესს დავმართებ და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება ჩვენი უთანხმოება. მაგრამ თუკი იმას შევძლებ, პირველივე წყენა მოვითმინო, ჩემს ამხანაგს ცუდი არაფერი ვაკადრო, ჩვენს შორის უსიამოვნება აღარ მოხდება და ძველებურად გვეყვარება ერთიმეორე. რომელი სჯობს — გაუთავებელი კინკლაობა, თუ თანხმობა და სიყვარული?“

თავს ნუ მოვიტყუებთ: ძნელია ამ აზრთან შეგუება, ძნელია, რომ სხვას ჩვენი წყენინება შევარჩინოთ, სამაგიერო არ გადავუხადოთ, ჯავრი არ ამოვიყაროთ. მაგრამ ძნელი შეუძლებელს არ ნიშნავს. სიძნელეთა დაძლევას ვინც ვერ შეეჩვევა, გაუჭირდება ცხოვრება. ძნელია სამაგიეროს გადახდაზე, ჯავრის ამოყრაზე უარის თქმა და მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ საბოლოოდ მუდამ ის რჩება მოგებული, ის არის გამარჯვებული, ვინც სხვას კი არა, თავის თავს აჯობებს და სამაგიეროს არ გადაუხდის ცუდის გამკეთებელს.

თბილისის „დინამოში“ ერთი ლეგენდად ქცეული ფეხბურთელი თამაშობდა —

ბორის პაიჭაძე. ბურთს რომ მოიგდებდა, თითქმის შეუძლებელი იყო მისი შეჩერება. ერთს, ორს, სამს, ზოგჯერ ხუთ კაცსაც აუვლიდა ხოლმე გვერდს და გოლიც გაჰქონდა. იცოდნენ მოპირდაპირე გუნდების მოთამაშეებმა მისი ზღაპრული სიმარჯვე და ოსტატობა და, სხვას რომ ვერაფერს ხდებოდნენ, ზოგი ხელით აჩერებდა, ზოგი ტანსაცმელზე ჩამოეპორწიალებოდა, ზოგიც ფეხს უდებდა ვერაგულად. რამდენჯერ წაფორხილებულა ამის გამო, რამდენჯერ წაქცეულა. ერთხელ მუხლის ძვალი გაუტყდა. მაგრამ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ბორის პაიჭაძეს წყენა დაემჩნიოს, რითიმე სამაგიერო გადაეხადოს უღირსი მეტოქისთვის. კი, არცთუ იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც იმ უკადრისი ილეთების გამო მას ბურთი ვერ გაუტანია და ჩვენებს ის თამაში წაუგიათ. მაგრამ საბოლოო შედეგი როგორია? ის უღირსი მეტოქეები კაციშვილს აღარ ახსოვს, ხოლო ბორის პაიჭაძე კეთილშობილ კაცად და ფეხბურთის სწორუპოვარ რაინდად მოიხსენიება დღემდე და თბილისის მშვენიერი სტადიონიც სწორედ მისი სახელობისაა.

უამრავი მსგავსი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ. იმნაირი შემთხვევები კი, სამაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას, შურისძიებას საბოლოოდ სიკეთე რომ მოეტანოს, ძალიანაც რომ დავფიქრდეთ, არ გაგვახსენდება.

* * *

მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ. დავრწმუნდით, რომ სიკეთეც სულიდან მომდინარეობს და ბოროტებაც სულიდან წარმოედინება და არა სხეულიდან. კიდევ ამიტომაც არის აუცილებელი სულის ფაქიზად მოვლა, მისი განწმენდა და გასპეტაკება.

ამით ისიც იგულისხმება, რომ ყოველი ჩვენგანი მხოლოდ იმას კი არ უნდა ცდილობდეს, ცუდი არაფერი მოიმოქმედოს, იმასაც უნდა შეეცადოს, ბოროტი გრძნობები, ბოროტი აზრები და ცუდი მიდრეკილებები განაშოროს თავის სულს. ის ნაცნობი რომ შეგვხვდება, რომელმაც, გუშინ იყო თუ გუშინწინ, რაღაც გვაწყენინა, ის კი არ უნდა შევძლოთ მხოლოდ, არ გავარტყათ იმ ნაცნობს. ისიც უნდა შევძლოთ, ჩვენი ნაწყენობა ავლაგმოთ და დავიოკოთ, როგორც ითქმის ხოლმე – გულიდან ამოვირეცხოთ წყენა. იმ წუთას შესაძლოა არც გვესიამოვნოს ეს, მაგრამ სულ მცირე ხანი გამოხდება და უდიდეს სიამოვნებას ვიგრძნობთ იმის გამო, საკუთარ თავს რომ ვაჯობეთ, ცუდი გრძნობებისგან და ცუდი აზრებისგან დავიცავით სული.

ისიც უნდა გვახსოვდეს ნიადაგ, რომ ყოვლისმცოდნე და გულთამხილავი ღმერთი მხოლოდ ჩვენი ნამოქმედარით კი არ აფასებს ჩვენს სულს, იმის მიხედვით აფასებს, როგორია ამ სულის შინაგანი ცხოვრება — კეთილი გრძნობები და აზრები ასულდგმულებს, თუ ბოროტი, სიყვარულისა და სიკეთის გზას მიუყვება, თუ სიძულვილის და მტრობისა.

ესა თუ ის კაცი შესაძლოა დიდხანს გულმოდგინედ მალავდეს თავის ნაჩუმარ ულირს გრძნობებსა და აზრებს, გამოსაჩინებლად, სხვათა დასანახავად ისე იქცეოდეს, თითქოს სიკეთისა და სათნოების განსახიერება იყოს, მაგრამ უფლის ყოვლისმხილველ თვალს ხომ ვერსად დაემალება!

გარდა ამისა, გარეშეთაგან დაფარული უკეთური გრძნობები და აზრები საბოლოოდ ყოველთვის პოულობს სადინარს, ადრე იქნება თუ გვიან, რაღაც საქმით გამოვლინდება და გამჟღავნდება.

ამიტომ არის აუცილებელი ბილწი გრძნობებისა და ავი აზრებისგან დავიცვათ სული, სულის ჰიგიენისთვისაც ისე და კიდევ მეტადაც ვიზრუნოთ, როგორც სხეულის ჰიგიენისთვის. ხომ არავის ესიამოვნება პირდაუბანელი, მწვირიანი, ჩაბინძურებული კაცის ხილვა. მდაბალი, ულირსი გრძნობებით და უკადრისი აზრებით შესვრილი სული კიდევ უფრო საზარელი სახილველია. ჩვენ, ადამიანები ვერ ვჭვრეტთ მას, მაგრამ ითქვა უკვე და კვლავ უნდა ითქვას: ღმერთი გულთამხილველია და მის თვალს არაფერი დაემალება.

ყოველთვის როდი ვითვალისწინებთ ამას. ერთი წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, გვერდით განუშორებლად რომ გვახლდეს მეგობარი, იმნაირი სასწაული ხელსაწყოს მფლობელი, რომელიც მხოლოდ ჩვენს საქციელს, ჩვენს მოქმედებას კი არ აღნუსხავდა, ჩვენს სულსაც ძირის ძირამდე გაჩხრეკდა რენტგენის აპარატივით — ყოველ ჩვენს სამარცხვინო გრძნობას, საძრახის აზრს და დასაგმობ მიდრეკილებას გამოამჟღავნებდა. ხომ უეჭველად შევეცდებოდით სიახლოვეს არ გაგვეკარებინა ის სამარცხვინო გრძნობები და საძრახისი აზრები.

ოდესმე შესაძლოა ამნაირი აპარატი მართლაც გაკეთდეს. მაგრამ მოდი, ნუ დაველოდებით იმ ხელსაწყოს შექმნას, მანამდე დავიცვათ ჩვენი სული უკეთურებისგან. რადგან გულთამხილავი აპარატი რა სახსენებელია, თუკი ვიცით, რომ თავად მაღალი ღმერთი დაჰყურებს ჩვენს სულს დღისითაც და ღამითაც, დარშიც და ავდარშიც, შინაც და გარეთაც, ჩვენს სიმარტოვეშიც და სხვებთან ყოფნის დროსაც. „ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ, ქვესკნელში ჩავიდე და — იქაც ხარ... გამომცადე, უფალო, და შეიცან გული ჩემი, შემამოწმე და შეიცან აზრები ჩემი", —

ასე ესიტყვებოდა უფალს დავით წინასწარმეტყველი, შემქმნელი „ფსალმუნნისა“.

მაგრამ უფალი ღმერთი ჩვენი სულის უბრალო მჭვრეტელი ხომ არ არის, მისი განმგებელია და უმაღლესი მსაჯული. ზესთასოფელიც ისევე ემორჩილება ღმერთის ნებას, როგორც ეს ჩვენი ხილული სამყარო. ასე რომ, კაცის გარდაცვალების შემდეგ მის სულს სწორედ უფლის მიერ დადგენილი ურყევი წესების თანახმად მიეწყვება ამქვეყნიური ცხოვრების სანაცვლო. ამ წესებს, ამ კანონებს ვერავინ დაუსხლტება: როგორც ზემოთ ითქვა, ქვეყნად სიკეთის გზით მავალი სული საიქიოში ნეტარ ცხოვრებას დაიმკვიდრებს, ხოლო ბოროტების გზით მავალს სატანჯველი არ ასცდება.

დიდი უბედურებაა კაცისთვის, კარგად თუ არ აქვს შეგნებული ეს ამბავი, ან კიდევ შეგნებული აქვს, მაგრამ საცდურს ვერ სძლევს და მაინც ბოროტ გრძნობებს, ბოროტ აზრებს, ბოროტ მიდრეკილებებს და ბოროტ საქმეებს არის მიდევნებული.

ამ საძრახის გრძნობებს, აზრებს, მიდრეკილებებს სულში აღძრავს ის ბოროტი სული, ამ წიგნის ერთ თავში („სოფელი და ზესთასოფელი“) რომ ვახსენეთ. სატანას, ეშმაკს უწოდებენ იმ ბილწ არსებას, რომელიც ნიადაგ იმის ცდაშია, სიკეთის გზიდან გადააცდინოს კაცის სული. მისი გავლენის დაძლევა იმაზე არის დამოკიდებული, რამდენად ძლიერი ნებისყოფა აქვს ადამიანს.

ძლიერი ნებისყოფის ადამიანი თავს უფლებას არ მისცემს ცხოვრების გზაზე შემოყრილ ათასგვარ საცდურს გამოედევნოს, ისე მოდუნდეს, სიფხიზლე ისე დაკარგოს, რომ საძრახის მიდრეკილებებს დანებდეს, მდაბალ გრძნობათა და უკეთურ აზრთა სათარეშო ასპარეზად აქციოს თავისი სული.

ამიტომ ითქმის ხოლმე: კაცის ცხოვრება მისი დღე და მოსწრება საკუთარ თავთან შეუსვენებელი ბრძოლა არისო. ამიტომვე დაგვიგდო ანდერძად ბრძენმა წინაპარმა: „ვის არ ერევის რული, იგი არს კაცი სრული“.

წაგიკითხავს, სიკვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
„სიკვარული აღგვამაღლებს“, — ვით ეჭვანნი ამას ჭეშერენ.

შოთა რუსთაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვათა სალარო

თავის ლლე და მოსწრება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში.
ლუნლულა – რბილი და თბილი.
ხაოიანი – ხორკლიანი.
შელანძლული – გაცვეთილი, გაცრეცილი.
ძეხორციელი – ადამიანი.
წაეკიდა – წაეჩხუბა.
ვაიუშველებელი – აურზაური და შეხლა-შემოხლა.
საძციელი წაუხდა – შეკრთა.
გრძნობამ აიტაცა – გრძნობამ ააჩქარა.
სიამტკბილობა – სიამით, ტკბილად ყოფნა.
ნეტარება – ბედნიერება, სიამოვნება.
მოსაძაგებელი – შესაძულებელი.
თემშარა – სოფლის შარაგზა.
გულთამხილავი – გულში ნადების მხილველი.
ნაჩუმარი – ჩუმად, ფარულად დაცული.
ჰიგიენა – აქ: მოვლა-გასუფთავება.
მწვირიანი – ჭუჭყიანი.
შესვრილი – გასვრილი.
ნეტარი ცხოვრება – ბედნიერი, საამო ცხოვრება.
საცდური – ის, რასაც შეუძლია შეაცდინოს ადამიანი.
სათარეშო – სანავარდო, საპარპაშო.
ასპარეზი – მოედანი.
დაგვიგდო ანდერძად – ანდერძი დაგვიტოვა.
რული – თვლემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლობა

ნათლობას თუ დასწრებიხართ როდისმე? თუ არ დასწრებიხართ, ეს სიტყვები ხომ მაინც გექნებათ გაგონილი: ნათლისღება, მონათვლა, ნათლული, ნათლია, ნათლიმამა, ნათლიდედა, ნათელ-მირონი.

თუ გახსოვთ, მესამე კლასის სახელმძღვანელოში ამდაგვარი რამ ეწერა: „წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებელს ვუწოდებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ნათელი მოგვფინა. ეს ნათელი ქრისტეს მოძღვრება იყო“.

ქრისტეს მოძღვრების მიყოლა ნათელს უკავშირდება, ადამიანის შინაგანად გაბრწყინებას. ადამიანი ქრისტიანად რომ იქცეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოინათლოს, ესე იგი სინათლეს, ნათელს ეზიაროს. დიდებულად გამოხატავს ამას ქართული ენა: ქრისტიანად ქცევას ეწოდება ნათლისღება ანუ ნათლის მიღება. ვინც ამ ნათელს მიიღებს, ის არის მონათლული, ნათლული, ნათლის მიღებაში ვინც შეეწევა, ის არის ნათლია.

ჩვენს ოჯახებს ნათელ-მირონი აკავშირებსო, — ითქმის ხოლმე. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი ოჯახიდან ერთი ოჯახის წევრი ნათლიაა, მეორის — ნათლული. ამგვარ კავშირს ჩვენში დიდად აფასებენ, პატივს სცემენ. ნათელ-მირონს ზოგჯერ ნათესაობაზე მეტ სიახლოვედაც მიიჩნევენ. ეს იმიტომ, რომ ნათლია ვალდებულია ნიადაგ ზრუნავდეს თავისი ნათლულის სულიერი აღზრდისთვის, სულიერი განვითარებისთვის, მისი უახლოესი ადამიანი იყოს. კი, ისეთი შემთხვევებიც გვეცოდინება, როდესაც ნათლია მარტო გარეგნულად მოიხდის თავის ვალს, ნათლულს ჯვარს უყიდის და მერე მისი სულიერი აღზრდა კი არა, შესაძლოა მისი არსებობაც აღარ გაახსენდეს. მაგრამ ასე მხოლოდ უღირსი ნათლიები იქცევიან.

თვითონ ნათლობის წესიც საამო სამზერია: სანთლებით გაჩახჩახებულ ტაძარში ლოცვად დამდგარი მღვდელი, მოსანათლის ემბაზში განბანვა, მირონის ცხება, ყელზე ჯვარის ჩამოკიდება, იქვე მყოფი ნათლიები და მოსანათლის მშობლები, ნათესავები, ახლობლები. გარეშენიც იკრიბებიან ხოლმე ნათლობის საცქერლად. არაჩვეულებრივ დღესასწაულს ჰგავს ეს ყოველივე. და მართლაც ასეა, ნათლობა ნამდვილი დღესასწაულია. ადამიანი თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ინათლება.

გულდასაწყვეტი ის არის, ეს მშვენიერი დღესასწაული ჩვენში ერთობ ხშირად თავაწყვეტილ ღრეობად იქცევა ხოლმე. ეკლესიიდან დაბრუნებული ოჯახის

წევრები, ნათესავები, მოკეთენი გაშლილ სუფრას მიუსხდებიან, საჭმელს მიეძალებიან, ღვინოს — კიდევ უფრო მეტად, უზომოდ დათვრებიან, ლამის ერთმანეთს ველარ სცნობენ, ზოგჯერ ჩხუბით და აყალმაყალით მთავრდება სადღესასწაულო სუფრა.

არადა, ადამიანი რომ ინათლება, ამით ქრისტიანთა დიდი ოჯახის წევრად იქცევა, როგორც ითქმის — სულიერად ახლად იბადება წმინდა, უცოდველი ცხოვრებისათვის. აბა სად სულიერი ამაღლება და სად გალეშილი ხალხის ღრიანცელი?

დიდი ცოდვაა ეს.

„კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯერა, როგორ დიდს ცოდვას სჩადიან", — ბრძანებდა ვაჟა-ფშაველა.

ვერც იმ სუფრის მეინახენი გრძნობენ, ცოდვას რომ სჩადიან. პირიქით, ისე ჰგონიათ, დიდად სასიკეთო რამეს ვიქმთ, ნათლობას ვდღესასწაულობთო.

ცოდვის ჩადენა ხომ ცუდია, უარესი ის არის, როცა კაცი არ უფიქრდება თავის ცოდვებს.

ერთი კია: ცოდვებს რომ დავუფიქრდეთ, კარგად უნდა ვიცოდეთ, რა არის ცოდვა.

ცოდვა არის ცუდი, უღირსი რამის გაფიქრება, ცუდი, უღირსი გრძნობის გულში გავლება, ცუდი, უღირსი საქმის გაკეთება. ამნაირი აზრი, გრძნობა და საქციელი ყოველთვის გადაგვახვევინებს სიკეთის გზიდან. სიკეთის გადახვევას კი, ითქვა უკვე, უეჭველად ბოროტებამდე მივყავართ. ცოდვა ბოროტების სათავეა.

გავიხსენოთ წინა გაკვეთილი, გელას და კახას ამბავი.

ცუდი, უღირსი სურვილი გაუჩნდა გელას, მოინდომა მაინცდამაინც თავი მოეწონებინა ახალმოსული გოგოსთვის — აი, რა მაგარი ბიჭი ვარო.

მერე რით არის ეგ ცუდი, — იქნებ იკითხოს რომელიმე თქვენგანმა, — ხომ გვასწავლის რუსთაველი: სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონიაო?

აბა უფრო კარგად დავუფიქრდეთ: რამდენი ახალ ადამიანს გავიცნობთ, იმდენი თავის მოწონება რომ მოვისურვოთ, რა მოჰყვება ამას? ის მოჰყვება, რომ ჩვენი ცხოვრება ერთ გაუთავებელ პრანჭვა-გრეხად იქცევა და თავის მოწონების ნაცვლად თავს მოვაძულებთ ყველას. მანჭია კაცი არავის უყვარს. არაფრად არ ვარგა, კაცი ნიადაგ იმას რომ ცდილობს, სხვათა თვალში იმაზე უკეთესი გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია.

გელას უღირს სურვილს კიდევ უფრო ცუდი აზრი მოჰყვა: გელამ გადაწყვიტა

თავში წამოერტყა მეგობრისთვის. ბოლოს — ულირსი საქციელი, წამორტყმა, რასაც იმდენი უსიამოვნება დაერთო.

გელას და კახას ამბავი სინამდვილეში არ მომხდარა, ჩვენ წარმოვიდგინეთ, მაგრამ სინამდვილე, ცხოვრება ხომ სავსეა ამდაგვარი ამბებით. ყოველ წუთს შესაძლოა გაგვიჩნდეს ულირსი გრძნობა თუ აზრი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შესაძლოა ცუდად მოვიქცეთ.

ეს ასეა, მაგრამ როგორ უნდა განვასხვავოთ, ცუდია რაიმე გრძნობა ან აზრი, თუ კარგი, როგორ გამოვარჩიოთ ცუდი და კარგი საქციელი?

ამას მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს კაცი. იმით სწავლობს, რომ უკვირდება თავის გრძნობებს, აზრებს, თავის საქციელს, უკვირდება სხვათა მოქმედებას და ისე გამოაქვს დასკვნები. ჯერჯერობით, მეოთხე კლასში ყველაფერს ვერ ჩავხვდებით, მაგრამ ზოგიერთი რამ ამთავითვე შეგვიძლია მოვინიშნოთ.

თუ გახსოვთ, უკვე ვისწავლეთ ამგვარი რამ: ჭეშმარიტ ქრისტიანს სხვა ადამიანები საკუთარ თავსავით უნდა უყვარდესო. ყველა ჩვენგანი ვერ იქცევა ჭეშმარიტ ქრისტიანად, მაგრამ ის კი ყველას შეუძლია, ცოტათი მაინც მიბაძოს ჭეშმარიტ ქრისტიანებს და საკუთარ თავსავით თუ არა, რამდენადაც ძალუძს, იმდენად შეიყვაროს სხვა ადამიანები. ვინც ამას შეძლებს, იმასაც მიხვდება, რომ უწინარეს ყოვლისა ცუდია იმგვარი აზრი, იმგვარი გრძნობა, იმგვარი საქციელი, რომელიც სხვა ადამიანების საწინააღმდეგოა. თავი ყველას გვიყვარს. საკუთარი თავის საწინააღმდეგო რამეს ხომ არაფერს ვაკეთებთ ჩვეულებრივ? მაშინ იქნებ იმასაც შევეცადოთ, სხვისი საწინააღმდეგოც არაფერი ჩავიდინოთ.

პირველად ის ვთქვათ, რომ საკუთარი თავის მოტყუება და დაღალატება არავის უყვარს, ხომ ასეა? აბა სხვებს რაღატომ ვატყუებთ, რატომ ვცრუობთ ხოლმე?

იმიტომ, რომ გვავიწყდება, რა საზიზღარი რამ არის სიცრუე.

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა", — გვმოძღვრავს რუსთაველი. სიტყვა „უბადობა" ულირსობას, სისაძაგლეს ნიშნავს. სიცრუე ყოველგვარი სისაძაგლის სათავე, საწყისი არისო. ვინც კარგად დაუკვირდება ცხოვრებას, დარწმუნდება, რომ ასეა მართლაც.

იმითაც არის ცუდი სიცრუე, კაცი რაიმე ტყუილს რომ იტყვის, ერთობ, ერთობ ხშირად იძულებული ხდება ამას მეორე ტყუილიც მოაყოლოს პირველის დასაფარავად, ზოგჯერ — მესამე და მეტი ტყუილი.

შოთა რუსთაველი კიდევ არაერთხელ გვესაუბრება ამ მძიმე ცოდვის შესახებ. ყური მივუგდოთ: „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა", „კაცი ცრუ და

მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად".

განსაკუთრებით ამ შეგონებას დავუკვირდეთ: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა". აქ ის აზრია გამოთქმული, რომ სიცრუეს ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ვნება მოაქვს ადამიანებისთვის და საიქიოშიც, სადაც ამ ცხოვრებაში ნათქვამი ტყუილებისთვის დაიტანჯება მისი სული.

კიდევ ერთი შეგონება: „ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს". ესე იგი: ყველა, ვინც სხვას ატყუებს და ღალატობს, ვინც ცრუობს, ამით ღმერთს გმობს, ღმერთს უარყოფს, ღმერთის საწინააღმდეგოდ იქცევაო. აბა რომელი ჭკუათმყოფელი იქნება, ღმერთის გმობა, ღმერთის წინააღმდეგობა რომ ისურვოს? თითქოს არავინ. მაგრამ რუსთაველი სწორედ იმას გვასწავლის — ამას იქმსო ცრუ და მოღალატე კაცი. რამდენი ტყუილის თქმას დავაპირებთ, იმდენი რომ გვახსენდებოდეს ეს შეგონება, დიდად მოგებულნი ვიქნებოდით.

ახლა იმ ცოდვის შესახებ ვთქვათ ცოტა რამ, შური რომ ეწოდება.

„შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა", — განგვიმარტავს სულხანსაბა ორბელიანი თავის განთქმულ ლექსიკონში. ეს შემდეგს ნიშნავს: შური ის არის, როცა ვინმე იმის გამო წუხს, სხვა კარგი რატომ არის, კარგი რამ რატომ აქვსო. სულერთია, რა იქნება ის კარგი.

ერთ ჩემს კლასელ გოგოს მოხდენილი კაბა ჩაუცვამს და მე ვწუხვარ. მეორეს სავარცხელი აქვს გადასარევი და მაწუხებს ეს. მესამეს საუცხოო გულსაბნევი გაუკეთებია და ის მიშხამავს გუნებას. მეოთხეს ლამაზი თვალები აქვს, მეხუთეს კოხტა ტან-ფეხი და ჩემზე უბედური არავინ დადის ქვეყანაზე... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ახლა ბიჭებისაც ვთქვათ. ერთი ჩემი კლასელი ბიჭი ძალიან ღონიერია და ის მწყინს. მეორე ფეხბურთს თამაშობს ყველაზე უკეთ. ამის მამას საუცხოო მანქანა ჰყავს, იმის მამას არაჩვეულებრივი სანადირო თოფი აქვს... ამჯერადაც უსასრულოდ შეიძლება ჩამოთვლა.

აი, ეს არის შური, დიდად საძრახისი და სამარცხვინო გრძნობა, დიდი ცოდვა.

გავიხსენოთ ზემოთ თქმული: თუკი იმას ვეცდებით, ცოტათი მაინც მივბაძოთ ჭეშმარიტ ქრისტიანებს და შეძლებისდაგვარად შევიყვაროთ სხვა ადამიანები, მაშინ შური აღარ მოგვეძალება. თუკი მიყვარს ის სხვა, რატომ უნდა შევწუხდე, ლამაზი და მოხდენილი თუ არის, ჭკვიანი თუ არის, ნიჭიერი, ნაკითხი, კარგი მოცეკვავე, იშვიათი ტანისამოსი თუ აცვია ანდა ფეხსაცმელი, იშვიათი სათამაშო თუ აქვს, დიდი ბინა, მდიდრული ავეჯი თუ უდგას და ასე და ამგვარად.

ტყუილის თქმა ცუდი საქციელია, შური — ცუდი გრძნობა. ცუდი აზრი რომელი იქნება?

რომელი და ისევ და ისევ სხვის საწინააღმდეგოდ მიმართული აზრი.

ვთქვათ, სახვალიო გაკვეთილი ძალიან კარგად მოვამზადე, აუცილებლად ხუთიანს მივიღებ. ის იყო, ეზოში სათამაშოდ ჩასვლას ვაპირებდი, ქეთინომ დამირეკა: სახელმძღვანელო არ მაქვს, შენი წიგნი თუ არ მათხოვე, გაკვეთილს ვერ ვისწავლიო.

„რატომ უნდა ვათხოვო? — გავიფიქრე მე. — თუ ვათხოვე, ქეთინოც ჩემსავით კარგად მოამზადებს იმ გაკვეთილს და ისიც ხუთიანს მიიღებს. არა, არ ვათხოვებ".

აი, ამნაირი ულირსი აზრი გამიჩნდა.

კვლავ ვთქვათ: ცუდ აზრებს, ცუდ გრძნობებს, ცუდ საქციელს თუ შევეჩვიეთ, უეჭველად ცოდვამდე და ბოროტებამდე მიგვიყვანს ამგვარი აზრები, ამგვარი გრძნობები, ამგვარი საქციელი. არადა, ყველამ ვიცით, თუ არ ვიცით, ამის შემდეგ მაინც ვიცოდეთ: ცოდვილი კაცი ამ ცხოვრებაშიც უბედურია და საიქიოსაც გაიტანჯება მისი სული.

ამიტომ გვმართებს ისე ვიცხოვროთ ამ ქვეყნად, ცოდვას ვერიდოთ როგორმე. ძნელია ეს, ძალიან ძნელი. მით უფრო, რომ ყოველ კაცს ის ბოროტი სული ჰყავს ჩასაფრებული, ეშმაკი, სატანა რომ ეწოდება. და ის ბოროტი სული სულ იმის ცდაშია, სიკეთისა და სიყვარულის გზას ააცდინოს ადამიანი, ცუდი, ბოროტი აზრები და გრძნობები აღუძრას, ცუდი, ბოროტი, ღვთის საწინააღმდეგო საქმე ჩაადენინოს, ცოდვა ჩაადენინოს.

და, აი, ესეც დავიმახსოვროთ: ამ ბილწ არსებასთან — სატანასთან ბრძოლა, ცოდვებისგან თავის დახსნა იმას უკეთ შეუძლია, ვინც ქრისტიანად იქცა, ქრისტეს ნათელს ეზიარა ანუ მოინათლა. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ქრისტიანობა სიყვარულის მოძღვრებაა, ხოლო სადაც სიყვარულია, იქ ეშმაკი ვერ გაიჭაჭანებს. ნათლობა ცოდვებისგან განწმენდას ნიშნავს.

ამას მით უფრო უკეთ გავიგებთ, რაც უფრო ახლოს გავიცნობთ ქრისტეს მოძღვრებას. საამისოდ უმჯობესი იქნება, თუ ხშირად ვეწვევით ეკლესიას და ქრისტიანთა დიდ ოჯახს კიდევ უფრო დავუახლოვდებით.

„მაშინ ნათელიღო (მირიან) მეფემან ხელთა ქვეშე წმიდისა ნინოსსა, და შემდგომად (ნანა) დედოფალმან და შვილთა მათთა ხელსა ქვეშე მღვდელთა და

დიაკონთასა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკვარი და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი და მუნ ნათელსცემდა წარჩინებულთა თვითოსა. და ეწოდა ადგილსა მას „მთავართა სანათლო“. ხოლო ქვემოთ მისსა, მდინარისავე პირსა, ორგან, ორნი მღვდელნი და დაიკონნი ნათელსცემდეს ერსა. და მოისწრაფე იესეს ნათლისღებად ყოველნი“.

„ნინოს ცხოვრება“

სიტყვათა სალარო

ნათლიმამა – ნათლულის მამა (ნათლიისთვის).
ნათლიდედა – ნათლულის დედა (ნათლიისთვის).
ლოცვად დამდგარი – მლოცველი.
ემბაზი – ნათლობის დროს მოსანათლის განსაბანი ჭურჭელი.
მირონი – სურნელოვანი ზეთი.
გალეშილი – ძალიან მთვრალი.
მეინახენი – თანამესუფრენი.
ვიძმთ – ვაკეთებთ.
მანჭია – მეტიჩარა, პრანჭია.
ამთავითვე – ახლავე.
ძალუძს – შეუძლია.
ლახვარი – ბასრწვერიანი იარაღი.
შეგონება – ჭკუის დარიგება.
ჭკუათამყოფელი – ჭკუაზე მყოფი, გონიერი.
სახვალიო – ის, რაც ხვალისთვის არის.

ტაძარი

„ტაძარს“ ვიტყვით, „ეკლესიას“ თუ „საყდარს“, დიდი განსხვავება არ არის, სამივე სიტყვა ღვთის სახლს აღნიშნავს, ისეთ ნაგებობას, სადაც ღვთისმსახურება სრულდება და მორწმუნენი იკრიბებიან სალოცავად და ქადაგების მოსასმენად.

ქრისტიანობის გავრცელება რომ იწყებოდა, ამ ორი ათასი წლის წინათ, ტაძრები ანუ ეკლესიები ჯერ არ ჰქონდათ, რომელიმე ქრისტიანის სახლში იყრიდნენ თავს სალოცავად. მერე და მერე ქრისტიანების რიცხვმა იმატა, უბრალო საცხოვრებელ სახლებში ვეღარ თავსდებოდნენ, ამიტომ საგანგებო სალოცავი შენობების, ესე იგი ტაძრების, ეკლესიების, საყდრების აგებას მიჰყვეს ხელი.

პირვანდელი ტაძრები იმგვარი ფორმის შენობები იყო, „ბაზილიკას“ რომ უწოდებენ. ეს არის ერთსართულიანი მოგრძო, უგუმბათო ნაგებობა. შემდგომში გუმბათიანი ტაძრების აშენება ამჯობინეს. გუმბათმა დიდად დაამშვენა ტაძარი.

საქართველოშიც ასე იყო. ბაზილიკის ფორმის ეკლესიები ჩვენში შედარებით ცოტა შემორჩა. ბოლნისში თუ ყოფილხართ, იქ რომ განთქმული ბოლნისის სიონი დგას, სწორედ ბაზილიკაა. ასევე ბაზილიკაა თბილისის ანჩისხატი, ქარელის რაიონში — ურბნისი, კახეთში — ხაშმის სამება.

დღესდღეობით „ტაძარს“ რომ ვიტყვით, თვალწინ წარმოგვიდგება გუმბათით დაგვირგვინებული ლამაზი სანახავი შენობა, უმეტესწილად მომაღლო ადგილას, გორაზე ან ბორცვზე წარმომართული, შორიდანვე რომ იხილვება და მთელ იმ არემარეს ამშვენებს.

გავიხსენოთ თბილისში მდგარი მეტეხი, სიონი, ქაშუეთი, ლურჯი მონასტერი, დიდუბის ეკლესია.

თბილისიდან დასავლეთით თუ გავემგზავრებით, მცხეთას რომ მივუახლოვდებით, ჯერ მთაზე აზიდული მცხეთის ჯვარი გამოჩნდება, მერე — მომხიბვლელი სვეტიცხოველი, ბოლოს — სამთავრო. უფრო დასავლეთით გზადვე შემოგვხვდება სამთავისი. ვინც მატარებლით მიემგზავრება, სოფელ მეტეხის ეკლესიას დაინახავს. ოდნავ ზემოთ ერთაწმინდის ტაძარი დგას. გორთან ახლოს ატენის სიონია აღმართული, კიდევ უფრო დასავლეთით — სამწევრისი, ყინწვისი, წრომი, ტიმოთესუბანი.

ლიხის მთას რომ გადავივლით, იქვე უბისი დგას. ქუთაისში — ბაგრატის ტაძრის დიდებული ნანგრევი, მწვანეყვავილა, წმინდა გიორგის და პეტრე-პავლეს ეკლესიები. ბაგრატის ტაძრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით რომ გავხედავთ, არც

4-ჯლ, 33. 59 K



თბილისის მეტეხის ტაძარი, მეცამეტე საუკუნე.

ისე შორს გელათი გამოჩნდება, მოწამეთაც იქვეა.

რაჭაში — განთქმული ნიკორწმინდა, ბარაკონი, მრავალძალი, სამეგრელოში — წალენჯიხა, მარტვილი, ხობი, ცაიში, კორცხელი, აფხაზეთში — ილორი, ლიხნე, ბიჭვინთა, მოქვი, ბედია, გურიაშია — აჭი, შემოქმედი, აჭარაში — სხალთა, სამცხეში — საფარა, ზარზმა, ჭულე.

ახლა თბილისიდან აღმოსავლეთით მომავლოთ მზერა. ქვემო ქართლს ბეთანია, მანგლისი და ფიტარეთი ამშვენებს, კახეთს — ალავერდი, იყალთო, შუამთა, გრემი, ნინოწმინდა...

ყველას ვინ ჩამოთვლის!

თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში, ომი იყო თუ მშვიდობა, მკლავმოუღლელად აგებდა უმშვენიერეს ტაძრებს ქართველი ხალხი. ქალაქების გარდა საქართველოს თითქმის ყოველ სოფელში იდგა დიდი თუ მცირე ეკლესია. ზოგს მიწისძვრა დააქცევდა, ზოგს მომხდურნი ანგრევდნენ. ძალასა და ღონეს არ იშურებდა ქართველობა მათ აღსადგენად თუ გასაახლებლად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მორწმუნე ხალხს დევნა დაუწყეს, წირვა-ლოცვა თითქმის ყველგან აიკრძალა, სათუთად ნაგები ეკლესიები ზოგან კლუბად აქციეს, ზოგან — საწყობად, ან, კიდევ უარესი, — ბოსლად.

დამოუკიდებელ საქართველოში კვლავ იწყება ახალი ტაძრების მშენებლობა, ბევრგან წირვა-ლოცვაც აღდგა.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჟამთა სიავით, გარეშე თუ შინაური მტრების ხელით იავარქმნილი მრავალი ტაძარი ჩვენს მუდმივ ყურადღებას, მზრუნველობას, მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

აქ რომ თაღებია, —
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი — ნიკორწმინდა? !

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი —
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი
გშვენის, ნიკორწმინდა!

გალაკტიონ ტაბიძე

სიტყვათა სალარო

ღვთისმსახურება — რელიგიური წესების შესრულება.
ქადაგება — ეკლესიაში მორწმუნეთა დასარიგებლად წარმოთქმული სიტყვა.
ხელი მიჰყვეს — დაიწყეს.
პირველდელი — თავდაპირველი.
იხილვება — ჩანს.
აზიდული — აღმართული.
მკლავმოუღლელად — მხნედ, დაუღალავად.
დააქცევდა — დაანგრევდა.
მომხდური — ქვეყანაში შემოჭრილი მტერი.
სათუთად — მზრუნველობით.
იავარქმნილი — განადგურებული.

შევიდეთ ღვთის სახლში

ალბათ ყოველ თქვენგანს სმენია სამრეკლოდან ზარების რეკვა, ანუ, როგორც ითქმის კიდევ, ზარების დარისხება. სამრეკლო ეკლესიის გვერდით მდგარი მომცრო ნაგებობაა, შიგ სხვადასხვა ზომის ზარები ჰკიდია და ლოცვის დაწყების წინ იმ ზარებს ჩამორეკავს მნათე, მორწმუნეებს მოუწოდებს ტაძარში შესაყრელად. ეკლესიის ზარების რეკვა საამო მოსასმენია. მოდი, ჩვენც მივყვეთ ამ ხმაზე ტაძრისაკენ დაძრულ ხალხს, მასთან ერთად შევიდეთ ღვთის სახლში.

ტაძარი და მისი ყელყარყარა გუმბათი გარედან ბევრჯერ დაგვინახავს. ტაძარში რომ შევალთ, გუმბათის შიდა მხარეც მაღლა აგვახედებს, გინდაც ცისთვის მიგვეპყროს მზერა. მართლაც ცის კამარას არის მიმსგავსებული გუმბათი და ამნაირი შესახედაობა სწორედ იმიტომ აქვს, რომ ზეცა გამოხატოს, ღმერთის საუფლო თვალშეუდგამი სიმაღლე.

გუმბათის გარდა მრავალი სხვა რამეც მიგვანიშნებს, რომ ჩვეულებრივს სახლში კი არ ვიმყოფებით, არამედ ღვთის სახლში.

ტაძარში შესვლისთანავე რაღაც სხვაგვარი ნათელი მოგვეფინება. ამ ნათელს იქ მოლიცლიცე აურაცხელი სანთელი გამოსცემს. ხატის წინ ანთებული სანთელი შესაძლოა თქვენს ოჯახშიც გენახოთ, მაგრამ ეკლესიაში მართლაც აურაცხელი სანთელი პარპალებს მომხიბვლელად. სანთელი ღვთაებრივ ნათელს და სიწმინდეს გამოხატავს. სხვათა შორის, ამიტომაც არის, რომ ეკლესიაში ცვილის ან, როგორც ითქმის ხოლმე, თაფლის სანთელი უნდა იხმარებოდეს და არა მაღაზიაში ნაყიდი ქონის სანთლები. თაფლის სანთელს ალიც და სურნელიც სხვაგვარი აქვს.

სანთლის ჩასამაგრებელ ოქროსფერ ჭურჭელს შანდალი ჰქვია. ზოგნი შანდალს და კანდელს ვერ ასხვავებენ. კანდელი არის ვერცხლის ან ოქროს ჭურჭელი, რაშიც წმინდა ზეთი ასხია და ისიც სანთელივით იწვის ტაძარში. გვარი კანდელაკი სიტყვა „კანდელიდან“ წარმოდგება.

ტაძარში რომ მივიხედ-მოვიხედავთ, შევნიშნავთ, რომ ის აურაცხელი სანთელი უწესრიგოდ კი არ არის მიმოფანტული, ხატების წინაშე ანთია. ხატზე, ჩვეულებრივ, გამოსახულია იესო ქრისტე, ღვთისმშობელი მარიამი, ანგელოზი, რომელიმე წმინდანი, მაგალითად, წმინდა გიორგი ან წმინდა ნინო. ხატები იმიტომ იქმნება, რომ მათი დახმარებით უკეთ წარმოვიდგინოთ ღმერთი, ანგელოზი თუ წმინდანი.

მალე იმასაც შევნიშნავთ, რომ ეკლესიაში შემოსული მორწმუნენი ხატის წინ სანთელს რომ აანთებენ, პირჯვარს გადაიწერენ და ლოცვას წარმოთქვამენ. ჩვენ უკვე ვიცით, რა არის ლოცვა, რა არის პირჯვარის გამოსახვა: პირჯვარის გამომსახველი და მლოცველი ადამიანი ღმერთს ესიტყვება, ღმერთს ეხმიანება, თავის ფიქრებსა და გულისნადებს უმხელს ან რასმე ევედრება.

ჩვენც მივბაძოთ იმ მორწმუნეებს, ხატს მოკრძალებით მივეახლოთ, მის წინაშე სანთელი ავანთოთ, პირჯვარი გადავიწეროთ და უფალს რამე შევთხოვოთ. რა შევთხოვოთ? ის, რაც ყველაფერზე მეტად გვაფიქრებს, გვაღელვებს თუ გვაწუხებს.

ვთქვათ, სახვალიოდ ძნელი გაკვეთილი მაქვს სასწავლი და მეშინია, რომ ვერ მოვასწრებ ხვალამდე. შეიძლება თუ არა, უფალს შევევედრო — ღმერთო, გაკვეთილი კარგად მომამზადებინე და ხუთზე მაპასუხებინეო? გახსოვთ, რა ითქვა მესამე კლასში ერთ გაკვეთილზე? — წრფელი გულით, აზრის მოკრებით ნათქვამ ლოცვას დიდი ძალა აქვსო. ამგვარად ნათქვამ ლოცვას ღმერთი უეჭველად შეისმენს და დაგვეხმარება კიდეც. მაგრამ იმით კი არ დაგვეხმარება, რომ გაურჯელად, უშრომლად, თამაშ-თამაშით გვასწავლის, ანდა სულაც უსწავლელად ხუთიანს მიგვაღებინებს. იმით დაგვეხმარება, რომ ძნელად სასწავლი გაკვეთილის დასაძლევ მხნეობას შეგვმატებს.

ახლა ერთ საკითხზეც დავფიქრდეთ. ღმერთს ყველა ადამიანი უყვარს, მაგრამ გამორჩეულად ისინი უყვარს, ვინც საკუთარ თავზე მეტად სხვის გამო წუხს და ზრუნავს. ამიტომ უმჯობესი იქნება ღვთის სახლში შესვლისას ჩვენი გასაჭირით კი არ შევაწუხოთ უფალი, სხვისთვის ვილოცოთ.

როგორ მოვახერხოთ ეს? სულ უბრალოდ: ხატის წინ სანთელს რომ ავანთებთ და პირჯვარს გადავიწერთ, უფალს, ვთქვათ, ამგვარი რამ შევთხოვოთ:

— ღმერთო, მშობლები მიცოცხლე და კარგად მიმყოფე!

ან კიდევ:

— ღმერთო, ჩვენი კლასელი ბიჭი ძალიან ავად რომ არის, იმას შეეწიე, მოარჩინე და ფეხზე დააყენე!

საკუთარ თავზე მეტად სხვათათვის ზრუნვას, მათთვის ლოცვას თუ შევეჩვიეთ, უფრო მეტად დავემსგავსებით ჭეშმარიტ ქრისტიანებს, ღმერთსაც უფრო მეტად ვეყვარებით და ჩვენც უკეთ შევძლებთ ღმერთის სიყვარულსაც და ერთმანეთის სიყვარულსაც.

ტაძარში მოსული მორწმუნენი მხოლოდ თავ-თავისთვის კი არ ლოცულობენ ხატების წინაშე. ზარების დარისხებიდან ცოტა ხნის შემდეგ იწყება წირვა ანუ

მორწმუნეთა ერთობლივი ლოცვა-ვედრება უფლისადმი. წირვას უძღვებიან მღვდელ-მსახურნი — მღვდელი და დიაკვანი. მათი თავისებური ჩაცმულობა, სასულიერო პირთა სამოსელი ერისკაცთა ტანსაცმელისგან განსხვავდება. ამას თავისი დანიშნულება აქვს, რაღაცის ნიშანია, რაღაცას გამოხატავს. რას გამოხატავს? ამ კითხვის პასუხს შემდგომ შევიტყობთ. ამთავითვე ის უნდა ვიცოდეთ, რომ ღვთის სახლში ყველაფერი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის გამომხატველია, რაღაცის ნიშანია, შემთხვევით არაფერი არის აგებული, ამა თუ იმ ადგილას მოთავსებული, არც არაფერი ხდება შემთხვევით.

მაგალითად, თუ კარგად დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ტაძარში აღმოსავლეთის მხარეს არის საკურთხეველი, რომელიც ღვთის სამყოფს გამოხატავს. საკურთხეველი შუა ტაძრიდან, იმ ვრცელი ადგილიდან, სადაც მლოცველნი დგანან, გამოყოფილია კანკელით. ეს არის ხატებით მორთული ხის ან ქვის კედელი, ლამაზი სანახავი. კანკელის წინ ამაღლებულ ადგილს ამბიონი ეწოდება. იქ მდგარი ღვთისმსახური სახარებას კითხულობს ან ქადაგებას წარმოთქვამს.

წირვის დროს მღვდელს ხელთ უპყრია საცეცხლური ანუ სასაკმევლე, ოთხ ძეწკვზე დაკიდებული ვერცხლისფერი ჭურჭელი, რომელშიც ნაკვერჩხალი ღვივის და რომლიდანაც საამო სურნელი იკმევა. ეს ჭურჭელი გამოხატავს ღვთისმშობლის სხეულს, მასში მღვივანი ნაკვერჩხალი — ჩვილი იესო ქრისტეს ყოფნას ღვთისმშობლის სხეულში.

მერე და მერე ყოველივე აქ ნათქვამის მნიშვნელობას უფრო დაწვრილებით შევიტყობთ, მრავალ უცნობ რასმე გავეცნობით კიდევ.

ამჯერად, ღვთის სახლში პირველი შესვლისას, ჩვენს ყურადღებას ალბათ ისიც მიიპყრობს, რომ ტაძრის კედლები, გარდა ხატებისა, დამშვენებულია კიდევ ნახატებით — ფრესკებით, რომლებიც მოგვითხრობენ იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების, ღვთისმშობლის, წმინდანების ცხოვრებას, გადმოგვცემენ იმ ამბებს, საღვთო წიგნში — „ბიბლიაში" რომ არის აღწერილი.

კიდევ რა მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას? კიდევ ის,რომ სმენას გვიტკბობს თითქოსდა ზეციური ხმები, რომლებსაც მგალობელნი გამოსცემენ. საეკლესიო გალობა ტაძარში მუდამ ისმის წირვის დროს.

ეს ყოველივე ერთად — ცად ატყორცნილი დიდებული გუმბათი, ხატებითა და ფრესკებით დამშვენებული ტაძრის კედლები, სანთლებისა და ზეთის ნათელი, გალობის ხმები, საკმევლის სურნელი, მლოცველთა მშვიდი და რწმენით გაბრწყინებული სახეები, ღვთისმსახურთა მოქმედება და ქადაგება — ეს ყველაფერი

დაგვავიწყებს ათასგვარი შფოთითა და საზრუნავით დატვირთულ ყოველდღიურ ცხოვრებას და რაღაც ისეთს გვაგრძნობინებს, რაც მანამდე არ განგვიცდია.

ტაძარში ყოფნისას ჩვენ უფალს მივუახლოვდით.

საშობლო მხარე მე ბურუსში წინ მესატება:
ადამიანი ზეცას შეჰხარის.

გალაკტიონ ტაბიძე

სიტყვათა სალარო

მნათე – ზარების მრეკავი.
ყელყარყარა – ყელმოღერებული, მაღალ და ლამაზყელიანი.
ცის კამარა – ცის თაღი.
საუფლო – საბრძანებელი, სამყოფი.
თვალშეუდგამი – თვალშეუწვდენელი.
მოლიცლიცე – თითქოს მოციმციმე.
აურაცხელი – უამრავი.
პარპალებს – ნელა ირხევა.
ცვილი – გადამდნარი ფიჭა.
გულისნადები – ფარული, სხვისთვის გაუმხელელი ფიქრი.
რასმე – რამეს.
მოკრძალებით – მორიდებით და პატივისცემით.
მივეახლოთ – მივუახლოვდეთ.
შეისმენს – გაიგონებს.
ძეწკვი – წვრილი ჯაჭვი.
იკმევა – იფრქვევა.

მონასტერი

სიტყვა „მონასტერი“ ხშირად გაგვიგონია. ძნელად მოიძებნება ქართველი, მცხეთის სიახლოვეს, სვეტიცხოველის საპირისპიროდ, არაგვს გაღმა მთაზე შემართული მცხეთის ჯვარი რომ არ ეხილოს, ანდა ამბად მაინც არ სმენოდეს მისი არსებობა. შიომღვიმის მონასტერიც იქვე ახლოსაა. მარტყოფის მონასტერიც ვიცით ალბათ, ქვაბთახევის, ანუ როგორც დღესდღეობით უწოდებენ, ქვათახევის მონასტერიც, გელათიც...

მრავალი მონასტერია საქართველოში. უკეთ რომ ვთქვათ, მრავალი მონასტერი იყო ძველად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამონასტრო ცხოვრება თითქმის მთლიანად მოიშალა.

იქნებ შენიშნული გაქვთ ერთი თითქოსდა უცნაური რამ: ითქმის სვეტიცხოველის ტაძარი (ან — სვეტიცხოველის ეკლესია), მაგრამ მცხეთის ჯვარის შესახებ ჯვარის ტაძარი კი არ ითქმის, არამედ — ჯვარის მონასტერი. ასევე, ქუთაისში. ბაგრატის ტაძარი დგას, მაგრამ ქუთაისის სიახლოვეს გელათის ტაძარი კი არ იხსენიება, არამედ მაინცდამაინც გელათის მონასტერი. რატომ ხდება ასე?

ტაძარი, ეკლესია, საყდარი დასახლებულ ადგილას აიგება, ქალაქად ან სოფლად. იქ ყოველდღე იკრიბებიან ირგვლივ მოსახლე მორწმუნენი და წირვა-ლოცვაში მონაწილეობენ.

მონასტერი, ჩვეულებრივ, ქალაქიდან თუ სოფლიდან მოშორებით აიგება, დაუსახლებელ ადგილას. ამგვარ ადგილს ძველად უდაბნო ერქვა (დღეს „უდაბნო“ ხრიოკსა და უნაყოფო, მზით გადამწვარ ქვიშიან მიდამოს ნიშნავს). მონასტერში მხოლოდ ბერები ანუ მონაზვნები ცხოვრობენ და ლოცულობენ. მართალია, მორწმუნე ერისკაცები მონასტერშიც მიდიან ხოლმე სალოცავად, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რომელიმე საეკლესიო დღესასწაულის დროს. ტაძარი მონასტერშიც დგას, ოღონდ, ჩვეულებრივი ეკლესიისგან განსხვავებით, იქ რამდენიმე სხვა შენობაც არის ტაძრის ირგვლივ.

ბერი ანუ მონაზონი იმგვარ სასულიერო პირს ჰქვია, რომელიც ამქვეყნიურ ყოფას, ჩვეულ ყოველდღიურ ცხოვრებას განუდგება და მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სამსახურში გალევს თავის დღესა და მოსწრებას. ამიტომ ბერს კიდევ ეწოდება განდეგილი და მეუდაბნოე.

ღმერთს ცოტად თუ ბევრად ყოველი მორწმუნე ადამიანი ემსახურება, მაგრამ ამას გარდა ჩვეულებრივს ადამიანს მრავლის უმრავლესი საამსოფლო საქმე და საზრუნავი აქვს: სოფლად — მეურნეობის გაძღოლა, ქალაქად — სამსახურში სიარული,

საერთოდ — ოჯახის მოვლა-პატრონობა, შვილების გაჩენა და მათი აღზრდა, ათას-გვარი ყოველდღიური წვრილმანი თუ მსხვილმანი, ამქვეყნიურ სიამეთა მიყოლა, გარ-თობა, თავის შექცევა და მისთანანი.

ბერისთვის ანუ მონაზვნისთვის საამსოფლო საქმიანობა, სამსახური, ოჯახი, ცოლ-შვილი, თავის შექცევა, გართობა-სიამოვნება აღარ არსებობს. ადამიანი ბერად რომ შედგება, ანუ ბერად რომ აღიკვეცება, თითქმის ყოველგვარ კავშირს წყვეტს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან და თავისთავს მარტოოდენ ღმერთს გაუსაკუთრებს, ქვეყანას მოშორებული, სოფლიურ ყოფას განრიდებული ღვთისადმი ლოცვა-ვედ-რებაში ატარებს წუთისოფელს.

ბერები მეტწილად მამაკაცები არიან, თუმცა მონაზვნად ქალებიც აღიკვეცები-ან ანუ შემონაზვნდებიან ხოლმე. იმგვარ მონასტერს, სადაც ქალი მონაზვნები ცხოვრობენ, დედათა მონასტერი ჰქვია, რადგან ძველად სიტყვა „დედა", თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, საერთოდ ქალსაც ნიშნავდა. ასე რომ, დღესდღე-ობითაც „დედათა მონასტერი" ითქმის და არა „ქალთა მონასტერი".

რაკი მონასტრები დასახლებული ადგილებიდან მოშორებით არის აშენებული, ბერ-მონაზვნებს საცხოვრებელი ბინაც იქვე აქვთ. ბერის ბინა მცირე ზომის ოთახია, რომელსაც სენაკი ჰქვია. საკუჭნაოც აქვე უნდა ჰქონდეთ ბერებს, სამზა-რეულოც, სასადილოც. მართალია, ბერები ერთობ მწირ საზრდოს სჯერდებიან, ზოგჯერ პურისა და წყლის გარდა არც არაფრით იკვებებიან, მაგრამ სრულიად უჭმელ-უსმელი ძეხორციელი ვერ გაძლებს.

განცალკევებული ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა ნაგებობებიც არის მო-ნასტრის არემარეზე, მაგალითად, სასწავლებელი. ვინც გელათის მონასტერში ყოფილა, უეჭველად დაამახსოვრდებოდა ტაძრის სიახლოვეს შემორჩენილი მოზრდილი დარბაზი. ახლა შიგ ბალახია ამოსული და აღარც სახურავი ჩანს სადმე. ძველად კი ამ შენობაში უმაღლესი სასწავლებელი იყო და მისი მსმენელები დიდ ცოდნას იძენდნენ.

საერთოდ, ძველ დროს ყოველი მონასტერი სწავლა-განათლებისა და კულტუ-რის დიდი კერა იყო. დღეს რომ გვაქვს, იმნაირი სკოლები მაშინ არ არსებობდა და ცოდნის შეძენის მოსურნე ყმაწვილები უმთავრესად მონასტერში განისწავლებოდ-ნენ. იქ იწერებოდა საეკლესიო და მხატვრული თხზულებები, ითარგმნებოდა უცხო-ური ნაწარმოებები. უმდიდრესი ბიბლიოთეკები ჰქონდათ. დღევანდელი სტამბის მაგივრობასაც მეტწილად მონასტერში მოღვაწე ბერები სწევდნენ, რადგანაც მაშინ წიგნი ხელნაწერად ვრცელდებოდა და ეს მძიმე საქმე — ხელნაწერთა გადაწერა

ანუ გადანუსხვა — მონასტრის სენაკებში სრულდებოდა სანთლის შუქზე. აქვე ქმნიდნენ ძველი დროის მხატვრები თავიანთ დიდებულ ფრესკებს. უმშვენიერესი საეკლესიო საგალობლებიც აქ იქმნებოდა.

ზოგიერთ მონასტერში იმდენად ღრმად განსწავლული, ბრძენი მოღვაწენი მკვიდრობდნენ, რომ შესაძლებელი ხდებოდა იქ უმაღლესი სასწავლებელი დაეარსებინათ. გელათის მონასტერში მოქმედი ამგვარი სასწავლებელი, ანუ გელათის აკადემია, წელანაც ვახსენეთ. იყო კიდევ იყალთოს აკადემია. თელავიდან დასავლეთით რამდენიმე კილომეტრზე დღესაც შეგვიძლია ვიხილოთ იყალთოს მონასტრის ნაშთები.

ხალხში გავრცელებულია გადმოცემა — შოთა რუსთაველმა განათლება იყალთოში მიიღო. ეს გადმოცემა მართალიც რომ არ გამოდგეს, იმას მაინც უეჭველად გვანიშნებს, რომ იყალთოს აკადემია დიდი ცოდნით ყოფილა განთქმული. ასე რომ არა, ხალხი ბრძენი რუსთაველის სახელს ამ სასწავლებელს არ დაუკავშირებდა.

ზეთისხილთ წყნარი ჰყვაოდა მტილი,
სად ლოცვით მკრთალი და ფერმისდილი
ვიდოდა ბერი, იდგა ჰაერი
სულ სხვანაირი შუქით და ჩრდილით.

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვათა სალარო

ერისკაცი — საერო, არასასულიერო პირი.
განუდგება — მოშორდება, გაერიდება.
საამსოფლო — ამა სოფლის, ამქვეყნიური.
გაუსაკუთრებს — მის საკუთრებად გახდის.
სოფლიური — ამქვეყნიური.
განრიდებული — მოშორებული.
მწირი — აქ: მცირე.
ძეხორციელი — ადამიანი.
მოსურნე — მსურველი.
განისწავლებოდნენ — სწავლობდნენ, ცოდნას იძენდნენ.
განსწავლული — ნასწავლი, განათლებული.

გალაკტიონ ტაბიძის ტექსტში განსამარტავი სიტყვები:

მტილი — ბაღი.
ვიდოდა — მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასურელი მამები

„მამაო გიორგი“, „მამაო დავით“, „მამაო საბა“, — მივმართავთ ხოლმე მღვდელს ან ბერს. ზოგს ეშლება და ასეც ამბობს: „მამაო გიორგი მობრძანდა“, „მამაო დავითმა ჯვარი დაგვწერა“, „მამაო საბამ ილოცა“. ამგვარი გამოთქმა შეცდომა იმიტომ არის, რომ „მამაო“ მხოლოდ მიმართვის დროს ითქმის. თუ არ მივმართავთ და ისე ვახსენებთ, მაშინ უნდა ვთქვათ: „მამა გიორგი მობრძანდა“, „მამა დავითმა ჯვარი დაგვწერა“, „მამა საბამ ილოცა“ და ამგვარად.

ეს კარგად დავიმახსოვროთ და ახლა ის ვიკითხოთ: რატომ ვუწოდებთ მღვდელსა და ბერს „მამას“? იმიტომ, რომ სასულიერო პირი არის ჩვენი მწყემსი, მოძღვარი, სულიერი მამა. ყოველ ჩვენგანს ჰყავს ხორციელი მამა — ჩვენი მშობელი. მღვდელი, ბერი სულიერი მამაა ჩვენი. ხოლო ყველას მამა, ყველას შემქმნელი დიდი მამა, როგორც უკვე ვისწავლეთ, არის ღმერთი.

ამის შემდეგ დავხედოთ ამ გაკვეთილის სათაურს: „ასურელი მამები“. რას ნიშნავს? პასუხის გაცემა აღარ უნდა გაგვიძნელდეს: ასურელი სასულიერო პირები, ასურელი მღვდლები ან ბერები.

ძველ დროს ქართველები „ასურეთს“ იმ ქვეყანას უწოდებდნენ, სირია რომ ერქვა და დღესაც ჰქვია. სწორედ სირიიდან ჩამოვიდნენ ის ბერები, რომლებსაც ასურელი მამები შეერქვათ. ეს მოხდა მეექვსე საუკუნეში.

ასურელ მამებს სხვაგვარადაც იხსენიებენ: ათცამეტი ანუ ცამეტი ასურელი მამა, ცამეტი სირიელი მოღვაწე. რადგან, გადმოცემის თანახმად, სწორედ ცამეტნი იყვნენ ისინი. ოღონდ გადმოცემა იმას აღარ გვიზუსტებს, მართლა სირიელნი იყვნენ, თუ უცხოეთში მცხოვრები ქართველნი, რომელთაც სამშობლოს მოაშურეს ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად.

ასურელ მამათა თავკაცი და წინამძღოლი იოანე ზედაზნელი იყოო, — მოგვითხრობენ ძველი ნაწერები, — მას თორმეტი მოწაფე ჰყავდაო. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ თავდაპირველად თორმეტი მოწაფე იესო ქრისტეს ჰყავდა. ზედაზნის მთაზე დაემკვიდრა იოანე და სწორედ ამიტომ ეწოდა მას იოანე ზედაზნელი. ალბათ თქვენც გაგიგონიათ ზედაზნის მონასტერი, საგურამოს თავს წამომდგარ მთაზე რომ არის გაშენებული, ძალიან მაღალ ადგილას. იქიდან ისეთი გადმოსახედია, უკეთესს კაცი ვერ ინატრებს. მთის ძირას მცხეთის სანახებია გადაშლილი, მტკვრისა და არაგვის ხეობები. შორს, აღმოსავლეთით, თბილისის

ზოგიერთი უბანიც მოჩანს. თბილისიდანაც იხილვება ზედაზნის მთა და იქ მდგარი ნაგებობები.

იოანე ზედაზნელის მოწაფენი აღმოსავლეთ საქართველოს მოეფინენ და მონასტრები დააფუძნეს.

ერთ-ერთი მოწაფე, დავითი, ჯერ თბილისის სიახლოვეს დაემკვიდრა, იმ მთის კალთაზე, დღეს „მთაწმინდას“ რომ ვუწოდებთ, იქ, სადაც, მთაწმინდის ეკლესია დგას. ზოგნი „ფუნიკულიორსაც“ ეძახიან იმ მთას, მაგრამ „ფუნიკულიორს“ ნამდვილად „მთაწმინდა“ სჯობს. გარდა ამისა, იმ მთას „მამადავითსაც“ ვუწოდებთ დავითის პატივისცემით,

შემდგომში მამა დავითი გარეჯის უდაბნოში გადასახლდა. „გარეჯაც“ იმგვარი სახელია, ყოველმა თქვენგანმა უნდა იცოდეს. ასეთივე სახელია „დავით გარეჯა“, რომელიც იქ გაშენებულ, საარაკო ფრესკებით მოხატულ სახელგანთქმულ მონასტერს ჰქვია. მის დამფუძნებელს დავით გარეჯელი ეწოდა.

რამდენიმე სხვა ასურელი მოღვაწის სახელიც დავიმახსოვროთ.

მამა შიოს მღვიმელი შეარქვეს, რადგან მღვიმეში ანუ გამოქვაბულში ბინადრობდა მცხეთის სიახლოვეს, მისგან დასავლეთით, მტკვრის ხეობაში წამომართულ კლდეთა შორის, იქ, სადაც დღეს შიომღვიმის მონასტერია.

ისე წილკნელი სოფელ წილკანის მიდამოებში დაემკვიდრა, მცხეთის ჩრდილოეთით.

მამა ანტონს მარტომყოფელი დაერქვა, რადგან მარტოდ იმყოფებოდა, მარტო ცხოვრობდა. შემდგომში სიტყვა „მარტომყოფელი“ შემოკლდა და „მარტყოფელი“ მივიღეთ — ანტონ მარტყოფელი. აქედან წარმოდგა ცნობილი მარტყოფის მონასტერი (თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ოცდაოდე კილომეტრზე) და გარეკახეთის სოფელი მარტყოფი, სადაც გიორგი სააკაძის ლაშქარმა მუსრი გაავლო საქართველოს მოსასპობად შემოჭრილ მტერს.

ვინც შიდა კახეთში ნამყოფია, ნეკრესის მონასტრის სახელიც გაგონილი ექნება. მისი დამფუძნებელი იყო აბიბოს ნეკრესელი, გამორჩეული მოღვაწე, რომელიც სპარსელმა ცეცხლთაყვანისმცემლებმა აწამეს და მოაკვდინეს, რადგან ერთგულ მცველად ედგა ქრისტიანობას.

კახეთშივეა იყალთოს მშვენიერი მონასტერი, წინა გაკვეთილზე რომ ვახსენეთ. მას ზენონ იყალთოელის სახელი უკავშირდება.

იოსებ ალავერდელი სად მკვიდრობდა, ამის მიხვედრა არ უნდა გაგვიძნელდეს.

აი, ასე მოიფინა საქართველო მონასტრებით. მართალია, პირველი მონასტრები ჩვენში წმინდა ნინოს დროიდანვე, მეოთხე საუკუნეში უნდა გაჩენილიყო, მაგრამ

ამის თაობაზე მცირე ცნობები შემოგვინახა ჩვენმა ისტორიამ. ამიტომ მონასტრების მშენებლობა უმთავრესად მეექვსე საუკუნიდან იხსენიება.

მალე, მეშვიდე საუკუნეში, საქართველო არაბებმა დაიპყრეს. ამის გამო მომდევნო ხანაში, მერვე-მეცხრე საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრების ცენტრმა ქართლ-კახეთიდან სამხრეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა. ამას გვაუწყებს გიორგი მერჩულეს შესანიშნავი ნაწარმოები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". ბასილ ზარზმელის მიერ დაწერილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაც" სამონასტრო მშენებლობის ამბავს გვამცნობს.

ამასვე ეხება „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება" და „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება". ოღონდ ეს ორი ნაწარმოები მოგვითხრობს მონასტრების მშენებლობისა და სამონასტრო ცხოვრების ამბებს უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთ, სახელდობრ, საბერძნეთში, ათონის მთაზე. ეს ის ცნობილი ათონის მთაა, სადაც დაასვენეს ივერიის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი.

ათონის გარდა ქართული მონასტრები მრავალ სხვა ადგილას იყო გაშენებული უცხოეთში. საკუთრივ საქართველოში მოქმედ მონასტრებთან ერთად მათ დიდად შეუწყეს ხელი ქართველი ერის სულიერი კულტურის ამაღლებას.

სანთელს ჰმონებდა, მის შუქზე წერდა,
შთააგონებდა რასაც კი ღმერთი,
სევდა, ხალისი, რწმენა, სინდისი,
სიტყვასლე მისი წიგნია ერთი.

გალაკტიონ ტაბიძე

სიტყვათა სალარო

თავკაცი – უფროსი, მეთაური.

სანახები – მიდამოები.

საარაკო – ძალიან კარგი, არაჩვეულებრივი.

საფუძვლის დამდები – დამაარსებელი.

ხელთუქმნელი – ხელით უქმნელი, ხელით გაუკეთებელი, ისეთი, როგორსაც კაცის ხელი ვერ შექმნის.

საკითხავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყდარი

ჩვენს სოფელში აშენებულია მშვენიერი თლილი ქვის საყდარი წმინდა გიორგის სახელობისა. იგი დგას შუა სოფელში მაღლობ ადგილზე და გადასცქერის მთელ სოფელს. გარშემო გალავანი არტყია და გალავანს ირგვლივ შიგნიდან ჩარიგებული აქვს ხეები. ხეებით დაჩრდილულ მწვანეზე ხშირად იკრიბებიან ჩვენი სოფლის კაცნი და ქალნი სალოცავად და ერთმანეთის სანახავად.

მთელი ჩვენი სოფელი დიდ თაყვანს სცემს ჩვენს საყდარს. და ან როგორ არ უნდა სცეს? ყველა ჩვენგანი ამ საყდარშია მონათლული, მასში ევედრება ღმერთს, ისმენს წირვა-ლოცვას, ისმენს „სახარებას“ და „დაბადებას“, ამბობს აღსარებას, მიიღებს ხოლმე წმინდა ზიარებას და სულის ცხონების გზაზე დგება.

ამავე საყდარში მიიტანენ ჩვენს გვამს, როცა სულს მივაბარებთ ღმერთს, აგვიგებენ ანდერძს და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრებენ ჩვენს სულს საიქიოს. იმავე საყდრის შორიახლოს მიაბარებენ მიწას ჩვენს სხეულს სასაფლაოზე, სადაც მარხიან ჩვენნი დედ-მამანი, პაპანი, წინაპარნი. ყველა ესენი ამ საყდარშივე მონათლულან, ჯვარი დაუწერიათ, შვილები აქ დაუნათლავთ, წირვა-ლოცვა უსმენიათ, დღესასწაულს მიჰგებებიან, თავისი მწუხარება აქ ულიარებიათ უფლის წინაშე და შემწეობა უთხოვიათ ზეციური მამისათვის.

ჩვენი საყდარი საყოველთაო საღმრთო საფარველია, მისი კარი ერთნაირად ღიაა ყველასათვის: ღარიბებისთვისაც და მდიდრებისთვისაც, კეთილშობილისთვისაც და გლეხისთვისაც, დიდისთვისაც და პატარისთვისაც, ქალისთვისაც და კაცისთვისაც. როცა ამ წმინდა ადგილს იკრიბება სოფელი, იგი გადაიქცევა ხოლმე ერთ დიდ ოჯახად, რომლის წევრნი ღვიძლი ძმებივითა და დებივით ევედრებიან ერთსა და იმავე ზეციურ მამას, ივიწყებენ ერთმანეთის მტრობას და გული ევსებათ ლმობიერებითა და მოყვასთა სიყვარულითა.

ძალა საყდრის ზარის ხმისა

ერთი მდიდარი ვაჭარი ქალაქში მიემგზავრებოდა სავაჭროდ. თან ბევრი ფული მიჰქონდა. გზაზე ღამემ უსწრო და ერთს დუქანში ჩამოხტა. მედუქნემ თვალი შეასწრო ვაჭრის ქისას, ოქროებით სავსეს, და ფულის სიხარბემ გაიტაცა. განიზრახა ავკაცობა და გადაწყვიტა, რომ იმავე ღამეს ჩუმად მოეკლა ვაჭარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სიმდიდრე ხელში ეგდო.

დალლილი ვაჭარი ღამით ღრმა ძილს მიეცა ცალკე ოთახში. იმ ღამეს მედუქნეს ბევრი მუშტარი ჰყავდა და მამლის ყივილამდე იმათს მასპინძლობას უნდებოდა. მხოლოდ გათენებისას გაისტუმრა დუქნიდან ყველა მოქეიფე და შეუდგა თავისი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანას: აიღო ხანჯალი, კარგად გალესა, ფეხაკრეფით მივიდა იმ ოთახთან, სადაც ვაჭარს ეძინა, ჩუმად შეაღო კარი, ფეხის თითებზე დადგა, ფრთხილად მივიდა ვაჭრის საწოლთან და მოუღერა ხანჯალი. მაგრამ სწორედ ამ დროს დაჰკრეს ცისკრისა და გაისმა წკრიალა ხმა იმ სოფლის საყდრის ზარისა.

მედუქნეს თავზარი დასცა ზარის ხმამ, ხანჯალი ხელიდან გაუვარდა და აგურის იატაკზე ჟღარუნი მოიღო.

ვაჭარს გამოეღვიძა, აანთო სანთელი და თავის ახლოს დაინახა გაფითრებული მედუქნე და მის ფეხთან ხანჯალი.

გაშეშდა მედუქნე და გაქცევაც ვერ მოახერხა. დაეცა მუხლისთავებზე ვაჭრის წინ, წასკდა ცრემლი და ევედრებოდა:

— შემინდე, შემინდე ღვთის გულისათვის. მე წყეულმა შენი მოკვლა განვიზრახე ფულის გულისთვის და ცისკრის ზარს გონს რომ არ მოვეყვანე, საშინელ საქმეს ჩავიდენდი. შემინდე, შემინდეო! — ქვითინებდა მედუქნე.

ვაჭარმა მხურვალედ გადაიწერა პირჯვარი და მედუქნეს უთხრა:

— ღმერთმა შეგინდოსო.

ადგა ვაჭარი, ჩაიცვა ტანისამოსი, მივიდა იმ სოფლის ეკლესიაში ცისკარზე და სამადლობელი პარაკლისი გადაახდევინა. ბოლოს, რაც თან ფული ჰქონდა, შესწირა ეკლესიას იმ პირობით, რომ უფრო დიდი და უფრო კარგი ზარი ეყიდათ.

ხარი

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
გარს გალავანი არტყია,
ცა ახურია თავზედა.
ადამიანის შენახვა
ვერავინ იდო თავზედა,
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი
ვაჭირდა მეტად ძალზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარმა თქვა პირმანათელმა:
— მე დავიწერავ თავზედა. —
მოცვივდნენ ანგელოზები,
დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა,
ჩამოქნეს წყვილი სანთელი,
მიაკრეს ორთავ რქაზედა:
— წადი, ხარო, იმუშავე
ერთგულად მთა და ბარზედა,
ექვსი დღე უღელში ები,
მეშვიდეს დაწექ მხარზედა,
ვინც კვირა-უქმით შეგაბას,
ხელი შეახმეს მკლავზედა.

ძმური სიყვარული

ერთი დიდი მონასტრის ბერმა ერთხელ ზამთარში თავის წინამძღვარს მაკარის ძლიერ კარგად შენახული ყურძნის მტევანი მიართვა. წინამძღვარი, თანახმად მაცხოვრის სწავლისა, თავის საკუთარ სიკეთესა და სიამოვნებას არ მისდევდა, სულ იმის ზრუნვაში იყო — რით ვაამო და რა ვარგო ჩემს მოყვასსაო. აიღო ყურძნის მტევანი და თავის ფეხით მიუტანა ერთ ავადმყოფ ბერს.

ავადმყოფს დიდად ეამა წინამძღვრის ასეთი თავაზი და ღმერთს მადლობა შესწირა. ხოლო ეს ბერიც თავისი მოყვასის სიკეთეზე იყო გადაგებული და პიროვნული სიამოვნება დავიწყებული ჰქონდა. ამტომ ყურძენს ერთი მარცვალიც არ მოაკლო და მტევანი მესამე ბერს გაუგზავნა.

ამანაც მოძმის სიამოვნება ამჯობინა თავისას, ყურძენი მეოთხე ბერს შეუტანა და მისთავაზა. ამ მეოთხემაც მეხუთეს მისთავაზა, მეხუთემ — მეექვსეს და, ამრიგად, ყურძნის მტევანმა ყველა ბერი მოიარა.

ბოლოს მტევანი უნაკლოდ დაუბრუნდა წინამძღვარს. საღმრთო სიხარულით აღივსო წინამძღვარი, როდესაც ასე ცხადად დაინახა ნამდვილი ძმური სიყვარული ბერთა შორის თანახმად მაცხოვრის მცნებისა: „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე თქვენ შეგიყვარეთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ღვთისნიერი ძმა

ორი ძმანი იყვნენ. უფროსს ცოლ-შვილი ჰყავდა, უმცროსი უცოლო იყო. ერთად ველარ მოთავსდნენ და გაიყარნენ. ყოველივე გაჰყვეს, რაც კი ჰქონდათ. გაყოფილი პური ცალ-ცალკე ორმოში ჩაყარეს. ორმოები ორივეს კალოს აქეთ-იქითა ნაპირებზე ჰქონდათ.

უფროსი ღამით ჩუმად იღებდა თავის ორმოდან პურს, ძმის ორმოში ჰყრიდა და ამბობდა:

— მე ღმერთმა ცოლი და შვილი მომცა, მომგებნი მყვანან, ჩემს ძმას კი არავინ ჰყავს, ეს იმისი იყოს და ჭამოსო.

უმცროსი მიიპარებოდა ხოლმე თავის ორმოსთან, იღებდა პურს, ყრიდა თავის ძმის ორმოში და ამბობდა:

— მე ერთი კაცი ვარ, ბევრი სარჩო არ მინდა, ჩემი ძმა კი წვრილშვილიანია და მეტი საზრდო უნდება, ეს პური იმისი იყოსო.

ასე გაატარეს იმათ თავისი დღენი და ღმერთმა ორივეს ყოველივე სიკეთე გაუმრავლა და დოვლათი არ მოაკლო.

სიკეთე ბოროტისათვის

ერთ სკოლაში ვარო სწავლობდა. ძლიერ ლამაზი გოგონა იყო, მაგრამ გული კი ბოროტი ჰქონდა. მეტად თავი მოჰქონდა სილამაზით, ნაკლებად ბეჯითობდა და წამდაუწუმ დასცინოდა თავის ამხანაგებს. მეტადრე ამოჩემებული ჰყავდა პატარა ელამი კატო. რამდენჯერ დაუცინია გულსაკლავად და უტირებია ცხარე ცრემლითა.

ამხანაგებს ჭირის დღესავით ეჯავრებოდათ ბოროტი ვარო.

გაჩნდა ერთხელ ყვავილი. ვაროს აცრილი არ ჰქონდა ყვავილი დედ-მამის დაუდევრობით. შეხვდა ყვავილი და ისე დაუჯღანა პირისახე, რომ კაცი ველარც კი იცნობდა. გაჩოფურავებულმა ბავშვმა დაკარგა სამუდამოდ სილამაზე, რითაც ამპარტავნობდა, და საშინელ მწუხარებაში ჩავარდა.

მორჩენის შემდეგ მშობლები ვაროს სკოლაში გზავნიდნენ, მაგრამ ცივ უარზე იდგა: თან რცხვენოდა და თან ეშინოდა ამხანაგებისა. ბოლოს, როგორც იყო, გაგზავნეს სკოლაში. მიდის ვარო სკოლისაკენ და გულში უტრიალებს შიშის ალი:

ჩემი ამხანაგები რომ დაკენკილ სახეს დამინახავენ, ხარხარს შექმნიან, მასხარად გამხდიან, წინანდელს ჯავრს ამოიყრიან და გულს სულ ჩამითუთქავენო.

შევიდა სკოლაში გაფითრებული და აკანკალებული ვარო, მაგრამ დახე მის გაოცებას! მოლოდინი არ აუსრულდა, შიში არ გაუმართლდა. ამხანაგებმა ვარო რომ დამახინჯებული დაინახეს, არამცთუ დაცინვა დაუწყეს, სიბრალულით აევსოთ გული და ცდილობდნენ ალერსით ენუგეშებინათ. ყველაზე მეტ თანაგრძნობას უჩენდა ელამი კატო.

ვაროს გული ამოუჯდა სიხარულისაგან და ორივე თვალიდან შვების ცრემლი წასკდა.

ღვთისნიერი ქვრივი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ღვთისნიერი ქვრივი. ჰყავდა ერთი შვიდი წლის ვაჟი. ამ ქვრივს ღრმად ჰქონდა გულში ჩასახული მაცხოვრის მცნება — გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო. ამიტომ ბოროტისათვის ბოროტს არასდროს უზამდა ადამიანს, პირიქით, ცდილობდა სიკეთე ექნა და ამ გზით მტერი მოყვარედ გადაექცია.

ამ ქვრივს ერთხელ დათესილი ჰქონდა ნახევარი დღის მიწა სიმინდით და წლის სარჩოს აქედან მოელოდა.

მთელი სოფლის არემარეზე ერთი პატარა მდინარე დიოდა. ამით რწყავდნენ სოფლელები რიგ-რიგით ბოსტნებსაც, ვენახებსაც და სიმინდებსაც. ქვრივის ჯერი რომ მოვიდა, მერუეებმა მისცეს წყალი ერთი ღამით სიმინდის მოსარწყავად.

ქვრივმა შვილის დახმარებით საღამო ჟამს სიმინდში წყალი ჩაუგდო, კარგად დაუნაკადა და როცა ხშირი ბინდი დადგა, შინ წამოვიდა. სრული იმედი ჰქონდა, რომ მისი სიმინდი მთლად მოირწყვებოდა. მაგრამ მეზობელმა ქვრივი შინ დაიგულა თუ არა, გადაუგდო მისი სიმინდიდან წყალი და მთელ ღამეს თავისი სიმინდი რწყა. ქვრივის სიმინდი მოურწყავი დარჩა, გახმა და მოსავალი მოცდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ქვრივის მეზობელს ყმაწვილი ცოლი ძლიერ ავად გაუხდა სახადით. სოფლელებს ეშინოდათ გადამდები ავადმყოფობისა და ყველანი ერიდებოდნენ. ავადმყოფს შინაც არავინ ჰყავდა მომვლელი და ამიტომ მისი მორჩენა ძლიერ ძნელი იყო. ეს რომ ქვრივმა შეიტყო, თავისი ვაჟი ნათესავებში გაგზავნა, ახსენა ღმერთი და მეზობელთან მივიდა ავადმყოფის მოსავლელად.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ქვრივი ისე უვლიდა სახადიანს, როგორც

ღვიძლი დედა, და თავის თავს მოსვენებას არ აძლევდა არც დღე და არც ღამე. ავადმყოფის ქმარს სირცხვილი სწვავდა, სინდისი სტანჯავდა და თვალის გასწორებაც ქვრივისთვის ვერ გაებედნა.

ბოლოს, როგორც იყო, ავადმყოფი გამობრუნდა და სახადისაგან სრულიად განთავისუფლდა.

როცა ქვრივის მეზობელმა სიმინდი მოჭრა და გაარჩია, მოსავლის ნახევარი ქვრივს მიუტანა, ბოდიში მოითხოვა თავის შეცოდებაზე და დიდი ვედრებით სთხოვა მისგან სიმინდი მიეღო.

იმ დღიდან მეზობელი ბოროტს ერიდებოდა და ცდილობდა მტრობისთვის მტრობა არ ექმნა და სიკეთით მტერი მეგობრად გაეხადა.

თავის განწირვა მტრისათვის

ორი ყმაწვილი გადამტერებული იყო ერთმანეთზე, სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, უთუოდ ჩხუბი უნდა მოსვლოდათ.

ერთხელ მდინარის პირას წაეკიდნენ და დაიტაკნენ. ბევრი იბრძოლეს, თავბრუ დაესხათ, ველარა გაიგეს რა და ერთი მათგანი მდინარეში გადავარდა. წყალმა ბავშვი წაიღო და იხრჩობოდა. დიდთაგანი ახლომახლო არავინ შეესწრო. ყმაწვილები კი იყვნენ იქ, ზოგმა ცურვაც იცოდა, მაგრამ წყალს ვერავინ შებედა, ყველას ეშინოდა. მდინარე ადიდებული მიქუხდა და მიშველება მეტად სახიფათო იყო. წყალწაღებულ ყმაწვილს უსათუოდ დაღუპვა ელოდა.

მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის, ვისგანაც ამას სრულიად არავინ მოელოდა. ნაპირზე დარჩენილი ყმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულით აღივსო, მაღალმა წადილმა გაიტაცა და ადიდებულ მდინარეს არ შეუშინდა: იძრო სწრაფად ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში. ცურვა ჩინებული იცოდა და თავის თავის იმედი ჰქონდა.

ჩახტა თუ არა ყმაწვილი წყალში, მდინარემ იმ წამსვე დააპროწიალა და ჩააყურჭუმელავა.

— ვაიმე, ამასაც დაახრჩობს ეს წყეული მდინარე! — შეჰკივლეს ბავშვებმა.

მაგრამ მამაცმა ბავშვმა მალე ისევ ამოიყურჭუმელავა, წყალს ზევით მოექცა და სწრაფი ცურვით გაექანა წყალწაღებული ბავშვისაკენ. ბოლოს, როგორც იყო, მიუახლოვდა დაბნედილ ბავშვს, ცალი ხელი მაგრა ჩასჭიდა და მეორე ხელით და ფეხებით იწყო ცურვა ნაპირისაკენ. საქმე ახლა უფრო გაძნელდა. წყალმა არაერთხელ

გამოსტაცა ხელიდან ბავშვი, არაერთხელ აუვსო პირი და შეუგუბა სული. მაგრამ უშიშარი და თავგანწირული ყმაწვილი ბოლოს მაინც ეწია თავის სასიქადულო გულის წადილს, გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დახრჩობას და ცოცხალი გამოიყვანა ნაპირზე.

იქ მყოფი ბავშვები, აღტაცებული ასეთი სამაგალითო საქციელით, მისცვივდნენ ყმაწვილს, გადაეხვივნენ და მხურვალე გადაკოცნით დააჯილდოვეს.

იმ დღიდან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე.

მოწყალე გვირგვინოსანი

5

თამარ მეფეს ძლიერ კეთილი გული ჰქონდა და დიდი ღვთისმოყვარეც იყო. ამიტომ მეტად ებრალებოდა ყოველი ღარიბი და გაჭირვებული და მუდამ მზად იყო უხვად გაეღო მოწყალება. მისი სასახლის კარიდან არც ერთი გლახა არ გაბრუნებულა შეუწევნელად, უსაჩუქროდ. მოწყალებას თამარ მეფე გასცემდა არა სახელმწიფო სალაროდან, არამედ საკუთარი შრომით მოპოვებული ფულიდან. თამარმა მშვენიერი ხელსაქმე იცოდა, მეტადრე — ოქრომკედით კერვა, და მისი ნაქსოვი ყოველთვის ძვირ ფასად იყიდებოდა. ხელსაქმეს ბევრს აკეთებდა, რადგან ცუდად ერთ წამსაც არ დადგებოდა და, როცა სახელმწიფო საქმეებში არ იყო გაბმული, სულ ქსოვა-კერვას ახმარდა თავისუფალ დროს.

ერთხელ თამარ მეფე წირვაზე ემზადებოდა წასასვლელად და ირთვებოდა. ამ დროს მოახსენეს:

— ერთი მოხუცი დედაკაცი მოვიდა სასახლის კართან და მოწყალებას ითხოვსო.

თამარმა უბრძანა:

— ცოტა მოიცადოს, წირვაზე წასასვლელად გავალ და ჩემი ხელით მივცემ მოწყალებასო.

მორთვამ თამარს კვლავინდელზე მეტი დრო წაართვა, მეტადრე დააყოვნა ძვირფასი ლალის საყურეების გაკეთებამ. დაამთავრა თუ არა მორთვა, სწრაფად გამოვიდა გარეთ და ფული გაამზადა მისაცემად, მაგრამ გლახა დედაბერი კართან აღარ დაუხვდა, ლოდინი მოსწყენოდა და წასულიყო. ძლიერ შეწუხდა თამარი და შეინანა: რად მოვანდომე ამდენი დრო მორთვასაო!

შებრძანდა თამარი ტაძარში და მთელი წირვის დროს გულმხურვალედ

ილოცა. როცა მღვდელმა უკანასკნელად ჩამოილოცა და ჯვარი გამოასვენა, თამარი ლმობიერად ემთხვია ჯვარს, შემდეგ მივიდა ღვთისმშობლის ხატთან, მოიხსნა ლალის საყურეები, შესწირა ღვთისმშობელს და თქვა:

— მე ღირსი აღარა ვარ ამ ძვირფასი საყურეებისა, რადგანაც მათ დღეს დამაბრკოლეს კეთილი საქმე მექნა, მოწყალება გამეღო, მაცხოვრის მცნება აღმესრულებინაო.

მორჯულებული მდიდარი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ძლიერ მდიდარი კაცი. იმოდენა ქონებას მარტო თავის თავს ახმარდა და არასოდეს ღარიბისა და გაჭირვებულისთვის შემწეობას არ გამოიმეტებდა. ერთხელ იმის ფანჯარასთან მივიდა მწირი მგზავრი და სთხოვა:

— ღვთის გულისათვის, ღამის გასათევი ბინა მომეცით!

მდიდარმა მრისხანედ უთხრა:

— დამეკარგე იქით! ჩემი სახლი სასტუმრო როდიაო.

მაშინ მოგზაურმა მდიდარს ჰკითხა:

— შენზე წინ აქ ვინ მდგარა?

— მამაჩემიო, — უპასუხა მდიდარმა.

— შენს შემდეგ ვინღა იდგება?

— ჩემი შვილიო.

— შენი შვილის შემდეგ?

— ჩემი შვილიშვილიო.

მგზავრმა ამაზე უთხრა:

— შენი სახლი სწორედ სასტუმროს ჰგავს: გუშინ ერთი მდგარა, დღეს მეორე დგას, ხვალ მესამე იდგება, ზეგ — მეოთხე. ყველანი ამ სახლში დროებით დგახართ, ხოლო ვინ იცის, უფალი სად მოგიმზადებთ საუკუნო სამყოფელსო.

მდიდარი ჩაფიქრდა, მოიგონა, რომ ქრისტემ საიქიოს საუკეთესო სამყოფელი აღუთქვა მოწყალეთა და გულკეთილთა.

შეუშვა თავის სახლში მგზავრი და მას უკან აღარ იშურებდა შემწეობას ღარიბთა და გაჭირვებულთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცის ნატვრა

ნეტავი ჩემი სასახლე
მაღლა მთაზედა ამეგო,
გამვლელ და გამომვლელისთვის
ყოველდღე კარი გამეღო,
სიტყვა არვისთვის მეწყინა,
სულ ყველას გული მომეგო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა,
სულ ღარიბებზე გადმეგო.

მოწყალე ბერი

იყო ერთი ბერი, სახელად მარდარი. სულ გლახებზე და უბედურებზე იყო გადაგებული, რითაც კი შეეძლო, ყველაფრით ეწეოდა.

ერთხელ სოფლად იყო თავისი მონასტრის საქმეზე. უცებ უქეიფოდ შეიქნა. სხვისი შეწუხება არ უნდოდა და ფეხით გაეშურა თავის მონასტრისაკენ. გზაზე ავი დარი დაუდგა, უფრო ცუდად გახდა, საშინელმა სიცივის კანკალმა აიტანა და ფეხები ეკეცებოდა.

მიმავალმა დაინახა გზის პირად უძლური, წყლულებიანი გლახა, რომელსაც სიარულის თავი აღარა ჰქონდა. მარდარის სიბრალულით აევსო გული, დაივიწყა თავისი ავადმყოფობა, მივიდა გლახასთან, ანაფორა გაიხადა, გლახა შიგ გაახვია, ზურგზე მოიკიდა და თავის ბინაზე წაიყვანა დიდი გაჭირვებით.

მონასტერს რომ მიუახლოვდნენ, გლახა თვითონვე ჩამოვიდა და ის ბრწყინვალე სახე მიიღო, რომელიც მაცხოვარს აქვს ხატებზე, შემდეგ მარდარის თვალწინ ამაღლდა ზეცად, საიდანაც მოისმა ხმა:

— მარდარი, მე ჩემი უმცროსი ძმის სახით მოგევლინე და შენ ერთ საათს შემიბრალე ქვეყანაზე. ამისთვის შენ საუკუნოდ შეგიწყალებ ცათა შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი გლახა და ქრისტე ღმერთი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი უქონელ-უყოლელი გლახა. დაიარებოდნენ და თხოულობდნენ მოწყალებას.

ერთხელ ეს სამივე გლახა ერთად მიდიოდა გზასა. წინ შემოეყარათ გლახადვე ჩაცმული ქრისტე ღმერთი. მაცხოვარი მიემშვიდობა, გაუამხანაგდა გლახებს და ერთად წავიდნენ. მიადგნენ ერთ მდინარეს. დალიეს წყალი და დასხდნენ დასასვენებლად. ქრისტე ღმერთმა ჰკითხა გლახებს:

— ვის რა გინდათ, რომ ღმერთმა მოგცეთო?

ერთმა გლახამ გაჰხედა რიყიანს ჭალას და უთხრა:

— მე ის მინდა, რომ მექცეს ეს რიყე ცხვრის ფარად, მე შევიქნე მეცხვარე, ცხვარი ჩემი იქნეს და ისე ვიცხოვროო.

იქცა რიყე ცხვრად, გლახა — მეცხვარედ, გაირეკა ფარა და წაასხა.

— ღმერთი არ დაივიწყოო! — დაუძახა ქრისტემ ამ უცებ გამდიდრებულ გლახას.

მაცხოვარი და ორი გლახა გავიდნენ მდინარეს, გაიარეს გზა და ახლა მეორეს ჰკითხა:

— შენ რაღა გენატრებაო?

— მე მინდაო, — მიუგო გლახამ, — ეს ვეებერთელა ჭალა-ბუჩქნარი იქცეს ზვრად და მე იმის პატრონი მქნაო.

აუსრულა ნატვრა ქრისტემ: უქცია ჭალა ზვრად, გახადა გლახა მის პატრონად, უთხრა — ღმერთი არ დაივიწყოო, და გაშორდა.

ბოლოს ქრისტემ მესამე გლახას ჰკითხა:

— შენ რაღას ინატრებო?

— მე კიდევ ხარ-გუთნის მონატრული ვარო.

აუსრულა ქრისტემ ამასაც ნატვრა, მისცა ხარ-გუთანი, უთხრა — ღმერთი არ დაივიწყოო, — და განშორდა.

ცხვრის ფარის პატრონმა ითხოვა ცოლი, აიშენა სახლი და ისე ამრავლა ცხვარი, რომ იმ არემარეზე აღარც კი ეტეოდა. დაიჭირა მრავალი მწყემსი და მოჯამაგირე და მიეცა მდიდრულ ცხოვრებას.

ვენახის პატრონმაც გაადიდა ზვარი, ამრავლა ვაზი და ქვეყნის სამყოფი ღვინო მოსდიოდა. შეირთო ცოლი, დაიდგა სახლი და დაიწყო განცხრომით ცხოვრება.

ხარ-გუთნის პატრონმა კიდევ უფრო უკეთესად გამოიყენა ღვთის წყალობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფრო უკეთეს ყოფაში ჩავარდა.

გავიდა ხანი და დრო. იესო ქრისტემ, ისევ გლახად ჩაცმულმა, ჩამოუარა მეცხვარეს. მეცხვარე ცხვარს კრეჭდა. ქრისტე ღმერთმა ცოტაოდენი მატყლი სთხოვა მეცხვარეს:

— არაფერი მაცვია, ტიტველი ვარ და წინდებს მაინც დავაქსოვინებ შენს სადღეგრძელოდაო.

— გადმოუყარეთ, რაც რომ კვირტია და გამოუსადეგარიო, — უბრძანა მეცხვარემ მოჯამაგირეებს.

გადმოუყარეს გლახას მართლა, რაც უმსგავსი და გამოუსადეგარი მატყლის კვირტი ეყარა.

მაშინ დასწყევლა ქრისტე ღმერთმა მეცხვარე. ექცა ცხვარი ისევ რიყედ, მეცხვარე ხელცარიელი დარჩა და იწყო ისევ გლახაობა.

მაცხოვარმა შემდეგ ჩაუარა მევენახეს. რთველი ჰქონდა.

— ღვთის გულისათვის ცოტა ყურძენი მიწყალობეთ, გლახა ვარ და მშიაო, — გადასძახა ქრისტე ღმერთმა.

— აიღეთ, ბიჭებო, და რაც უგემური და კრიკინებია, ზღვამლი, ის გადაუყარეთო! — უთხრა ზვრის პატრონმა.

ბიჭებიც ადგნენ და ისე მოიქცნენ.

დასწყევლა მაცხოვარმა და ზვარი ისევ ჩირგვნარად უქცია მევენახეს. დაგლახაკდა ისიც და ისევ მათხოვრობას მიჰყო ხელი.

ბოლოს ქრისტე ღმერთმა გუთნისდედას ჩამოუარა.

— პატარა პური მიწყალობე, მშიერი ვარო, — შესძახა სახლის პატრონს.

გუთნისდედა მაშინვე გამოეგება, შეიპატიჟა შინ გლახა, დაბანა ხელ-ფეხი, დაუგო სუფთა საფენი, გაუშალა სუფრა და გულუხვად მიართვა, რაც კი საუკეთესო საჭმელი ჰქონდა სახლში. თვითონაც თავს დაადგა და მასპინძლობდა.

მაშინ ქრისტე ღმერთმა დალოცა, აკურთხა გუთნისდედა და მიეფარა, უჩინარ იქმნა.

იქცა ხელახლა ჩირგვნარი ზვრად, რიყე — ცხვრად და გუთნისდედა შეიქნა მათ პატრონადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა თავისას მოითხოვს

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟი იზრდებოდა და ხედავდა, რომ იმის გარდა ყველას მამა ჰყავდა, მარტო ის ვერავის ეტყოდა მამობას. შვილი გადაეკიდა დედას:

— დედა, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა მყავსო?

დედამ უთხრა:

— მოკვდა, შვილოო.

— მაშ აღარ მოვაო? ან რა არის სიკვდილიო? — ჰკითხა შვილმა.

— ის კი აღარ მოვა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ მასთანო. სიკვდილს ვერავინ გადავურჩებით, ყველა მიწად ვიქცევით, დავიხოცებითო.

— მე არ მითხოვია ღმერთისთვის გამაჩინეო, და რაკი გამაჩინა, რადღა უნდა მომკლასო? — თქვა ვაჟმა. — ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არისო.

დედამ დააბრუნა შვილი, მაგრამ მან არ დაიშალა.

მოიარა მთელი ქვეყანა. სადაც მივიდოდა, ჰკითხავდა — არის აქ სიკვდილიო? ყველასგან ერთი პასუხი ესმოდა — არისო. დაღონდა ვაჟი, ადგილი არ იყო, რომ სიკვდილი არ ყოფილიყო.

ამ დროს ვაჟი ოცი წლისაც გახდა. ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა. გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა, მისი რქები ღრუბლებში იყო აწვდილი. ვაჟი მიუახლოვდა ირემს, მოეწონა ძალიან მისი რქები და ჰკითხა:

— შენი გამჩენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ირემმა უთხრა:

— მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის დანაწესებს ვასრულებ. სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ვიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და მეც მოვკვდებიო. თუ გინდა, შენც ჩემთან იყავი და სანამ მე ვიქნები, შენც იცოცხლებო.

ვაჟმა უთხრა:

— თუ ვიცოცხლებ, მუდამ უნდა ვიცოცხლო, თორემ აქ მოუსვლელადაც მოვკვდებოდიო.

გასცდა ვაჟი და გაუდგა გზას. გაიარა მინდორი, ველები და გავიდა ტყიან და კლდიან ადგილას. ერთ ხევს მიადგა, სულ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა, რომ თვალი ვერ ჩასწვდებოდა მის ძირს. ხევის პირას კლდეზე იჯდა ყორანი და

ასკინტლებდა ხევში. ეს ყორანიც ღვთის მოციქული იყო. ვაჟმა ჰკითხა ყორანს:

— არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო?

ყორანმა უთხრა:

— მე ღვთისგან დაწერილი მაქვს სიცოცხლე მანამდის, სანამ სკინტლით ამ ხევს არ ამოვავსებო. თუ გინდა, ჩემთან იყავი და შენც ცოცხალი იქნები, სანამ მე არ მოკვდებიო. არაფერზე არ დაგვჭირდება ზრუნვა, ყველაფერი მზა გვექნებაო.

ვაჟმა ჩაიხედა ხევის უფსკრულში, მაგრამ მაინც ცოტა ეჩვენა. გასწი, გასწი შორსაო, — ეუბნებოდა რალაც.

ამასაც გასცდა ვაჟი და მოათავა ხმელეთიც და მიადგა ზღვის პირს. აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შეხვდა. მესამე დღეს დაინახა შორს სადღაც მბრჭყვინავი სარკე. ვაჟი წავიდა მისკენ და ნახა, რომ ის მბრჭყვინავი სარკე სალი მინის სახლი იყო. შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოვა კარი. ბოლოს ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო. გააღო და შევიდა. ოთახში ისეთი ლამაზი ქალი იწვა, რომ მზეს შეშურდებოდა მისი სილამაზე. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალსაც — ვაჟი. ვაჟმა ჰკითხა:

— მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექეცი, და არ იცი იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ქალმა უთხრა:

— მაგისთანა ადგილი არსად არ არის, რას ეძებ, ჩემთან იყავიო.

ვაჟმა უთხრა:

— მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოვედი, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვო, სადაც სიკვდილი არ არისო.

ქალმა უთხრა:

— მიწა თავისას მოითხოვს, შენ მაინც უკვდავებას ვერ შეიფერებო. აბა მითხარი, რამდენი წლისა ვიქნები მეო?

ვაჟმა დახედა: ქალს ახლად აკოკრებული მკერდი აქვს, ვარდისფერი ლოყები, ისეთი საუცხოო, რომ ვაჟს ერთ წუთში დაავიწყდა სიკვდილი. ვაჟმა უთხრა:

— ბევრი, ბევრი, თხუთმეტი წლისა იყოო.

— არა, — უპასუხა ქალმა, — მე ქმნილების პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარო, არც როდის დავბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არც მოვკვდებიო. შენც აქ იქნებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგითხოვსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟმა პირობა დაუდვა, რომ არასდროს არ მოშორდებოდა.

დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერთად ცხოვრება. წლები წუთებივით მიფრინავდა. ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა, ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, მაგრამ ვაჟი ვერ ამჩნევდა დროის ფრენას. ქალი ისევ ისეთი ლამაზი იყო და ვაჟიც ისეთივე ახალგაზრდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუნდა თავისი ქვეყნის ნახვა, თავისი დედისა და ნათესავების დანახვა მოსწყურდა. ქალს უთხრა:

— უნდა წავიდე და უნდა ვნახო დედაჩემი და ნათესავებიო.

ქალმა უთხრა:

— ახლა მათი ძვლებიც აღარ იქნებაო.

ვაჟმა უთხრა:

— რას ამბობ, ეს სამი-ოთხი დღეა, რაც მოვსულვარ და როდის დაიხოცებოდნენო?

ქალმა უთხრა:

— აკი გითხარი, მიწა თავისას მოითხოვს-მეთქი. კარგი, წადი და რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო. — მისცა სამი ვაშლი და უთხრა: — იქ რომ მიხვალ, მაშინ შეჭამეო.

წავიდა ვაჟი და აი, შემოხვდა ნაცნობი ადგილები. აი, ხევიც, ის უძირო უფსკრული. ყორანი მაშინღა მომკვდარიყო. ამოევსო ხევი და თვითონაც გამხმარი ეგდო კლდის წვერზე. ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისევ წინ წავიდა.

გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზე. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებოდა. ის იყო, მაშინ მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაჟი, რომ მართლა დიდი ხანი გასულიყო.

მაინც გასწია თავისი ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარავინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ მისი გამგონიც არავინ იპოვებოდა. ბოლოს ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა დედამისის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა:

— ის დედაკაცი, როგორც მამა-პაპას უთქვამს, ათასი წლის წინათ ყოფილა და როგორ შეიძლება, რომ მისი შვილი ახლა ცოცხალი იყოსო!

ხალხს არ სჯეროდა და ამბობდა:

— ეგ ღმერთისგან არის გამოგზავნილი საიქიოდანო.

გავარდა ამაზე ხმა სოფელში და ხალხი კალიასავით ედებოდა იმ ვაჟს

სანახავად. ბოლოს ვაჟი მივიდა იმ ადგილს, სადაც მათი სახლი იყო. სახლის ყვითელი, ხავსმოკიდებული კედლები კიდევ დახვდა.

ვაჟს მოაგონდა ყველაფერი, დედამისი, თავისი ბალღობა. დაღონდა. ბოლოს თქვა:

— მოდი ერთი შევჭამ ერთ ვაშლსაო.

ამოიღო, შეჭამა და ხავსივით წვერი ერთ წამში დაეკიდა წელამდე. შეჭამა მეორე და მოეშვა მუხლები, ველარ გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეზიზღდა. დაინახა ახლოს ერთი ვაჟი და დაუძახა:

— მოდი, ჯიბეში ერთი ვაშლი მაქვს, ამომიღეო.

ბალღმა ამოუღო ვაშლი. შეჭამა ბერიკაცმა და განუტევა სული. გაიტანა სოფელმა და სამადლოდ დამარხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

განდეგილი
(ნაწყვეტი)

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია,
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განდეგილა და იმ ყინულებში
სულ მარტოდმარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

* * *

უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა,
რასაც ბოლო ჰქონია.
ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი,
და ის უბოლო არის,
ვით სულის შთამბერველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტა, ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის აქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

ხატის წინ
(ნაწყვეტი)

მიყვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი
და საიდუმლო პარპალით
ბნელს ჰფანტავს მისი ნათელი.
მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალუწვდომელი წყვდიადი.

მომაკვდავის ფიქრები
(ნაწყვეტი)

თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება
ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება,
მაგრამ სიკვდილში ვპოვებ სიცოცხლეს
და ის იქნება თვით უკვდავება,
თუკი იმედი მე საიქიოს
გამყვა უკეთეს მომავალისა,
რომ ჩემს შემდეგი შთამომავლობა
იქნება შემგნე თვისის ვალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ ეპისკოპოსი

ქადაგებანი
(ნაწყვეტები)

სიკვდილი ანუ გარდაცვალება მოსპობს მხოლოდ აქაურს, სოფლიურს ჩვენს მოქმედებას, ხორციელ ცხოვრებას. მოკვდება მხოლოდ ეს ჩვენი მძიმე სხეული, მიწა მიწას მიეცემა. მაგრამ ის შინაგანი ჩვენი გაცოცხლებული სული არ ემონება სიკვდილსა.

ერთობა და სიყვარული კაცთა შორის არის უძვირფასესი თვისება წინაშე თვალთა ღვთისათა.

რომელ ქვეყანაშიც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა, იქ უნდა იყოს სიყვარული, ერთობა, ერთგულება.

ეცადე, რომ შენი ნუგეში და ბედნიერება იყოს სარწმუნოება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, სიმართლის აღსრულება.

მხურვალედ ვევედრები ღმერთს, რათა მოგვცეს ჩვენ ერთობა და სიყვარული, რომელიც არის ნიშანი, დამამტკიცებელი სულიერის წარმატებისა, საუნჯე დაუფასებელი, გვირგვინი ქრისტიანობისა.

კეთილი ხასიათი, განათლებული გონება, განწმენდილი გული, მართალი და წრფელი სვლა, შიში ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, — აჰა, რაი არს ქრისტიანობა.

ყოველი კაცი უნდა გიყვარდეს, ყოველი კაცის ბედნიერება უნდა გსურდეს და გიხარდეს და ყოველი კაცის მწუხარება და უბედურება შენთვისაც სამწუხარო უნდა იყოს.

ვინც არ ცდილობს, რომ თანდათან უმჯობესი შეიქნეს სულიერად, იგი უეჭველად თანდათან უარესი გახდება.

მართალია, ადვილი არ არის, რომ მოიშალოს კაცმა თავისი ცოდვა და ჩვეულება, გარნა ძალა უნდა დაატანოს თავისთავს.

თითქმის ყოველ კაცს აქვს ის ცუდი და მავნებელი ჩვეულება, რომ თავისთავს ამართლებს იმით, რომ არიან ბევრნი მასზე უარესნი.

არ არის ჭეშმარიტი სული ქრისტიანობისა იქ, სადაც სუფევს განხეთქილება, შური, სიძულვილი.

თუ კაცი მარტივ საქმეში არის ცრუ, მრუდე და ყალბი, ის დიდ საქმეშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსივე გამოჩნდება.

დიდი ბედნიერება არის, როდესაც კაცი, ცოდვაში შთავარდნილი, პირდაპირ ეტყვის თავსა თვისსა: მე სწორედ დამნაშავე ვარო.

ლოცვები

ლოცვა უფლისა

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა. და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან!

სამების ლოცვა

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ!

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ! უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან! მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი! წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის!

სულიწმიდის ლოცვა

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის მცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

სამება 3
სოფელი და ზესთასოფელი 7
სხეული და სული 25
სიკეთე 38
ნათლობა 52
ტაძარი 58
შევიდეთ ღვთის სახლში 62
მონასტერი 66
ასურელი მამები 70

საკითხავი

საყდარი („დედაენიდან“) 74
ძალა საყდრის ზარის ხმისა („დედაენიდან“) 74
ხარი („დედაენიდან“) 75
ძმური სიყვარული („დედაენიდან“) 76
ორი ღვთისნიერი ძმა („დედაენიდან“) 77
სიკეთე ბოროტისათვის („დედაენიდან“) 77
ღვთისნიერი ქვრივი („დედაენიდან“) 78
თავის განწირვა მტრისათვის („დედაენიდან“) 79
მოწყალე გვირგვინოსანი („დედაენიდან“) 80
მორჯულებული მდიდარი („დედაენიდან“) 81
მოხუცის ნატვრა („დედაენიდან“) 82
მოწყალე ბერი („დედაენიდან“) 82
სამი გლახა და ქრისტე ღმერთი („დედაენიდან“) 83
მიწა თავისას მოითხოვს 85

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

განდეგილი 89

***(„უსულდგმულო ცხოვრება“) 89

ჯაკაკი წერეთელი

ხატის წინ 91

მომაკვდავის ფიქრები 91

გაბრიელ ეპისკოპოსი

ქადაგებანი 92

ლოცვები 93

n 11870
72-37-60



გარეკანის პირველ გვერდზე: წმინდა გიორგი. მეთხუთმეტე საუკუნის ხატი

გარეკანის ბოლო გვერდზე: ნიკორწმინდის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი.

სტამბა შ.პ.ს. „საქართველოს მაცნე“
რობაქიძის გამზ. 7ა

K298.561
3